საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№044 (12723) 24 თებერვალი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი





ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრიზისი

რუმენიგესა და ჰიონესს ყელში ამოუვიდათ...

» 8

# რატომ გვიტევს კალაძე?

## მტკიცებულება ან ბოდიში!

იმ აჟიოტაჟს, რაც „ლელოში" კახა კალაძესთან დაკავშირებით იტალიელი ჟურნალისტის შეფასების გადმოქართულებას მოჰყვა, ქართული ბეჭდვითი მედიაც ფართოდ გამოეხმაურა. მოკლედ შეგახსენებთ საქმის არსს: „ლელოს" ჟურნალისტს, რომელმაც იტალიელი ავტორის დასკვნა - „ეს იყო კალაძის საშინელი შოუ" - სათაურში გამოიტანა, ფეხბურთელის მამა და მისი გარემოცვა დაემუქრნენ, იყო სიტყვიერი შეურაცხყოფაც. ჩვენ იმ დღესვე ვცადეთ კახა კალაძესთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ...

გუშინ ამ თემას შეეხო გაზეთი „სარბიელიც", რომელმაც კალაძის ინტერვიუ გამოაქვეყნა. ფაქტობრივად, ფეხბურთელი ამართლებს მომხდარზე მისი ახლობლების რეაქციას. მეტიც - ის „ლელოს" ჭკუას არიგებს (ყველამ თავისი ადგილი და ზღვარი უნდა იცოდესო), ცილს სწამებს (შეკვეთილ სტატიებს წერენო) და ემუქრება კიდეც (ვინც ზღვარს გადავა, სხვანაირად დაველაპარაკებიო)...

ეს უკვე რაღაც ახალია. ვის აქვს უფლება, გაზეთს საკუთარი პირობები უკარნახოს, რაღაც ადგილი მიუჩინოს, ან ზღვარი დაუდგინოს? აღარაფერს ვამბობთ მუქარასა და ცილისწამებაზე, „შეკვეთილ" სტატიებთან დაკავშირებით.

..."ბოლო პერიოდში რომ „ლელოში" ჩემზე ცუდი სტატიები იწერება, ეს ფაქტია. მეტიც, ეს შეკვეთილი სტატიებია", - ეუბნება კალაძე „სარბიელს".

ეს კი ნამდვილად მეტისმეტია! ნებისმიერი თავმოყვარე გაზეთი ასეთ ბრალდებას დუმილით ვერ მიიღებს. არც ჩვენ ვაპირებთ გაჩუმებას და დაუმსახურებელი ბრალდებისადმი წაყრუებას. მოკლედ, კალაძემ ან დოკუმენტურად უნდა დაამტკიცოს, რომ „ლელოში" მასზე „შეკვეთილი" სტატიები იბეჭდება ან ბოდიში მოიხადოს!




## დგება მომენტი, როცა საკუთარი თავის არ გჯერა

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

» 4

# ძველ ნაცნობთა დიდი მატჩი

## დღეს, ჟოზე VS ფერგი სან სიროზე




მერვედფინალის წინათქმა

» 6

ლიონი VS ბარსელონა

ატლეტიკო VS პორტუ

არსენალი VS რომა

ინტერი VS მანჩესტერი



### კუპერი? აპრილში ვნახოთ...

ინტერვიუ უჩა უგულავასთან

» 4



### ესპანიოლთან წაგება სჯობდა, ლიონთან შერცხვენას

იოჰან კრუიფის აზრი

» 7




### სანიკიძის ეფექტური დუბლი

ლეგიონერები

» 13

საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XX ტურის მიმოხილვა

# ფრე და პენალტი... სავალდებულოა!

**XX ტური. 21 თებერვალი, შაბათი**

| | |
|---|---|
| ბორჯომი-მესხეთი | 0:0 |
| გაგრა-ზესტაფონი | 1:3 |
| სიონი-ლოკომოტივი | 3:1 |
| ვიტ ჯორჯია-დინამო | 1:1 |
| სპარტაკი-ოლიმპი | 1:1 |

*მგლები ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 5 | 1 | 31-11 | 41 |
| 2. დინამო | 17 | 11 | 2 | 4 | 37-14 | 35 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 20-10 | 33 |
| 4. ოლიმპი | 18 | 8 | 8 | 2 | 22-11 | 32 |
| 5. სიონი | 18 | 7 | 7 | 4 | 21-15 | 28 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 8 | 2 | 8 | 23-19 | 26 |
| 7. მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16-23 | 19 |
| 8. მესხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 12-24 | 18 |
| 9. გაგრა | 19 | 4 | 4 | 11 | 14-32 | 16 |
| 10. ბორჯომი | 18 | 2 | 6 | 10 | 15-36 | 12 |
| 11. სპარტაკი | 17 | 2 | 3 | 12 | 13-29 | 9 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 10 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |

**გადატანილი მატჩები**

**25 თებერვალი, ოთხშაბათი**

დინამო-ზესტაფონი
ბორჯომი-სპარტაკი

...მეოცე ტურის მიმოხილვა, რაღა თქმა უნდა, ცენტრალური მატჩით უნდა დავიწყოთ. ტურის წინათქმაშიც ვწერდით, რომ ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; და ეს იმის მიუხედავად, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე კიდევ ცამეტი ტურია დარჩენილი. ეგ კი არა, „ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" დაპირისპირებას... ბევრქულიანი თამაშიც ვუწოდეთ! ანუ, როგორც ამ შემთხვევაში იტყვიან, ექვსქულიანი მატჩი იყო: მოიგებდა „ვიტ ჯორჯია" და უახლოეს მდევარს ცხრა ქულით ჩამოიტოვებდა, საპირისპირო შემთხვევაში კი „დინამო" უკვე სამ ქულამდე შეამცირებდა ჩამორჩენას. საბოლოოდ კი, ამ შეხვედრაში დაფიქსირებული საყაიმო შედეგით... „ზესტაფონმა" იხეირა - **გია გეგუჩაძის** გუნდი მესამე ადგილამდე ალზევდა და ჩემპიონატის ბოლომდე, ალბათ, ორივე ლიდერს მშვიდად ყოფნის საშუალებას არ მისცემს. თუმცა მეორე ეტაპის დასაწყისში „ზესტაფონის" ბრწყინვალე სტარტზე ოდნავ ქვემოთ, მანამდე კი, რაღა თქმა უნდა, ტურის ცენტრალურ მატჩზე ვთქვათ. ერთი შეხედვით, შესაძლოა, საბოლოო შედეგი კანონზომიერიც იყო; თუმცა, იმასაც ვერავინ იტყვის, თითქოსდა ორივე გუნდს საყაიმო ანგარიში ხელს აძლევდაო. განსაკუთრებით კი ეს „დინამოზე" ითქმის - **რაინერ ცობელის** გუნდს, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, გამარჯვება უფრო მეტად სჭირდებოდა. ანგარიშიც სწორედ სტუმრის სტატუსით მოასპარეზე დინამოელებმა გახსნეს - **შოთა კაშიას** გრძელ ფლანგურ გადაცემას **გიორგი მერებაშვილის** მორიგი გოლი-შედევრი მოჰყვა! აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ფეხბურთელი (ისე როგორც წინა ტურის მატჩში „სიონთან") საკუთარ გუნდში უდავოდ გამორჩეული იყო. ისიც, ალბათ, სიმბოლურია, რომ ორივე მათგანი მერეც ყურადღების ცენტრში მოექცა: მეტოქის საჯარიმოში გიორგი მერებაშვილის წაქცევისათვის დინამოელები პენალტს ითხოვდნენ, ხოლო შეხვედრის მიწურულს შოთა კაშიამ უაღრესად ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი მიზანს ააცილა! მასპინძლებზეც ვერავინ იტყვის: მხოლოდ თავს იცავდნენ და არნაგებისთვის თამაშობდნენო (ჰო, ფრე ხომ უფრო „ვიტ ჯორჯიას" აძლევდა ხელს); მით უმეტეს, რომ **რამაზ მუმლაძის** გუნდს სერიოზულზე მეტი რომ ჰქვია, ისეთი დანაკლისი ჰქონდა - ავადმყოფობის გამო შეხვედრას გუნდის კაპიტანი და ლიდერი **ალექსანდრე კვახაძე** ტოვებდა. თუმცა, „ვეტერინარებმა" ძლიერ და პრინციპულ მეტოქეს არაფერი დაუთმეს და უფრო მეტიც - რამდენჯერმე საკმაოდ მწვავედ შეუტიეს კიდეც. ერთადერთი გოლი კი მასპინძლებმა პენალტით გაიტანეს - შეხვედრის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფეხბურთელმა **ლუკა რაზმაძემ**, როგორც მერე გაირკვა, მატჩის საბოლოოო შედეგი დააფიქსირა. ცნობისათვის: პრინციპულ მეტოქეთა დაპირისპირება ზედიზედ მესამედ მთავრდება საყაიმო ანგარიშით. არანაკლებ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ გუნდების უკანასკნელ ოთხ შეხვედრაში „დინამოს" კარში პენალტი ინიშნება! ოთხივეჯერ პენალტის ნიშნულთან ლუკა რაზმაძე მივიდა და აქედან სამჯერ მისი დარტყმა ზუსტი იყო (ერთხელ ხარიხას გაარტყა ბურთი). და კიდევ, ამ მატჩზეც: რამდენიმე ეპიზოდში ჩინებული რეაქცია გამოავლინა „ვიტ ჯორჯიას" მეკარემ **გრიგოლ ბედიაშვილმა**...

ერთადერთი გუნდი, მეორე ეტაპზე ქულათა მაქსიმუმი რომ დააგროვა, „ზესტაფონია". ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ გია გეგუჩაძის გუნდმა ჩინებული სტარტი აიღო და ამჯერად უკვე „ზესტაფონის" საჩემპიონო შანსებზე საუბარიც შეიძლება. ამბიციურ მწვრთნელს კონტინგენტიც შესაბამისი ჰყავს; თანაც გუნდში არნახული კონკურენციაა და სათადარიგოთა სკამზე ხანდახან ცნობილ ფეხბურთელებსაც ვხედავთ. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „ზესტაფონში" ვეტერანების და ახალგაზრდების ჩინებული ნაზავია: უაღრესად გამოცდილი **ზურაბ იონანიძისა** და **სევასტი თოდუას** გვერდით ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდაც თამაშობს. სასიამოვნოა, რომ ჩვეულ ფორმას იბრუნებს **ლევან მელქაძე**, ვისაც ბოლოს დიდი დრო გაუცდა. „გაგრასთან" შეხვედრაში „ზესტაფონმა" მართლაც რომ შთამბეჭდავი პირველი ტაიმი შემოგვთავაზა -მჭიდრო პრესინგით, „ერთი შეხებით" თამაშით და ყველაფერ ამას სწრაფ ტემპში აკეთებდა. საინტერესო და, რაც მთავარია, ეფექტიანი გამოდგა სტუმართა ტაქტიკური განლაგება: ერთი გამოკვეთილი „ჩამშლელის" (**მურთაზ დაუშვილი**) წინ მოედნის ცენტრში ორი შემტევი ნახევარმცველი (**ალექსი ბენაშვილი, ირაკლი ძარია**) მოქმედებდა; ფლანგებიდან კი **ნიკა კვასხვაძე** (მარჯვნივ) და **ზურაბ იონანიძე** (მარცხნივ) აწუხებდნენ მეტოქეს. გამოკვეთილი ცენტრფორვარდი ჯერ ლევან მელქაძე იყო, მერე კი მის ნაცვლად შეცვლაზე შემოსული **ნიკა გელაშვილი**. სხვათა შორის, „ზესტაფონის" საუკეთესო ბომბარდირს ნახევარი საათიც „ეყო", რომ სამი სახიფათო მომენტი შეექმნა, საიდანაც ერთი ზუსტი აღმოჩნდა. ამ გუნდიდან კიდევ ორი ფეხბურთელის აღნიშვნა გვინდა - **უჩა ლობჟანიძემ** კვლავაც დაადასტურა, რომ საქართველოს ჩემპიონატში თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა; ხოლო **გიორგი ხიდეშელს** ამპლუის შეცვლა აშკარად მოუხდა და თუ ასე გააგრძელებს, მაღალი დონის ცენტრალურ მცველადაც ჩამოყალიბდება. აი, „გაგრაზე" კი, რაღა უნდა თქვათ; ფაქტია, რომ **ვლადიმერ ხაჩიძის** ახალგაზრდული გუნდის ფეხბურთელებს საშემსრულებლო ოსტატობა აშკარად აკლიათ. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, ეს ახალგაზრდა ბიჭები სათამაშო დისციპლინაშიც მოიკოჭლებენ: უკანასკნელ ორ შეხვედრაში გუნდმა საკუთარ კარში ექვსი გოლი გაუშვა და თითქმის ყველა მცველების პოზიციურ შეცდომებს მოჰყვა. „გაგრაზე" ვსაუბრობთ და ამ გუნდის უშუალო კონკურენტების შეხვედრაც ვახსენოთ: ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ „ბორჯომი"-"მესხეთის" მატჩის წინ, ბევრი ვარაუდობდა, რომ ახალციხელებს ამ შეხვედრაში აუცილებლად (!) სამი ქულა უნდა აეღოთ. ანუ, იმ „ბევრმა", ალბათ, „ბორჯომი" უკვე პირველ ლიგაში „გაუშვა"; თანაც „მესხეთს" ხომ, პირიქით, ქულები სჭირდებოდა. საბედნიეროდ, ეს ეჭვები არ გამართლდა: მწვრთნელ-კონსულტანტად **ოთარ გაბელიას** დანიშვნის მერე აშკარად მოფერიანებულმა „ბორჯომმა" თავგანწირვით იბრძოლა და მეზობლებთან პრინციპულ დაპირისპირებაში ფრეს მიაღწია. მატჩის უდავო გმირი კი „ბორჯომის" მეკარე **ბექა შეყრილაძე** გახლდათ - სულ მცირე, შვიდ-რვა (!!!) შემთხვევაში საკუთარი გუნდი აშკარა




გოლს რომ გადაარჩინა. სხვათა შორის, შეყრილაძემ წინა მატჩშიც ჩინებულად ითამაშა და სამართლიანადაც შევიყვანეთ მეცხრამეტე ტურის სიმბოლურ ნაკრებში. რაღა თქმა უნდა, შეყრილაძეს ეს პატივი ახლაც ერგო; ეგ კი არა, სულაც **ტურის საუკეთესო ფეხბურთელად** მივიჩნიეთ! არადა, საიუბილეო ჩემპიონატის დაწყებიდან პირველი შემთხვევაა, როცა „ტურის რჩეულად" მეკარეს ვასახელებთ!

„ბორჯომის" მსგავსად მეტისმეტად საჭირო ქულა მოიპოვა „სპარტაკმაც"; რა თქმა უნდა, **სერგო გაბელაიას** გუნდს კვლავაც არასახარბიელო სატურნირო მდგომარეობა აქვს, მაგრამ ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიც „ოლიმპია", ქულის მოპოვება იოლი საქმე ნამდვილად არ არის. მით უმეტეს, არავის უნდა დაავიწყდეს, რომ **ვარლამ კილასონიას** გუნდი მედლების მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. ისე, ამ შეხვედრაში ორი გოლი კი ვიხილეთ, მაგრამ ბევრი გამოუყენებელი მომენტიც იყო; მასპინძელთათვის ყველაზე მძიმე ბოლო წუთები გამოდგა, როცა „ოლიმპი" სამი ფორვარდით ცდილობდა სასურველი სამი ქულის მოპოვებას. სხვათა შორის, რუსთაველი კლუბის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა **გიორგი ჭელიძეს** - წესითა და რიგით, „პაჭელომ" „ოლიმპის" შეტევითი პოტენციალი ბევრად უნდა გააძლიეროს.

დაბოლოს, იმ ერთადერთ მატჩზეც, სადაც მასპინძლებმა გაიმარჯვეს. როგორც იქნა, „სიონმა" შეძლო და მეორე ეტაპზე პირველი შეხვედრა მოიგო. წინა ორ ტურში არადამაჯერებელი ასპარეზობის გამოც იყო, რომ **ოთარ კორღალიძემ** „სიონის" ძირითად შემადგენლობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა. თუმცა, მეორე ეტაპისთვის ერთიანად გადახალისებულმა „ლოკომოტივმაც" არ დატოვა ურიგო შთაბეჭდილება და **გიორგი ლომაიას** ჩინებული თამაშის წყალობით, გარკვეულ დრომდე ღირსეულ წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეს. საბოლოოდ, მასპინძლებმა მაინც იძალეს და ამაში ლომის წილი გუნდის ახალწვეულს, **მიხეილ ბობოხიძეს** მიუძღვის - გამოცდილი ფორვარდი შეცვლაზე შემოვიდა და საკუთარ გუნდს ორი საგოლე პასით შეეწია. სხვათა შორის, მეორე ტაიმის დასაწყისშივე სტუმრები კაცნაკლული დარჩნენ და ამანაც, რაღა თქმა უნდა, გარკვეული როლი ითამაშა. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, „სიონის" გამარჯვება მაინც კანონზომიერი იყო. ამ გამარჯვებით „სიონმა" ერთგვარი რევანშიც აიღო მეტოქესთან - ბოლნისში, ალბათ, დღესაც არ ავიწყდებათ, თუ როგორ დამარცხდა მათი საყვარელი გუნდი გასული წლის შემოდგომაზე თასის მეოთხედფინალში „ლოკომოტივთან"...

**გია ტუხაშვილი**



ვიტ ჯორჯია-დინამო 1:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის მწვრთნელი

სერგო გაბელაია

# რისკის გარეშე არაფერი გამოვა

## კარგად ვიცი, რომ თითქმის უშანსოდ ვართ

ცხინვალის „სპარტაკმა" სენსაცია გამოაცხო - ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ რუსთავის „ოლიმპს" შინ მნიშვნელოვანი ქულა აართვა. ვფიქრობთ, ამის გამო სერგო გაბელაიამ ტურის მწვრთნელობა დაიმსახურა, რადგან არც ერთი სხვა მწვრთნელისთვის ისეთი რთული არ იყო თუნდაც მოგება, როგორც აუტსაიდერი „სპარტაკისთვის" ფრე ერთ-ერთ ლიდერთან...

**- ბატონო სერგო, გილოცავთ! „ლელომ" ტურის მწვრთნელად დაგასახელათ. შეგიძლიათ, ცივი გონებით გააანალიზოთ „ოლიმპთან" მატჩის პერიპეტიები?**

- მადლობელი ვარ აღიარებისთვის. თუმცა ახლა ისეთ მდგომარეობაში ვართ, პირად აღიარებასა და დაფასებას არ დავეძებ, უმჯობესია, გუნდმა თამაშები მოიგოს. ძალიან რთული მეტოქე გვყავდა. „ოლიმპი" საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია. მიხარია, რომ წელს საუკეთესო ფეხბურთი სწორედ მათთან ვაჩვენეთ. არადა, მოგების შემთხვევაში, მესამე ადგილზე გადადიოდნენ და გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდათ. ფრეს კი მივაღწიეთ, მაგრამ დასანანი გოლი გავუშვით და ამიტომაც ვფიქრობ, რომ მეტი შეგვეძლო. მეორე მხრივ, ტაიმის მიწურულს „ოლიმპს" ანგარიში რომ არ გაეთანაბრებინა, არავინ იცის, მეორე ნახევარში როგორი მობილიზებული ითამაშებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, შედეგითაც კმაყოფილი ვარ და ხარისხითაც. იმედი გამიჩნდა, რომ უკეთესად თამაში შეგვიძლია.

**- თქვენი აზრით, ფრე „სპარტაკის" კარგი თამაშის დამსახურებაა, თუ მეტოქემ შესაძლებლობები ვერ გამოავლინა?**

- ყველაფერი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. არც ერთ გუნდს „ჩამჯდარი" ფეხბურთი არ უთამაშია და ვფიქრობ, ფრე სამართლიანი შედეგი იყო. „ოლიმპს" მოგება სჭირდებოდა და მონდომება არ აკლდა. ჩვენ კი კარგად გავითვალისწინეთ, ვის ვეთამაშებოდით. „ლოკომოტივთანაც" ასეთივე მობილიზებულები რომ ვყოფილიყავით, არ წავაგებდით.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ „სპარტაკი", ფაქტობრივად, გავარდნილია უმაღლესი ლიგიდან და შეუძლებელია, ამ აზრს არ დაეთანხმოთ. სატურნირო ცხრილი ყველაფერზე კარგად მეტყველებს.**

- გეთანხმებით და ეს სიახლე არავისთვისაა. გავარდნის რეალური საფრთხის წინაშე მაშინაც ვიდექით, როცა მთავარ მწვრთნელად დამნიშნეს. თუმცა გვსურს, სასწაული მოვახდინოთ და საფრთხე თავიდან ავიცილოთ. „სპარტაკში" ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ვთამაშობდი, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე და იქაურ ფეხბურთთან ბევრი რამ მაკავშირებს. მწვრთნელობაზე რეკომენდაცია სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის სპორტის კურატორმა, ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა მამუკა მამაცაშვილმა გამიწია. ეს ყველაფერი სხვაგვარ პასუხისმგებლობას მაკისრებს. უმცირესი შანსი დაგვრჩა და იქნებ, გამოვიყენოთ.

**- თქვენი აზრით, აუტსაიდერებს შორის რომელია „სპარტაკის" რეალური კონკურენტი?**

- ჩვენ ყველასთან ვიბრძვით - „ბორჯომთან", „გაგრასთან" და „მესხეთთან". ქულათა მარაგს თუ გადახედავთ, არც „მგლებს" აქვს თავი ქუდში, მაგრამ ზუგდიდელების გავარდნა წარმოუდგენელია - ძლიერი გუნდია, სერიოზულად აფინანსებენ და ეჭვი არ მეპარება, რომ უმაღლესში დარჩება.



**- გასავარდნად განწირული გუნდის მწვრთნელმა სარისკო გადაწყვეტილება მიიღეთ და ამ ზამთარს ლამის მთელი შემადგენლობა შეცვალეთ...**

- სწორედ ამაშია საქმე - რაკი საქმე გასავარდნად გვაქვს, ამიტომაც გავრისკე. რაღაც ხომ უნდა შემეცვალა? 1993 წლიდან უმაღლესი ლიგის გუნდებში ვმუშაობ და პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ რისკის გარეშე არაფერი გამოდის.

**- როგორც ვიცით, უმთავრესად თბილისში ვარჯიშობთ...**

- კი, თბილისში, ეგრეთ წოდებულ „ზეემკაზე" ვვარჯიშობთ, სადაც თბილისის „მერანის" ბაზაა. იქ საკმაოდ კარგი მოსამზადებელი პირობებია - ორი საფეხბურთო მოედანი, გასახდელები, ცხელი წყალი, გათბობა... „მერანის" საფეხბურთო სკოლაში მუშაობის დროს ადგილი მომეწონა და როცა „სპარტაკში" დამნიშნეს, სავარჯიშოდ სწორედ ეს ადგილი შევიგულე. იქაურობა მომწონს იმითიც, რომ მოშორებულია ქალაქის ხმაურს და მშვიდად შემიძლია გუნდთან მუშაობა.

**- საინტერესო მდგომარეობაში ხართ - ცხინვალის გუნდი თამაშობს გორში და ვარჯიშობს თბილისში. საშინაო მოედანთან გაუცხოება გუნდზე ცუდად არ მოქმედებს? საშინაო სარბიელის უპირატესობას კარგავთ...**

- მართალი ხართ, ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა. ისე არ გაიგოთ, თითქოს გორში მხოლოდ სათამაშოდ ჩავდივართ. კვირაში რამდენჯერმე იქაც ვვარჯიშობთ, თუმცა გაუცხოების ფაქტორი მაინც მოქმედებს. თბილისში საკმაოდ მძიმე გრუნტზე გვიწევს თამაში, გორში კი, „ქართლის" სტადიონზე, რბილი მოედანია. ფეხბურთელთა ხშირი ტრავმებიც იმითია გამოწვეული, რომ ერთი მოედნიდან მეორეზე გადავდივართ ხოლმე. თუმცა სხვა გამოსავალი არ გვქონდა. გორში ვარჯიშს ვერიდებით, რადგან სათამაშო მინდვრის დატვირთვა არასასურველია.

**- „სპარტაკში" თქვენი ვაჟიც თამაშობს. ეს უხერხულობას არ გიქმნით?**

- როგორ არ მიქმნის?! სხვისი შვილი რომ იყოს, მისი შესაძლებლობის ფეხბურთელისადმი უფრო მეტი ნდობა მექნებოდა. „ლოკომოტივთან" შეცვლაზე 9 წუთი ვათამაშე და „სპარტაკმა" ორივე მომენტი მისი აქტიურობის წყალობით შექმნა. მაინც ნაკლებად ვათამაშებ, ვინმემ რომ არ წამომაძახოს - შვილია და ამიტომ ათამაშებსო. იცის ფეხბურთი და ამიტომაცაა გუნდში. შეკრებაზე ვაკვირდებოდი და ჩემს რჩევებს ითვალისწინებდა. სხვათა შორის, ფეხბურთზე 18 წლისა შევიდა, სულ 3 წელია თამაშობს და პროგრესიც ეტყობა...

ტურის ფეხბურთელი

ბექა შეყრილაძე

# სათამაშო პრაქტიკა ძლიერ გუნდამდე მიმიყვანს

## რატომ გაუშვეს შეყრილაძე ოლიმპიდან?

„ბორჯომმა" ახალციხის „მესხეთთან" საკუთარ მოედანზე ქულა მეკარე ბექა შეყრილაძის ფანტასტიკური თამაშის წყალობით მოიპოვა. სტუმრები სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ, ბევრი მომენტიც შუქმნეს, მაგრამ... დიახაც, შეყრილაძეს ვერაფერი მოუხერხეს. „ლელომ" „ბორჯომის" მეკარეს შრომა დაუფასა და ტურის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია. სხვათა შორის, ეს არის პირველი შემთხვევა ამ სეზონში, როცა ტურის გამორჩეულ მოთამაშედ მეკარეს ვასახელებთ...

**- ბექა, ჩემპიონატის განახლების შემდეგ სამი ტური ჩატარდა და უკვე მეორედ მოხვდით „ლელოს" მიერ შედგენილ სიმბოლურ ნაკრებში. და რაც მთავარია, ჩვენმა გაზეთმა ტურის ფეხბურთელადაც დაგასახელათ. 2009 წელს მეორე სუნთქვა გაგეხსნათ?**

- მე ვარ საუკეთესო?! მადლობელი ვარ... მოულოდნელი აღიარებაა. თუმცა, მეორე მხრივ, მთელი კარიერის განმავლობაში საუკეთესოებთან მიახლოებას ვცდილობდი. შრომა არასდროს დამზარებია, თამაშზეც და ვარჯიშზეც მაქსიმალურად ვიხარჯები და, რა თქმა უნდა, აღიარება ძალიან მახარებს. ეს დიდი სტიმულია საიმისოდ, რათა მომდევნო შეხვედრებიც მაღალ დონეზე რომ ჩავატარო. მარტო ჩემთვის არ ვთამაშობ, ხალხი მიყურებს და მაფასებს...

**- ეტყობა, „ბორჯომში" ოთარ გაბელიას მისვლამაც იმოქმედა თქვენზე...**

- გაბელია დიდი მეკარე იყო და მისი ვარჯიშები თუ რჩევები ჩემთვის ბევრს ნიშნავს. შეუძლებელია, ამან უკვალოდ ჩაიაროს. ბოლოს და ბოლოს, გაბელიას მოსვლის დღიდან უფრო თავდაჯერებული ვარ. გულწრფელად ვამბობ, ასეთ ადამიანთან და მწვრთნელთან მუშაობა სასიამოვნოა.

**- საერთოდ, ფეხბურთელები თუ ადევნებთ თვალს, ვინ ხვდება ხოლმე „ლელოს" სიმბოლურ ნაკრებში?**

- რა თქმა უნდა. ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მერე ვაწყობთ განხილვას, ვინ რატომ მოხვდა, რამდენჯერ და ასე შემდეგ.

**- ...ან თუნდაც, ვინ არ იმსახურებდა სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრას. ამაზეც მსჯელობთ ხოლმე?**

- არა, ეს ბოლმიანი ხალხის საქმეა, მე სხვისი არასდროს შემშურებია.

**- რამ გაიძულათ, რომ ყველაზე გაჭირვებულ გუნდში გადასულიყავით? ბოლოს და ბოლოს, ტრანსპორტისა და კვების ხარჯი მაინც გჭირდებათ...**

- ფული ვის არ სჭირდება, მაგრამ მე 24 წლის ვარ და კარიერა უფრო მადარდებს, ვიდრე ფული. ფინანსური მხარე დროებით გვერდით გადავდე. სათამაშო პრაქტიკა ახლა ყველაზე მეტად მჭირდება და ამ კუთხით, „ბორჯომში" ყოფნა საუკეთესო ვარიანტია. თავს თუ გამოვიჩენ, ძლიერ გუნდში ამიყვანენ და საამისოდ, ყველაფერს ვაკეთებ.

**- ფაქტობრივად, ყველაფერი ისედაც გააკეთე - ლამის ჩარიცხული იყავით რუსთავის „ოლიმპში", მაგრამ „ბორჯომში" მიგაბრუნეს. რა გახდა ამის მიზეზი?**

- ფაქტობრივად, ასე იყო - კონტრაქტის პირობებზე მოლაპარაკებულები ვიყავით და ეს ტრანსფერი მხოლოდ ოფიციალურად იყო გასაფორმებელი. ამ დროს, „ოლიმპში" მიშა ალავიძე მიიყვანეს და მივხვდი, რომ თამაში არ მომიწევდა, ამიტომაც ვამჯობინე „ბორჯომში" დაბრუნება, სადაც გაცილებით მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნებოდა. მეორე წრეში ჩვენთან საკმაოდ კარგი ფეხბურთელები შეიკრიბნენ, შევთამაშდებით და იოლად ლიდერებიც ვერ დაგვამარცხებენ. ტყუილად ნურავინ იმედოვნებს, რომ ბორჯომში სასეირნოდ ჩამოვა.

**- „ოლიმპის" გარდა, სხვა სერიოზული წინადადება არ მიგიღიათ?**



- რუსთავში ჩასვლა და უკან დაბრუნება ისეთ სიტუაციაში მოხდა, სხვებთან კონტაქტისა და მოლაპარაკების დრო არც მქონდა. არც ვიცი, ჰქონდათ თუ არა სხვა კლუბებს ინტერესი. მოსამზადებელი ეტაპი რუსთაველებთან დავიწყე. ალავიძე რომ მოვიდა, ვიკითხე, საჭირო თუ არ ვარ, ახლავე წავალ-მეთქი. დამამშვიდეს, გვჭირდებიო, მაგრამ სეზონის გახსნამდე სამი დღით ადრე ველარ დამიმალეს - ვერ გათამაშებთო და ისევ „ბორჯომში" დაბრუნება მომიხდა.

**- მეკარისთვის სტაბილურობა ძალიან ბევრს ნიშნავს, თქვენ კი გუნდს ხშირად იცვლით. ეს ზრდაში ხელს შეგიშლით?**

- მეც დალაგებულ და მდიდარ გუნდში თამაში მირჩევნია, მაგრამ ყველაფერი ჩვენი სურვილით არ ხდება. სხვათა შორის, აუტსაიდერში თამაში მირჩევნია კიდეც, მეტი სათამაშო პრაქტიკა და დატვირთვა მაქვს. მეკარისთვის კი ეს აუცილებელია. ერთი თამაში ათ ვარჯიშს უდრისო - ჭკვიანი ხალხისგან ასე გამიგია და ეს აბსოლუტური სიმართლეა.

**- დამეთანხმებით, „ბორჯომი", ფაქტობრივად, გავარდნილია უმაღლესი ლიგიდან. თქვენ რისი იმედი გაქვთ?**

- ყველა შეხვედრაში თუ ბოლომდე ვიბრძოლოთ და გაბელიას მითითებებს კარგად შევასრულებთ, შეიძლება, რაღაცას მივაღწიოთ, თორემ მძიმე მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდით, საკამათო არ არის. სხვათა შორის, „ბორჯომში" ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, ხელფასების დარიგების იმედი გაგვიჩნდა და ესეც სტიმულია - ტყუილად არ ვითამაშებთ. გამგეობის ხალხი კერძო ბიზნესმენმა შეცვალა. ახალ მეპატრონეზე, სიმართლე გითხრათ, ამის მეტი არაფერი არ ვიცი.

**- წელან თქვით, ძლიერ კლუბში მოხვედრის იმედი მაქვსო. „თბილისში", „ლოკომოტივში", „დინამოსა" და იმავე რუსთავის „ოლიმპში" თამაშობდით. ამდენი შანსი რატომ ვერ გამოიყენეთ?**

- ცხოვრება გამართლებაცაა. ეტყობა, იღბალი არ მქონდა, თორემ შრომა და ვარჯიში არასდროს დამზარებია, პირიქით, ყოველთვის მონდომებული ვიყავი, მაგრამ სერიოზულ გუნდში დამკვიდრება დღემდე ვერ მოვახერხე. მთავარია, ცხვირი არ ჩამომიშვია და მჯერა, ადრე თუ გვიან ჩემსას მივაღწევ.

**- თუკი თეორიებს დავუჯერებთ, მეკარეები შეშლილები არიან. ასეა?**

- ვტოვებ შეშლილის შთაბეჭდილებას? მეუბნებიან, მეკარეებში ყველაზე ჭკუადამჯდარი შენ ხარო. შეშლილი მეკარე მეც არ მინახავს. საიდან დამკვიდრდა ეს აზრი, არ ვიცი. ვილაცის მოგონილი უფრო მგონია, ვიდრე რეალობა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

უჩა უგულავა

# კუპერი? აპრილში ვნახოთ...

ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი უჩა უგულავა უეფას შტაბბინიდან გასულ უქმეებზე დაბრუნდა. მოგეხსენებათ, უკვე მესამე წელია, რაც უგულავა უეფას მარკეტინგის კომიტეტის წევრია და ნიონშიც ამ კომიტეტის მორიგ სხდომას დაესწრო. შვეიცარიიდან დაბრუნებულ ვიცე-პრეზიდენტს ვიზიტსა და სხვა საინტერესო საკითხებზე გავესაუბრეთ...



**- ჯერ მარკეტინგის კომიტეტის სხდომაზე ვთქვათ. ძირითადად რა საკითხებზე იყო ლაპარაკი?**

- რამდენიმე საინტერესო საკითხი იყო, ვიტყოდი, გლობალური საკითხები. კერძოდ, ჩემპიონთა ლიგის შემოსავლებსა და სატელევიზიო უფლებებზე, კონკრეტულად კი 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლებებზე იყო ლაპარაკი... ჯერჯერობით, ეს მხოლოდ კანონპროექტია, დამტკიცებული არ არის, მაგრამ საინტერესო მსჯელობა გაიმართა ევრო 2012-ზე ფეხბურთელების იმიჯის სარეკლამოდ გამოყენების თაობაზე. თუ ეს პროექტი დამტკიცდა, მაშინ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ყველა მონაწილე ქვეყნის ფედერაციამ, თავად ფეხბურთელებთან შეთანხმების საფუძველზე, ამ რეკლამისთვის უეფას 5 გამორჩეული მოთამაშის კანდიდატურა უნდა წარუდგინოს. შედგება განხილვა და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

**- ქართულმა მხარემ რაიმე საკითხი თუ გაიტანა განსახილველად?**

- ამ ეტაპზე არაფერი.

**- შემოდგომაზე გადაწყდა, რომ საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის ჩვენი ფედერაცია უეფადან მილიონ ევროზე მეტს მიიღებს. ამ საკითხში წინსვლა თუ არის?**

- დიახ, ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ლაპარაკია 1.7 მილიონ ევროზე. აქედან, 1.2 მილიონი ევრო საფეხბურთო ინფრასტრუქტურას უნდა მოხმარდეს, 500 ათასი კი სოციალური პროექტების განხორციელებისთვისაა განკუთვნილი. მოკლედ, რამდენიმე პროექტია - კერძოდ, მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" სტადიონი, რუსთავში „ფოლადის" არენა... გაზონების შეცვლა... ამასთან, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის რეაბილიტაცია, უპირველესად მოედნის საფრის შეცვლა... ამ პროექტებზე კიდევ გვექნება მსჯელობა.

**- ამ ფულს როდის მივიღებთ?**

- თანხის ათვისება გაზაფხულიდან დაიწყება.

**- სოციალურ პროექტებში რა შედის?**

- სხვადასხვა ტურნირის ორგანიზება. მსგავსი აქამდეც არაერთი ჩაგვიტარებია და მომავალშიც ჩავატარებთ.

**- რამდენიმე თვის წინათ ქართულმა მხარემ უეფას თასის ფინალის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩასატარებლად 2011 და 2012 წლებისთვის შესაბამისი განაცხადი შეიტანა. ამ საკითხს რა გაგრძელება მოჰყვა?**

- უეფას თასის ფინალს რომ ვუმასპინძლოთ, ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, თბილისში და საერთოდ, დედაქალაქის სიახლოვეს საამისო ინფრასტრუქტურა არ არის. სტადიონი ნორმალური კი გვაქვს, მაგრამ უეფას თასის ფინალის სამასპინძლოდ სასტუმროებიც ბევრი უნდა გვქონდეს. სამწუხაროდ, ჩვენთან მაღალი კლასის სასტუმროების რაოდენობა ჯერ საკმარისი არ არის. უეფამ, უმთავრესად, ამ მხრივ მოგვცა რეკომენდაცია. შესაბამისად, ამ ეტაპზე, ჩვენ მიერ განაცხადის წარდგენას დადებითი პასუხი არ ექნება, სხვა გზა არ არის, უნდა მოვიცადოთ... როცა შესაფერისი ინფრასტრუქტურა გვექნება და მზად ვიქნებით, რომ უეფას თასის ფინალს ვუმასპინძლოთ, მაშინ ამას მივალწევთ კიდეც.

**- თითქმის ორი თვეა, რაც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად მუშაობთ. ახალ ფუნქციებზე ახლა უფრო მეტის თქმა შეგიძლიათ, ალბათ...**

- ერთი ის არის, რომ ძველებურად დაძაბული გრაფიკით აღარ მიწევს მუშაობა, თუმცა საქმე ცოტა ნამდვილად არ მაქვს... ამავე დროს, მარტიდან უკვე საკლუბო ლიცენზირებაზე გადავერთვებით. ესეც მასშტაბური სამუშაოა. დეტალურად განიხილება იმ კლუბების საკითხი, რომელთაც ლიცენზიების მიღების სურვილი აქვთ და სათანადო საბუთებიც წარმოადგინეს...

**- პირველ ლიგაში, აღმოსავლეთი ზონის ერთპიროვნულ ლიდერ საჩხერის „ჩიხურას" ლიცენზიისთვის დოკუმენტაცია არ ჰქონდა წარდგენილი. არადა, ამის გარეშე „ჩიხურა" უმაღლესში ვერ ითამაშებს. რას იტყვით ამაზე?**

- სამწუხაროდ, ვიდრე ნიონში გავემგზავრებოდი, სწორედ ამგვარი სიტუაცია იყო. ამ პერიოდში თუ შეიცვალა რამე, არ ვიცი. „ჩიხურამ" უმაღლეს ლიგაში ასპარეზობა სპორტული შედეგით რომც დაიმსახუროს, ლიცენზიის გარეშე აღზევებას ვერ შეძლებს. რა ვქნათ, თუ ამ კლუბს ლიცენზია არ ექნება, მის ადგილს მომდევნო გუნდი დაიკავებს.

**- ირლანდიაში ჩვენი ნაკრების მატჩი ნახეთ. რისი თქმა შეგიძლიათ?**

- რა უნდა გითხრათ... აღარც მინდა იმ მატჩის გახსენება... ისე, ერთს კი ვიტყოდი - მე პირადად, ექტორ კუპერის მუშაობით კმაყოფილი ვარ. ჩვენს ნაკრებს პროგრესი ეტყობა. უბრალოდ, დროა საჭირო, რომ ეს წინსვლა უფრო ნათლად გამოჩნდეს და კუპერის გარჯა შედეგებზეც აისახოს.

**- რამდენადაც ცნობილია, უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები ექტორ კუპერთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე. თუ ეს ასეა, როდის უნდა ველოდოთ არგენტინელ მწვრთნელთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებას?**

- ფედერაციის ხელმძღვანელთა აზრი ერთია - კუპერი უნდა დარჩეს. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია. კუპერი მონდომებული, შრომისმოყვარე, მაღალი დონის სპეციალისტია. ვფიქრობ, და ეს ჩანს კიდეც, რომ ჩვენს ნაკრებში მუშაობა მისთვისაც საინტერესოა და თავადაც არ იქნება კონტრაქტის გაგრძელების წინააღმდეგი. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ამ საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია.

**- და როდის გადაწყდება ეს საკითხი?**

- მოდით, ჯერ კვიპროსთან და ჩერნოგორიასთან მატჩები ჩავატაროთ. კონტრაქტზე კი აპრილში გვექნება მოლაპარაკება. მანამდე მეტს ვერაფერს გეტყვით.

დავით ცაზაძე

ინტერვიუ

ლევან კობიაშვილი

# დგება მომენტი, როცა საკუთარი თავის არ გჯერა

გასულ უქმეებზე, ბუნდესლიგის მორიგ ტურში, ლევან კობიაშვილის „შალკემ" ისტორიული მტერი დორტმუნდის „ბორუსია" ისტუმრა და 1:1 ითამაშა. გერმანულმა გამოცემებმა ჩვენებურის გარჯას საკმაოდ მაღალი შეფასება დაუწერეს, „ბილდმა" კი კობიაშვილისთვის სულაც „ორიანი" (გერმანული საზომით ჩინებული შეფასებაა) გაიმეტა.

კობიაშვილს წუხელ შევეხმიანეთ გერმანიაში და „შალკეს" გარდა, საკუთარ მომავალსა და ეროვნულ გუნდზეც ვესაუბრეთ. მაშ ასე, „ლელოს" კითხვებს საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი პასუხობს...

**- „ბორუსიასთან" პირველ ტაიმში ჩინებულად გამოიყურებოდი, მეორეში კი კარგად არ წაგივიდა თამაში. მაინც რა მოხდა, რამ გამოიწვია ეს?**

- ვფიქრობ, ეს იმის ბრალია, რომ მეორე ნახევარში მთლიანად გუნდმა ვერ ითამაშა კარგად, თითქოს, თამაშის სადავეები ხელიდან გაგვექცა. ფაქტობრივად, მეტოქეს ერთი საგოლე მომენტი ჰქონდა და ისიც გამოიყენა. სანამ ანგარიში გათანაბრდებოდა, კურანი დორტმუნდელთა მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ვერ გაიტანა. არადა, 2:0 რომ გამხდარიყო, „ბორუსიას" ველარაფერი უშველიდა, ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ...

**- „შალკე" ახლა მეცხრე ადგილზეა და ძნელად წარმოსადგენია, ევროტურნირის საგზური მოიპოვოს. რა მოტივაცია დარჩა „შალკეს" ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში?**

- წარმოუდგენელი არაფერია იმაში, რომ უეფას თასის საგზური მოვიპოვოთ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან ძნელი იქნება, რადგან უამრავი ქულა დავკარგეთ, მაგრამ იმის თქმა, რომ შანსი აღარ გვაქვს, გადაჭარბებული მგონია. ბოლო ტურამდე გავაგრძელებთ ბრძოლას.

**- ლევან ყენიას ჯანმრთელობის საქმე როგორ არის? როდის დაუბრუნდება მოედანს?**

- ყენია კვლავაც ვერ ვარჯიშობს გუნდთან ერთად. კუნთის ტრავმა ადრეც ჰქონდა და ისევ ის კუნთი, ოღონდ სხვა ადგილი დაიზიანა. ექიმები ზუსტად ვერაფერს ამბობენ. ყენიას მინიმუმ ორი კვირა დასჭირდება, რათა გუნდთან ერთად ვარჯიში განაახლოს.

**- უცხოურ პრესაში ქართველ ფეხბურთელებზე ყოველთვის კარგს არ წერენ. დავუშვათ, ლევან კობიაშვილი რომელიმე გერმანულმა გამოცემამ მწვავედ გააკრიტიკა და ეს გაზეთში გადმოვთარგმნეთ. როგორი იქნება შენი რეაქცია?**

- თუ ყველაფერი ისე ითარგმნა, როგორც დაიწერა და არაფერი დაემატა, ეს ჩვეულებრივი ამბავია. მოდით, ვაღიაროთ, რომ კრიტიკა არავის სიამოვნებს, მაგრამ რა გაეწყობა - ეს ჩვენი პროფესიის ერთ-ერთი ნაწილია და ამას ვერსად გავექცევით.

**- „შალკესთან" კონტრაქტი 2010 წელს გეწურება, იმ დროისთვის უკვე 33 წლის იქნები. არ გიფიქრია, რა გზას აირჩევ მერე? ფეხბურთელის კარიერა არ არის ხანგრძლივი...**

- ფეხბურთისთვის თავის დანებებას ჯერ არ ვაპირებ, მთავარია, ჯანმრთელად ვიყო. ახლა არ ვარ იმ ასაკში, რომ ამაზე ვიფიქრო.

**- დიდხანს თამაშს საკუთარი თავის განსაკუთრებული მოვლა სჭირდება - კვება, დასვენება, რეჟიმი... მაინც რა არის მთავარი ასეთ დროს?**

- ყველაფერი ერთად - კვებაც, დასვენებაც და ვარჯიშიც. ძნელია, იცხოვრო სპორტსმენის ცხოვრებით, მაგრამ ასე თუ არ მოიქცევი, ძალიან გაგიჭირდება.

**- მაინც რაზე ამბობ უარს? საყვარელ კერძებზე და ღამის ცხოვრებაზე?**

- როცა ვიცი, რომ მეორე დღეს ორჯერადი ვარჯიში მელის, წინა საღამოს არსად მივდივარ, ვისვენებ, ღამის პირველ-ორ საათამდე გართობის უფლებას საკუთარ თავს ვერ მივცემ. მთელი კარიერის განმავლობაში მიწევდა რაღაც-რაღაცებზე უარის თქმა. თვითონ უნდა განსაზღვრო, როდის რა გააკეთო. კვებას რაც შეეხება, საყვარელ კერძებს ყოველთვის ვერ მივირთმევ, რადგან ზედმეტ წონას ვერიდები. ერთი სიტყვით, რეჟიმის დაცვა ძნელია, მაგრამ ეს არის ჩემი ცხოვრება, ეს გზა მე თავად ავირჩიე.




**- თითქოს საქართველოს ნაკრებმაც აირჩია საკუთარი გზა, თითქოს თავიდანვე შეგუებულია წარუმატებლობას... ჩვენს ნაკრებში იცვლებიან მწვრთნელები და ფეხბურთელები, მაგრამ არ იცვლება შედეგი. თითქოს ჯგუფიდან გასვლა არ გვიწერია, თითქოს ყოველი შესარჩევი ციკლი ჩვენს ნაკრებს მის დაწყებამდე აქვს წაგებული. არ არის ძნელი ასეთ გუნდში თამაში?**

- ნამდვილად არ ვფიქრობ, თითქოს თავიდანვე წაგებულ თამაშს ვთამაშობ. თუმცა დგება მომენტი, როცა საკუთარი თავის აღარ გჯერა და ამაშია სწორედ პრობლემა. ამდენი წარუმატებლობის მერე თავიდან გვიწევს ყველაფრის დაწყება. ავიღოთ საქართველოს ნაკრების ბოლო მატჩი ირლანდიასთან. ჩვენ ნამდვილად გვაკლდა საკუთარი ძალების რწმენა, გავუშვით გოლი 11-მეტრიანიდან, მაგრამ ისევ და ისევ თავდაჯერებულობის არქონის გამო მალე მეორე გოლიც მივიღეთ, არადა, შეიძლებოდა ირლანდიიდან ქულის წამოღება.

**- თუ არ არის თავდაჯერებულობა, ეს ხომ ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რაზეც ზევით ვსაუბრობდით - ყოველ შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრები მარცხისთვისაა განწირული. ასეთ დროს რა არის ფეხბურთელების მოტივაცია?**

- ცხადია, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ ფინალურ ეტაპზე მოვხვდეთ, მაგრამ თითოეულ ფეხბურთელს უნდა, რომ ნაკრების მომდევნო მატჩში საუკეთესო იყოს და ამისთვის სათანადოდ მოემზადოს. დარჩენილ თამაშებში რაც შეიძლება მეტი ქულა უნდა დავაგროვოთ, თორემ შემდეგი შესარჩევისთვის ისევ ცუდ კალათში მოვხვდებით.

**- ნაკრებმა, რომელმაც მოგება არ იცის, ეს როგორ უნდა მოახერხოს?**

- უახლოესი მატჩი კვიპროსთან გვაქვს და თუ მოვიგებთ, მომდევნო შეხვედრას უკეთ ვითამაშებთ. ჩვენ ყველაზე მეტად რწმენა და მოტივაცია გვჭირდება, თორემ სულ ასე კარუსელივით ვიტრიალებთ... ჩვენი მთავარი შეცდომა ის არის, რომ გვაკლია თვითკრიტიკა, საკუთარ შეცდომებზე კი არაფერს ვსწავლობთ. და გრძელდება ასე წლების განმავლობაში...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 17. მოსამზადებელი ეტაპი



# ოცდაორი ოცდაექვსის წინააღმდეგ

## აზერბაიჯანისკენ, ორი ამხანაგური მატჩისთვის...

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის მზადებას განაგრძობს. თებერვლის დასაწყისში **გელა შეყილაძის** გუნდმა სლოვენიასა და ხორვატიაში ორ-ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ელიტრაუნდამდე ოთხი კვირა დარჩა და შესაბამისად, მოსამზადებელი ეტაპი დასკვნით ფაზაშია შესული. 17-წლამდელთა ნაკრები ამ თვეში კიდევ ორ გასვლით სპარინგს ჩაატარებს, ამჯერად, აზერბაიჯანელ თანატოლებთან. ეს მატჩები 26 და 28 თებერვალს გაიმართება. ჩვენი გუნდი სამეზობლოში დღეს გაემგზავრა. შეყილაძემ ამ თამაშებისთვის 22 ფეხბურთელი შეარჩია:

მეკარეები - **გიორგი აზნიაშვილი** (ნორჩი დინამოელი), **კახა მეშველიანი** (ტორპედო 2008);

მცველები - **ავთანდილ ბრაჭული** (არაგვი), **ნიკა აფაქიძე, ნიკა კვეკვესკირი** (ორივე ბაია), **ლევან საბაძე, ლევან მაზმიაშვილი** (ორივე დინამო), **დავით კუბლაშვილი** (ოლიმპიკი), **ცოტნე ხარაბაძე** (ტორპედო 2008), **მამუკა კობახიძე** (საბურთალო), **დავით კვანტალიანი** (ბათუმი);

ნახევარმცველები - **ნიკა ძალამიძე** (ბაია), **გიორგი კუხიანიძე** (ტორპედო 2008), **აკაკი სირბილაძე** (დილა), **მამუკა ლორია** (კოლხეთი, ფოთი), **გიორგი ჩელებაძე** (ბათუმი), **ჯაბა ჯიშკარიანი, კოტე გაბაშვილი** (ორივე ოლიმპი, თბილისი), **ლევან ელიზბარაშვილი** (ნორჩი დინამოელი);

თავდამსხმელები - **ბესიკ დეკანოსიძე** (ჩიხურა), **გიორგი ილურიძე** (დინამო), **ლაშა ჩაფიძე** (ნორჩი დინამოელი).

აზერბაიჯანში გამგზავრების წინ შეყილაძეს კომენტარი ვთხოვეთ: *„ამ ორი ამხანაგური მატჩით სელექციის პროცესი მთავრდება. შემადგენლობაში სამი დებიუტანტია - დავით კვანტალიანი, ლევან საბაძე, ლევან მაზმიაშვილი და კიდევ ოთხი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც გარკვეული პაუზის შემდეგ ისევ გამოვიძახე ნაკრებში - მამუკა ილურიძე, კოტე გაბაშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი და ავთანდილ ბრაჭული. ამ თამაშების შემდეგ უკვე შემეძლება იმის თქმა, რომ 17-წლამდელებში ყველა ფეხბურთელს მივეცით თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ახლა ყველაფერი თავად მოთამაშეებზეა დამოკიდებული. ელიტრაუნდში აზერბაიჯანის 17-წლამდელთა ნაკრებიცაა გასული და ამ გუნდთან ორი გასვლითი მატჩი ჩვენთვის უთუოდ სასარგებლო იქნება. მერე კი უკვე საბოლოოდ შევარჩევ იმ შემადგენლობას, რომელსაც, სავარაუდოდ, 5 ლეგიონერი დაემატება. ელიტრაუნდის დაწყებამდე ლუქსემბურგში დასკვნითი ამხანაგური მატჩი, ფაქტობრივად, გენერალური რეპეტიცია გვექნება“.*

ორივე მატჩი სუმგაითში გაიმართება. 26 თებერვლის შეხვედრა თბილისის დროით 16 საათზე დაიწყება. კონკრეტულად ამ თამაშებისთვის ემზადება აზერბაიჯანის 17-წლამდელთა ნაკრებიც. მეტოქე გუნდის თავკაცმა **ბერჰარდ ლიპერტმა** 26 ფეხბურთელი გამოიძახა.

**დავით ცაბაძე**

ფუტსალი

ევროპის ჩემპიონატი

# საქართველო ჯგუფიდან გავიდა



მოგეხსენებათ, ფუტსალში საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ასპარეზობდა. **ავთანდილ ასათიანის** (მოთამაშემწვრთნელი) გუნდმა სასტარტო ტურში ჩვენი ჯგუფის მასპინძელი მალტა 3:1 დაამარცხა. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ პირველი ტურის შემდეგ ქართულ კრებულს **რევაზ დევდარიანი** და **ლაშა თორთლაძე** დაემატნენ. მეორე შეხვედრაში ჩვენმა ფუტსალელებმა ჯგუფის ფავორიტ საბერძნეთთან 0:5 წააგეს, ალბანეთმა კი მალტა დაამარცხა - 5:2. ჩვენს გუნდს, ორ საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის მოსახვედრი შანსის შესანარჩუნებლად, დასკვნით ტურში მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს. საქართველომ მიზანს მიაღწია - ალბანეთი 3:0 დაამარცხა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჯგუფიდან გასასვლელად. ბოლო ორ მატჩში ამ ფეხბურთელებმა ითამაშეს: **ლევან ზაქაიძე, ირაკლი შელეგია, ლაშა ცნობილაძე, დავით დარჩია, დავით ბობოხიძე, კახაბერ ახალაძე, ლევან გაბუჩია, ავთანდილ ასათიანი, არჩილ ბოკერია, გიორგი სოზაშვილი, კახაბერ მაისაია, რევაზ დევდარიანი, ლაშა თორთლაძე.**

დასკვნით ტურში ბერძნებმა მასპინძლებს 5:1 სძლიეს და ასპროცენტიანი მაჩვენებლით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს. საკვალიფიკაციო ეტაპიდან ელიტრაუნდში 4 ჯგუფის თითო გამარჯვებული და 2 საუკეთესო მეორეადგილოსანი გავიდა. ამ ექვსეულს საუკეთესო რეიტინგის მქონე 22 ნაკრები დაემატა, საბოლოოდ კი 28 გუნდი შვიდ ჯგუფში ასე გადანაწილდა:

I ჯგუფი: **უკრაინა, ჰოლანდია, რუმინეთი, ანდორა**

II ჯგუფი: **ესპანეთი, სლოვაკეთი, მოლდოვა, ყაზახეთი**

III ჯგუფი: **ჩეხეთი, ხორვატია, ბოსნია, ლატვია**

IV ჯგუფი: **იტალია, ბელარუსი, ლიტვა, საქართველო**

V ჯგუფი: **სერბეთი, ბელგია, მაკედონია, საბერძნეთი**

VI ჯგუფი: **პორტუგალია, პოლონეთი, აზერბაიჯანი, ფინეთი**

VII ჯგუფი: **რუსეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ჩერნოგორია**

ჩვენი ჯგუფის მატჩებს ლიტვა უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრებს მოსამზადებლად დიდი დრო არ აქვს. ელიტრაუნდის მატჩები 19-22 მარტს გაიმართება. ჯგუფებიდან ფინალურ ეტაპზე თითო გუნდი გავა, ამ შვიდეულს კი მასპინძელი უნგრეთი დაემატება. ფინალური ეტაპის მატჩები 2010 წლის 18-30 იანვარს ბუდაპეშტსა და დებრეცენში გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

მინიფეხბურთი

# არველაძის, ნემსაძისა და ჯამარაულის ფაქტორი

## ნახევარფინალისკენ, საქველმოქმედო აქციის გავლით




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

22 თებერვალს საქართველოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში, ბიზნესკომპანიებს შორის მინიფეხბურთში მიმდინარე ჩემპიონატის, „ბიზნესის ჩემპიონთა ლიგის“ მეოთხედფინალური ეტაპის მატჩები და სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ბავშვებისთვის საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

აქციაში მონაწილეობა ამჯერად კომპანია „ვისოლისა“ და სეუ-ს (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი) გუნდებმა მიიღეს, რომლებმაც მეოთხედფინალური მატჩის წინ ბავშვებს სპორტული ინვენტარი, მაისურები, ბურთები და სხვადასხვა პრიზი გადასცეს.

პროექტის ფარგლებში ბავშვებმა გუნდებთან ერთად სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს და „ვისოლსა“ და სეუ-ს გულშემატკივრობა გაუწიეს, ტაიმებს შორის კი ერთმანეთშიც ითამაშეს. ტურნირის ორგანიზატორების - საქართველოს ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ და კომპანია SBM Georgia-ს გადაწყვეტილებით საქველმოქმედო აქციები ამიერიდან პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.

უშუალოდ ტურნირს რაც შეეხება, თასის მეოთხედფინალური შეხვედრები დაძაბული და საინტერესო გამოდგა. დღის პირველ მატჩში „სარბიელმა“ „ოლიმპიური ვარსკვლავი“ 2:1 დაამარცხა, ასევე მინიმალური სხვაობით იმარჯვეს სპორტის დეპარტამენტმა, სეუ-მ და „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“.

სარბიელელებმა „ოლიმპიური ვარსკვლავი“ დაამარცხეს (2:1), სპორტის დეპარტამენტმა კი, რომლის შემადგენლობაში ამ უწყების თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმაც** ითამაშა, „პეპსის“ 1:0 მოუგო, სეუ-მ „ვისოლი“ დაამწუხრა (2:1), დღის ბოლო მატჩში კი **არჩილ არველაძით, გიორგი ნემსაძითა** და **გოჩა ჯამარაულით** გაძლიერებულმა „იბერია ბიზნეს ჯგუფმა“ კომპანია „ალგორითმს“ 2:1 სძლია.

მატჩებს შორის ინტერვალისას დავით ნამგალაურმა ტურნირის ბომბარდირი (26 გოლი), სეუ-ს ფეხბურთელი **დავით გოგოლაძე** და 36 წლის იუბილარი არჩილ არველაძე, რომელმაც ამ თარილს გამარჯვების გოლი უძღვნა, მაისურებითა და საგანგებო პრიზებით დააჯილდოვა. თასის ნახევარფინალური ეტაპი 1 მარტს გაიმართება. „სარბიელი“ „იბერია ბიზნეს ჯგუფს“, ხოლო სპორტის დეპარტამენტი სეუ-ს დაუპირისპირდება, ფინალი კი 8 მარტსაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული ფედერაციის „სპორტი ყველასათვის“ და კომპანია SBM Georgia-ს თაოსნობით ბიზნესკომპანიებს შორის მინიფეხბურთში პირველი ღია ჩემპიონატი 2008 წლის ნოემბერში დაიწყო. მასში A და B ჯგუფში გადანაწილებული 20 ჩაება, 15 მარტიდან კი 12-გუნდიანი სუპერლიგით განახლდება, რომელშიც საუკეთესოები გააგრძელებენ ჩემპიონობისთვის ბრძოლას.

**გიორგი ჭანიშვილი**

ლეგიონი



დავით იმედაშვილი

# მარცხიანი დებიუტი

დღეიდან უნგრეთის მოპრონილიგა ჩვენთვის საინტერესო ტურნირია, რადგან იქ სამი ქართველი ლეგიონერი ითამაშებს. **დავით იმედაშვილის** დებიუტი უკვე შედგა. ის უნგრულ „ნირედიჰაზა სპარტაკუსში“ გაანათხოვრეს. სეზონი კვირას განახლდა. ჩვენებურის გუნდმა ერთ-ერთ ლიდერ „უიპეშტთან“ შინ 1:3 წააგო. 24 წლის იმედაშვილმა შეუცვლელად ითამაშა. დღეს **რატი ალექსიძისა** და **დავით ოდიკაძის** „დიორი ეტო“ „ჰალადაშს“ ეთამაშება, თუმცა შეიძლება ეს მატჩი გადაიდოს. „ნირედიჰაზა“ 24 ქულით მე-6 ადგილზეა, „დიორი ეტო“ კი 18 ქულით მე-14 საფეხურს ამაგრებს.

# გვაზავას კვლავ უფრთხილდებიან

**ლევან გვაზავას** „ტერეკი“ „მტზ-რიპოს“ (ბელარუსი) ამხანაგურ მატჩში ქართველის გარეშე გაეჯიბრა და 2:0 მოუგო. ამ მატჩში მინსკელთა რიგებში ითამაშეს **გივი კვარაცხელიამ** (90 წუთი) და **არჩილ ფარტენაძემ** (ბოლო 25 წუთი). გვაზავას მცირე ტრავმა აქვს, რის გამოც მას მთელი საწვრთნელი შეკრება გაუცდა.

# წვიმამ ჩაშალა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა „დნიპრომ“ მორიგი სპარინგი გამართა და რუსულ „ხიმკისთან“ 3:2 იმარჯვა. **სანდრო კობახიძემ** და **ჯაბა კანკავამ** მეორე ტაიმი ითამაშეს, **ბექა გოცირიძე** კი არ გამოჩენილა. გუშინ „დნიპროს“ კრასნოდარის „ყუბანთან“ უნდა ეთამაშა, თუმცა თურქულმა ამინდმა დაალალატა - სპარინგი კოკისპირული წვიმის გამო ჩაიშალა.

# დვალიშვილმა პრეზიდენტის თასზე გაიტანა

თურქმენეთის პრეზიდენტის თასზე რიგის „სკონტომ“ ირანული „პემათი“ 6:0 გაანადგურა. ერთი გოლი **ვლადიმერ დვალიშვილის** ანგარიშზეა (პენალტი), ითამაშა **დავით გამეზარდაშვილმაც**. ამ ტურნირის საპრიზო ფონდი 35 ათასი ამერიკული დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა — 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# დიდი მწვრთნელების მეცამეტე დაპირისპირება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოურინიოს სერ ალექსთან საუცხოო სტატისტიკა აქვს, კატალონიელები კი ლიონთან მატჩში სკეპტიკოსების გაჩუმებას აპირებენ...



დღეს ძველი მეტოქეების, ჟოზე მოურინიოსა და სერ ალექს ფერგიუსონის დაპირისპირება განახლდება

### არსენალი-რომა

ტრავმების მიუხედავად, "რომამ" განაცხადში შეიყვანა ორი წამყვანი მოთამაშე – **ჟუანი** და **მირკო ვუჩინიჩი**. ისინი ლონდონში გაემგზავრნენ, თუმცა მათი ასპარეზობა საეჭვოა. "რომა" და "არსენალი" ევროპული ფეხბურთის გრანდები არიან, მაგრამ ამ სეზონში ორივეს სერიოზული პრობლემები აქვს. "არსენალს" პრემიერლიგაში მეხუთე ადგილი უკავია და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი მეოთხე საფეხურისაგან ექვსი ქულა ჰყოფს. "რომა" სერია A-ში მეექვსეა, თუმცა მეოთხე ადგილისაგან (და შესაბამისად, ლიგის საგზურისაგან) სულ რალაც ორი ქულა აშორებს.

"არსენალი", შესაძლოა, საგაისო ჩემპიონთა ლიგის მიღმა დარჩეს. გუნდის ხელმძღვანელობა უკვე შეეგუა იმას, რომ "მეთოფეები" ინგლისის ჩემპიონები ვერ გახდებიან, მაგრამ ლიგის მიღმა დარჩენა მეტისმეტია. ლონდონელთა აღმასრულებელმა დირექტორმა **ივან გაციდისმა** გამაფრთხილებელი განცხადება უკვე გააკეთა: *"არსენალი" ჩემპიონთა ლიგის შემოსავლების გარეშეც უპრობლემოდ გაიტანს თავს, მაგრამ სპორტული თვალსაზრისით, ლიგის მიღმა დარჩენა აბსოლუტურად მიუღებელია."* ინგლისელი მიმომხილველების აზრით, ჩემპიონატში მეხუთე ადგილის დაკავება **არსენ ვენგერის** პოზიციებს საგრძნობლად შეასუსტებს.

"არსენალმა" პრემიერლიგის ბოლო სამი საშინაო მატჩი უგოლოდ დაასრულა. მოსიე ვენგერი ამას იმით ხსნის, რომ მეტოქეები "ემირიტსზე" სტუმრობისას ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ. ლონდონელთა თავკაცმა იმედი გამოთქვა, რომ "რომასთან" მატჩი გაცილებით გახსნილი და სანახაობრივი იქნება: *"არა მგონია, ისინი უგოლო ფრესათვის ჩამოვიდნენ. ჩემი აზრით, მეტოქე ნამდვილ იტალიურ სტილში ითამაშებს და ჩვენს კონტრშეტევაზე გამოჭერას ეცდება."*

მასპინძლებს საკადრო პრობლემები აქვთ. ახალგამოჯანმრთელებულმა **ედუარდომ** მუხლის მყესები დაიჭიმა და ორკვირიანი დასვენება გამოიწერა. მუხლი აწუხებს **ემანუელ ადებაიორსაც**. ის კიდევ ორი კვირა ვერ ითამაშებს. **ფრანსესკ ფაბრეგასის** მწყობრში ჩადგომას კიდევ ერთი თვე დასჭირდება. **ტომაშ როსიცკიმ** ვარჯიში განაახლა, მაგრამ მისი დაბრუნების თარილი უცნობია. **თეო უოლკოტიც** დაახლოებით ორ კვირაში უნდა დაბრუნდეს. **მიკაელ სილვესტრი** განაცხადშია და ძირითადში უნდა ითამაშოს.

ტრავმებს რომაელთა ბანაკშიც უჩივიან. "სიენასთან" ბოლო ტურის მატჩი (1:0) გამოტოვეს მირკო ვუჩინიჩმა, **ალბერტო აკვილანიმ**, **მარკო კასეტიმ** და **ჟერემი მენესმა**. ამავე შეხვედრაში დაშავდნენ **ჟუანი** და **სისინიო**. იტალიელი მიმომხილველებისათვის ბოლო წუთამდე უცნობი იყო, თუ რომელიმე მათგანი მოახერხებდა "არსენალის" წინააღმდეგ თამაშს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი:** ალმუნია, ებუე, გალასი, სილვესტრი, ჯურუ, სონგი, რემსი, დიაბი, დენილსონი, ველა, ბენდტნერი.

**რომა:** დონი, რიისე, ჟუანი, მექსე, პანუჩი, ბრიგი, დე როსი, პეროტა, მენესი, ტოტი, ბაპტიშტა.

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

### ატლეტიკო-პორტუ

გასულ უქმეებზე "ატლეტიკომ" "სევილიასთან" მინიმალური ანგარიშით წააგო. მეტოქემ გამარჯვების გოლი მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გაიტანა. **აბელ რესინომ** მადრიდელთა მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი მარცხი იწვნია. მისი შეგირდები მეოთხე ადგილზე მყოფ "ვილიარეალს" ხუთი ქულით ჩამორჩნენ.

"ატლეტიკო" ესპანეთის ჩემპიონობისათვის ველარ იბრძოლებს. მისი ამოცანაა შარშანდელივით ჩემპიონთა ლიგის საგზურის დაუფლება. თუ მადრიდელები ჩემპიონატს მეოთხე ადგილზე დაასრულებენ, ეს უკვე დიდ წარმატებად ჩაეთვლებათ.

დღეს "ატლეტიკო" "პორტუს" ეთამაშება. ესპანელებს დაცვის ხაზში პრობლემები აქვთ. ვერ ითამაშებს კოლუმბიელი ლეგიონერი **ლუის პერეა**. მას დღევანდელი შეხვედრა დისკვალიფიკაციის გამო უნდა გაეცდინა, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პერეას ვერც ორი კვირის შემდეგ განმეორებით მატჩში ვიხილავთ. "სევილიასთან" თამაშისას, ლუისი მეტოქეს ისეთი ძალით შეეჯახა, რომ მინდორზე უგონოდ დაეცა.

მას პირველადი სამედიცინო დახმარება მოედანზევე აღმოუჩინეს, შემდეგ მანქანაში მოათავსეს და საავადმყოფოში გააქანეს. საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ლუის პერეას სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მას მარცხენა ყვრიმალის ძვალი აქვს გატეხილი. ექიმებმა ფეხბურთელს ერთთვიანი დასვენება გამოუწერეს.

"პორტუმ" ბოლო ტურის შეხვედრა პარასკევს გამართა. მან სტუმრად "პაკუშ ფერეირას" 2:0 მოუგო. დღევანდელი მატჩისათვის მოსამზადებლად "პორტუს" მეტოქეზე ერთით მეტი დღე ჰქონდა. ესპანეთში გამგზავრების წინ მწყობრში ჩადგა წამყვანი მცველი **ჟორჟე ფუჩილე**. მთავარმა მწვრთნელმა **ჟეზუალდო ფერეირამ** ის უმალ განაცხადში შეიყვანა. ტრავმის გამო პორტუგალიელებს **ფრედი გუარინი** ვერ დაეხმარება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო, სეიტარიდისი, პაბლო, უიფალუში, ა.ლოპესი, ბანეგა, ლუის გარსია, სიმაო, მაქსი როდრიგესი, აგუერო, ფორლანი.

**პორტუ:** ელტონი, ფუჩილე, როლანდო, სისოხო, ლუჩო გონსალესი, ფერნანდო, რაულ მეირელეში, ლ.ლოპესი, ჰალკი, კრისტიან როდრიგესი.

**მსაჯი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

### ინტერი-მანჩესტერ იუნ.

**ჟოზე მოურინიო** "იუნაიტედთან" შეხვედრას მოუთმენლად ელოდება. "ბლექბერნთან" ბოლო ტურის მატჩამდე (2:1), "ეშმაკებს" 14 თამაშის განმავლობაში გოლი არ ჰქონდათ გაშვებული. მავანს, შეიძლება, სიგიჟედ მოეჩვენოს ის, რომ მოურინიოს სწორედ ამ გუნდთან დაპირისპირება ხიბლავს. მაგრამ ინგლისის ჩემპიონებთან საუცხოო სტატისტიკა აქვს: "პორტუსა" და "ჩელსის" დამრიგებლის რანგში, მოურინიო **სერ ალექს ფერგიუსონს** 12-ჯერ შეხვდა, ექვსჯერ გაიმარჯვა, ხუთი მატჩი ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთხელ წააგო.

მოურინიოსა და ფერგიუსონის დაპირისპირებათა ისტორია 2004 წელს დაიწყო, როდესაც ლიგის მერვედფინალში "პორტუ" "მანჩესტერ იუნაიტედს" შეხვდა. პირველი რაუნდი პორტუგალიაში მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1.

განმეორებითი მატჩის 90-ე წუთამდე "იუნაიტედი" მინიმალური ანგარიშით იმარჯვებდა და მეოთხედფინალის საგზური, ფაქტობრივად, ჯიბეში ედო. მაგრამ მსაჯისაგან დამატებულ წუთებზე **კოშტინიამ** ანგარიში გაათანაბრა და მომდევნო რაუნდში "პორტუ" გაიყვანა. მოურინიოს შეგირდები ამით არ დაკმაყოფილდნენ და იმ წელს ჩემპიონთა თასი დაისაკუთრეს.

"ჩელსიში" გატარებული სამი წლის განმავლობაში მოურინიომ ფერგისთან კიდევ ათი მატჩის გამართვა მოასწრო (ხუთი მოგება, ოთხი ფრე და ერთი მარცხი). 2007 წელს მოურინიომ სერ ალექსი ასოციაციის თასის ფინალში დაამარცხა.

"მანჩესტერ იუნაიტედი" "ინტერს" უკანასკნელად ათი წლის წინ, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შეხვდა. "ეშმაკებმა" ორი მატჩის ჯამში 3:1 გაიმარჯვეს (და იმ სეზონში ჩემპიონთა თასსაც დაეუფლნენ). "მანჩესტერ იუნაიტედი" ლიგაში 19-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებს თავს. "ეშმაკების" ბოლო მარცხი 2007 წლის აპრილით თარიღდება, როდესაც "იუნაიტედმა" "ჯუზეპე მეაცაზე" (ის დღესაც ამ სტადიონზე ითამაშებს) "ინტერის" თანაქალაქელ "მილანთან" წააგო.

"ინტერი" სერია A-ს ერთპიროვნული ლიდერია. ის უახლოეს მდევარ "იუვენტუსს" ცხრა ქულით უსწრებს. "მანჩესტერ იუნაიტედიც" ერთპიროვნულად ლიდერობს პრემიერლიგას. მას მეორე ადგილზე მყოფი "ლივერპული" შვიდი ქულით ჩამორჩება. "ინტერი" ზედიზედ მეოთხე სკუდეტოს უმიზნებს, "მანჩესტერი" – ზედიზედ მესამე საჩემპიონო ტიტულს. "იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ჩემპიონია, "ინტერს" კი ეს ჯილდო შორეული 1964 და 1965 წლების შემდეგ არ ღირსებია.

მოურინიო: *"არ მინდა, ჩემი ფეხბურთელები მოედანზე შებოჭილები გავიდნენ. მინდა, რომ მათ ლაღად ითამაშონ. "მანჩესტერ იუნაიტედი" მსოფლიოს საუკეთესო კლუბია. ისინი კონტრშეტევებზე სახიფათოდ თამაშობენ. ჩვენ ამ საფრთხეს გონივრულად უნდა გავუმკლავდეთ."*

მოურინიომ "ბოლონიასთან" ბოლო ტურის მატჩისას (2:1) **დეიან სტანკოვიჩი** დაასვენა. სერბი ნახევარმცველი "იუნაიტედის" წინააღმდეგ **ზლატან იბრაჰიმოვიჩისა** და **ადრიანოს** უკან ითამაშებს. **პატრიკ ვიეირამ** ეს-ესაა ტრავმა მოიშუშა. მისი ძირითადში ასპარეზობა საეჭვოა. მოურინიოს ყველაზე სერიოზული პრობლემები დაცვაში აქვს. **ვალტერ სამუელი** და **კრისტიან კივუ** დაშავებულები არიან.

"იუნაიტედს" ცენტრალური მცველი **ნემანია ვიდიჩი** აკლია. საკლუბო მუნდიალზე მიღებული წითელი ბარათის გამო ის დისკვალიფიკაციას იხდის. ვიდიჩის შემცვლელი **ჯონი ევანსი** "ბლექბერნთან" მატჩისას დაშავდა. **ვესლი ბრაუნი** და **გარი ნევილი** იტალიაში საერთოდ არ გაემგზავრნენ. ფერგიუსონი: *"ორი ჯანმრთელი ცენტრალური მცველის შერჩევა მიჭირს. ჯონი ევანსის თამაში ძალიან საეჭვოა. იმედია, ჯონ ოში მაინც ითამაშებს."*

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, კივუ, სანტონი, ძანეტი, კამბიასო, მუნტარი, სტანკოვიჩი, ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი.

**იუნაიტედი:** ვან დერ სარი, რაფაელი, რიო ფერდინანდი, ოში, ევრა, ქერიკი, სქოულზი, გიგზი, რონალდო, რუნი, ბერბატოვი.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

### ლიონი-ბარსელონა

"ბარსელონამ" პრიმერა დივიზიონის ბოლო ორ ტურში ხუთი ქულა გააწიავა. **პეპ გვარდიოლას** შეგირდებმა ჯერ "ბეტისთან" ითამაშეს ფრედ (იმ "ბეტისთან", რომელსაც ამ უქმეებზე "რეალმა" სასტიკი დღე აყარა, 6:1), ხოლო შემდეგ თანაქალაქელ "ესპანიოლთან" წააგეს (1:2). სამეფო კლუბმა ამით ისარგებლა და კატალონიელებთან სხვაობა შვიდ ქულამდე დაიყვანა.

დღეს "ბარსელონა" საფრანგეთის უცვლელ ჩემპიონ "ლიონს" ეთამაშება და გამარჯვებას აპირებს. კატალონიელთა ბანაკში ყველა დარწმუნებულია, რომ მეოთხედფინალის საგზური მათ დარჩებათ. **კარლეს პუიოლი:** *"მართალია, ბოლოდროინდელი შედეგებით თავს ვერ მოვიწონებთ, მაგრამ ჩვენს ძალებში დაეჭვების საფუძველი არ არსებობს. წაგება ყოველთვის მტკივნეულია. "ესპანიოლთან" ნამატჩევს გასახდელში ყველა დამწუხრებული იყო, მაგრამ მოუთმენლად ველით მომდევნო მატჩს, რათა სკეპტიკოსებს იმედები გავუცრუოთ."*

კატალონიურ დერბიში "ბარსას" **ერიკ აბიდალი** დაუშავდა. ფრანგ მცველს რვა კვირა გაუცდება. გუარდიოლა დაცვის მარცხენა ფლანგზე პუიოლის გადაწევას აპირებს. დაშავებულია ცენტრალური ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა**. მის ადგილს **სეიდუ კეიტა** დაიკავებს. კეიტამ "ესპანიოლთან" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. მიმომხილველებმა მისი ასპარეზობა არაერთგვაროვნად შეაფასეს.

გასულ უქმეებზე "ლიონმა" "ნანსის" სძლია (2:0). ლიონელთა თავკაცმა **კლოდ პიუელმა** სამი წამყვანი ფეხბურთელი – **ჟუნინიო, ედერსონი** და **ქარიმ ბენზემა** დაასვენა. ფრანგებს ორი წამყვანი მცველი – **ფრანსუა კლერი** და **ანტონი რევეიერი** აკლიათ. გამოჯანმრთელდა გარემარბი **სიდნი გოვუ**, მაგრამ მოედანზე გასასვლელად ჯერ მზად არ არის. აღსანიშნავია, რომ "ლიონი" ზედიზედ მეხუთედ თამაშობს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. გუნდის საუკეთესო მიღწევა ლიგის მეოთხედფინალში ასპარეზობაა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი:** ლორისი, გროსო, კრისი, ბუმსონგი, მენსა, ტულალანი, ჟუნინიო, კალსტრიომი, ედერსონი, დელგადო, ბენზემა.

**ბარსელონა:** ვალდესი, დანიელ ალვეში, ხერარდ პიკე, რაფაელ მარკესი, პუიოლი, იაია ტურე, კეიტა, ჩაბი, მესი, ეტოო, ანრი.

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**შალვა ბიბილაშვილი**

პრესკონფერენცია | ჟოზე მოურინიო

# გამარჯვება, თუნდაც მინიმალური ანგარიშით...

**დღეს, ჩემპიონთა ლიგის ფლეიოფები დაიწყება და ევროპული ფეხბურთის გრანდები დიდ ბატალიებში ჩაებმებიან. ცხოველ ინტერესს იწვევს შეხვედრა, რომელიც „ჯუზეპე მეაცას“ სახელობის სტადიონზე გაიმართება. ერთმანეთს იტალიის სერია A-ს და ინგლისის პრემიერლიგის ერთპიროვნული ლიდერები დაუპირისპირდებიან. „ინტერი“ - „მანჩესტერის“ წინააღმდეგ და ამით ყველაფერია ნათქვამი. გუშინ, „ნერაძურის“ მთავარმა მწვრთნელმა, ჟოზე მოურინიომ კლუბის ბაზაზე პრესას უმასპინძლა და მოახლოებული შეხვედრის გარდა, სხვა თემებზეც ისაუბრა.**



**- როგორი განწყობით ხვდებით „მანჩესტერთან“ დაპირისპირებას?**

- განწყობა საბრძოლია. კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ წინ ურთულესი პაექრობა გველის. უკეთესი იქნებოდა, პირველი შეხვედრა სტუმრად გვეთამაშა, მაგრამ ახლა ვერაფერს შევცვლით. ჩვენთვის სასურველი შედეგის მიღება იოლი არ იქნება, თუმცა თუ მოვინდომებთ და ბოლომდე დავიხარჯებით, მიზანს აუცილებლად მივაღწევთ.

**- რა შედეგი ჩაითვლება სასურველად?**

- გამარჯვება, თუნდაც მინიმალური ანგარიშით. შეგირდებს ისეთ შედეგს ვერ მოვთხოვ, რომელიც მანჩესტერში მშვიდად ჩასვლის საშუალებას მოგვცემს. ეს უსაფუძლო და უსამართლო მოთხოვნა იქნება, რადგან ჩვენ წინააღმდეგ მსოფლიო ფეხბურთის აღიარებული გრანდი ითამაშებს. მინიმალური ფორაც კი მისაღები იქნება, ასეთ შემთხვევაში, ინგლისში ფავორიტის რანგში ჩავალთ.

**- იქნებ უფრო ვრცლად ისაუბროთ მეტოქეზე?**

- ზემოთაც ვთქვი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დიდი გუნდია, რომელიც ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ამ გუნდს ჰქონდა მცირე ჩავარდნა, თუმცა დღეს ისევ მოწოდების სიმაღლეზეა. ვთქვი, რომ ამაში მეც ჩემი წვლილი შევიტანე. როდესაც პრემიერლიგაში ვმუშაობდი, საუკეთესო გუნდი ჩემი „ჩელსი“ გახლდათ. ამაზე, ზედიზედ ორჯერ მოპოვებული ჩემპიონის ტიტული მეტყველებს. „მანჩესტერის“ მესვეურები იძულებულნი გახდნენ განვითარების და გაძლიერების ახალი გზები ეძებნათ და ეს კარგადაც გამოუვიდათ. ფერგიუსონმა ახალი გუნდი გააკეთა და ევროპული ფეხბურთის მწვერვალზე დაბრუნდა.

**- პრემიერლიგაში მუშაობისას, ფერგიუსონთან ყოველთვის დიდი მეტოქეობა გქონდათ. რა დამოკიდებულება გაქვთ სერ ალექსთან?**

- მხოლოდ ჯანსაღი კონკურენცია. ასე იყო ადრე და ასე იქნება მომავალშიც. „ინტერი“ - „მანჩესტერის“ შეხვედრისას მოედანზე ნამდვილი ომი გაჩაღდება, ომი იქნება ჩვენ შორისაც, თუმცა ეს ყველაფერი მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე მორჩება. აუცილებლად ჩამოვართმევთ ერთმანეთს ხელს და გავისაუბრებთ კიდეც. იმედი მაქვს, შეხვედრის შედეგი ჩვენს მეგობრულ ურთიერთობაზე გავლენას არ იქონიებს.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ „ინტერი“ - „მანჩესტერი“ ჩემპიონთა ლიგის ფინალს უფრო მოუხდებოდა.**

- ურიგო ფინალი ნამდვილად არ გამოვიდოდა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლიგაში კიდევ არაერთი უმაღლესი კლასის გუნდი ასპარეზობს. ის, რომ მერვედფინალში „მანჩესტერს“ გადავეყარეთ, მხოლოდ ჩვენი ბრალია. ჯგუფურ ეტაპზე მეტი ყურადღებით გვმართებდა თამაში, რომ პირველი ადგილი დაგვეკავებინა. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ინგლისელებთან პაექრობა პირადად ჩემთვის სრულიად მისაღებია. ადრეც არაერთხელ აღვნიშნე, რომ წილისყრის შედეგმა ძალიან გამახარა. სწორედ ასეთი მატჩებით ფასობს ჩემპიონთა ლიგა.

**- როგორ „ინტერს“ ვიხილავთ „მანჩესტერთან“, შეტევაზე ორიენტირებულს?**

- მიუხედავად იმისა, რომ ამ შეხვედრის მნიშვნელობა ყველას კარგად გვესმის, რაღაც განსაკუთრებული ტაქტიკური სქემის მოგონებას არ ვაპირებთ. იხილავთ ისეთივე „ინტერს“, როგორსაც სერია A-ს ბატალიებში ხედავთ. მე მომწონს ჩემი „ინტერი“ და არავითარი სურვილი არ მაქვს, რაიმე შევცვალო. ასე რომ, სიურპრიზების საჭიროებას ვერ ვხედავ. გამომდინარე იქიდან, რომ გამარჯვება გვჭირდება, შეტევაში დიდ დროს გავატარებთ, თუმცა არც დაცვა დაგვავიწყდება. „მანჩესტერს“ ძალიან კარგად ვიცნობ, ამ გუნდთან ზონების გახსნა არაფრით არ შეიძლება. ფერგიუსონს სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც ნახევარი მოედნის გადარბენა წამებში შეუძლიათ.

**- კრისტიანო რონალდოს განეიტრალებას როგორ აპირებთ?**

- წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ამა თუ იმ ფეხბურთელს პერსონალური მეურვე ჰყავდა ხოლმე მიჩენილი. რონალდო გუნდის ნაწილია და მის წინააღმდეგაც ისევე ვითამაშებთ, როგორც ნებისმიერ მის თანაგუნდელთან. „მანჩესტერის“ შეტევითი ხაზის თითოეულ ფეხბურთელს დიდი ყურადღება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დავისჯებით. მე მჯერა ჩემი მცველების და დარწმუნებული ვარ, დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად გაართმევენ.

**- რაშია „ინტერის“ მთავარი ძალა?**

- გამოცდილებაში. ჩვენ ბევრის მნახველი ფეხბურთელები გვყავს, რომლებიც უმაღლესი რანგის თამაშებში არიან გამოწრთობილნი. მათ კარგად იციან როგორ წარმართონ თამაში და რთულ ვითარებაში როგორ მოიქცნენ. თუნდაც ჩვენი კაპიტანი ავილოთ, ხავიერ ძანეტი ფასდაუდებელი ფეხბურთელია, რომელიც შესანიშნავად დირიჟორობს თანაგუნდელებს. როდესაც არგენტინელი მოედანზეა, თავს მშვიდად ვგრძნობ. ვიცი, რომ ჩემს ნააზრევს აუცილებლად გადასცემს სხვა ფეხბურთელებს. „მანჩესტერს“ ჩვენი გამოცდილება უნდა დავუპირისპიროთ და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**- ყველაზე მეტად ალბათ ზლატან იბრაჰიმოვიჩის გეიმედებათ.**

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენი მთავარი ძალა ის გამოცდილებაა, რომელიც გუნდის თითოეულ წევრშია. ზლატანი დიდი ფეხბურთელია და მასზე მართლაც ვამყარებ იმედებს. ბევრს საუბრობენ, რომ შვედი ოქროს ბურთს იმსახურებს, სწორედ ასეთ პაექრობებში უნდა დაამტკიცოს, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. მეიმედება თითოეული ჩემი შეგირდის, ჟულიო სეზარიდან დაწყებული, ადრიანოთი დამთავრებული.

**- ჩემპიონთა ლიგის მოგება ტიფოზებს განსაკუთრებულად უნდათ, რადგან „ინტერს“ ეს ტროფეი დიდი ხანია არ მოუპოვებია.**

- ეს ჩემთვის და მთლიანად გუნდისთვის დამატებითი მოტივაციაა. ერთია ტიტულის შენარჩუნება და მეორე, მისი მოპოვება. ჩვენთვის სერია A-ც და ჩემპიონთა ლიგაც პრიორიტეტია, თუმცა ისიც კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ევროპის უპირველესი საკლუბო ტურნირის მოგებით, კლუბის ისტორიაში განსაკუთრებულ კვალს დავტოვებთ. ისევ ძანეტის მივუბრუნდები, ხავიერი წლებია „ინტერის“ კაპიტანია და ჩემპიონთა თასი ჯერაც არ მოუგია. ვფიქრობ, რომ დადგა ამის დრო.

**- დარწმუნებული ვარ, ბევრმა უკვე მოგილოცათ სკუდეტო. თუ თვლით თავს იტალიის ჩემპიონად?**

- არამც და არამც. ჩემპიონად თავს მხოლოდ მას შემდეგ ჩავთვლი, როდესაც ეს ოფიციალურად გაფორმდება. სერია A-ს ბოლო ტურის შეხვედრაში „ბოლონიას“ წამყვანი ფეხბურთელები დავუპირისპირე, რაც ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ბრძოლა არ შეგვიწყვეტია. ჩვენი კონკურენტები ჩასაფრებულები არიან და ელოდებიან, როდის დაგვიცდება ფეხი. ასე რომ, ჩემპიონობაზე საუბარი ნაადრევია.

**ლაშა ნიკლაური**

ბარსელონა

# კრუიფი ესპანიოლთან ნაგებით... კმაყოფილია

## ლიონთან დამარცხებას ახლა შერცხვენა ჯობდაო...

„ესპანიოლთან“ განცდილი სამარცხვინო მარცხი „ბარსელონას“ გულშემატკივრებმა ძალიან მტკივნეულად აღიქვეს. შეშფოთების მხრივ ინჩასებს ჟურნალისტებიც არ ჩამორჩებიან. კატალონიურ პრესაში ისეთი სტატიები დაიბეჭდა, თითქოს, „ბარსელონამ“ საჩემპიონო მატარებელზე შეხტომა ვერ მოასწრო. არადა, **პეპ გვარდიოლას** გუნდი ისევ ერთპიროვნული ლიდერია... თუმცა საზოგადოება იმაზე წუხს, რომ „ბარსამ“ ბოლო ორ ტურში 12-ქულიანი უპირატესობა 7 ქულამდე შეამცირა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიელებმა განგაშის ზარებს შემოჰკრეს და გვარდიოლას გამოფხიზლებისკენ მოუწოდეს.

უშუალოდ გუნდის მიღმა არსებულ საყოველთაო შეშფოთებას მხოლოდ ერთი კაცი, ლეგენდარული **იოჰან კრუიფი** არ იზიარებს. პირიქით, „ბარსელონას“ ყოფილი ვარსკვლავი და მთავარი მწვრთნელი მიიჩნევს, რომ „ესპანიოლთან“ წაგება გუნდისთვის ძალიან კარგი იყო. თუ რატომ, ამას თავად ჰოლანდიელის განცხადების წაკითხვის შემდეგ გაიგებთ:

*„ნუ გაგიკვირდებათ, რომ „ესპანიოლთან“ „ბარსას“ წაგებით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, ჯობდა, ახლა დავმარცხებულიყავით, ვიდრე ბევრად უფრო მნიშვნელოვან შეხვედრაში. ძალიან იშვიათად ხდება, რომ გუნდმა მთელი სეზონი ტრიუმფალური გამარჯვებებით განვლოს. სადღაც აუცილებლად წაიფორხილებ. განა უარესი არ იქნებოდა, ეს „ლიონთან“ საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში მომხდარიყო? ამჟამინდელ „ბარსელონას“ ძალიან კარგად ვიცნობ, გვარდიოლაზე ალარაფერს ვამბობ. მისი ხასიათი მხიბლავს და უსასრულო ოპტიმიზმს კიდევ უფრო მიღრმავებს. 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ მწვრთნელი და ფეხბურთელები სწორ დასკვნებს გამოიტანენ. ისინი შაბათს რომ არ დამარცხებულიყვნენ, „ლიონთან“ მოდუნებული ითამაშებდნენ. არ ვამბობ, რომ ამ თამაშს ფეხებზე დაიკიდებდნენ. რა თქმა უნდა, არა! უბრალოდ, ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია და კატალონიურ დერბიში გამარჯვების შემთხვევაში, „ბარსა“ მერვედფინალში შედარებით ინერტულად იასპარეზებდა. ახლა კი ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ბიჭები „კამპ ნოუზე“ შერცხვნენ და მიხვდნენ, რომ დაუმარცხებელი სულაც არ არიან. ეს მწარე გაკვეთილი „ლიონთან“ დუელში არაჩვეულებრივ შედეგს გამოიღებს.“*

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, კი, მაგრამ „რეალთან“ უპირატესობის შემცირება პრიმერადივიზიონური ამოცანების შესრულებას საფრთხეს ხომ არ უქმნისო. კრუიფს ამასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო პასუხი აქვს: *„ბარსა“ ისევ ლიდერია, თანაც ძალიან დიდი სხვაობით. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სეზონის დასრულებამდე 14 ტურით ადრე 7 ქულა ცოტაა, ძალიან შემცდარა. ეჭვი არ მეპარება, რომ გვარდიოლა ჩემპიონი გახდება. ამ მიზნის მიღწევაში მას სწორედ „ესპანიოლთან“ ცხვირის წამტვრევა დაეხმარება.“*

**ილია ნიკოლაიშვილი**



იოჰან კრუიფი

მწვრთნელები

# პრიმერა გაცოცხლდა

## ხუანდე რამოსმა დაჭრილი ლომი გააღვიძა

**პრიმერა დივიზიონის წინა ტურში განვითარებული მოვლენების შემდეგ ესპანურ საფეხბურთო საზოგადოებაში მხოლოდ ერთი კითხვა მუსირებს, ლიგა გაცოცხლდა? „ბარსამ“ „ესპანიოლთან“ სამი ქულა დაკარგა. „რეალმა“ კი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „ბეტისს“ ტყავი გააძრო და ჰანდიკაპი შვიდ ქულამდე დაიყვანა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, საკამათო არ არის, რომ პრიმერა მართლაც გაცოცხლდა. ესპანურმა საკლუბო ფეხბურთმა ინტრიგა დაიბრუნა. ალბათ, თქვენთვის საინტერესო იქნება, წინა ტურის შემდეგ შექმნილ სიტუაციას პრიმერა დივიზიონის მწვრთნელები როგორ აფასებენ. დღეს საშუალება გვაქვს რამდენიმე კლუბის დამრიგებლის მოსაზრება შემოგთავაზოთ.**

**კაპაროსი (ბილბაო):** *„რა თქმა უნდა, პრიმერა დივიზიონმა დაკარგული ინტრიგა დაიბრუნა. ორ ტურში სამეფო კლუბმა ხუთი ქულა ამოქაჩა. ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე. დარწმუნებული ვარ, გრანდთა ჭიდილი აქ არ დასრულდება. არ დაგავიწყდეთ, „რეალმა“ „ბარსელონას“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა უმასპინძლოს. კატალონიელები ქულებს კიდევ რამდენიმე შეხვედრაში დაკარგავენ და თუ სამეფო კლუბი ამით ისარგებლებს, სეზონის მიწურულს ძალიან საინტერესო მარათონს ვიხილავთ. უფრო სწორად, მარათონის დასკვნით ნაწილს.“*

**ვიქტორ მუნიოსი (ხეტაფე):** *„ჩემპიონობა მხოლოდ მაშინ უნდა აღნიშნო, როცა მას ოფიციალურად გაინაღდებ. სხვა შემთხვევაში, დაისჯები. რა თქმა უნდა, ეს ბარსელონელებსაც ძალიან კარგად ესმით და ახლა არნახულ წნეხში იმყოფებიან. თუ რომელიმე მათგანი გეტყვით, რომ დღესაც ისევე არხეინად გრძნობს თავს, როგორც ორი ტურის წინ, შეგიძლიათ, პირში მიახალოთ, რომ ის თაღლითი და უსინდისო მატყუარაა. მე პროფესიონალი მწვრთნელი ვარ და ვიცი, რაც არ უნდა დიდ გუნდს წარმოადგენდე, შეუძლებელია, სიტუაციის ასეთმა რადიკალურმა ცვლილებამ განწყობაზე გავლენა არ იქონიოს. აი, ნახავთ, კატალონიელებს ფეხები ძალიან ხშირად აუკანკალდებათ.“*

**კამაჩო (ოსასუნა):** *„არ მესმის, ეს აჟიოტაჟი რატომ ატყდა? მერე რა რომ „ბარსელონამ“ წააგო?! ვის არ წაუგია? თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ნეტავ მე ვიყო პირველ ადგილზე და უახლოესი მდევარი შვიდი ქულით ჩამომრჩებოდეს. ჩემი აზრით, ეს ფუჭი აჟიოტაჟია, რადგან „ბარსა“ ისევ უპირველესი ფავორიტია.“*

**ჩაპარო (ბეტისი):** *„რეალმა“ მინასთან გაგვასწორა. ამ გუნდმა ძლევამოსილება დაიბრუნა. ხუანდე რამოსმა, დაჭრილი ლომი გააღვიძა და ახლა მის წინაშე ყველა უნდა ძრწოდეს. ჩემი აზრით, საჩემპიონო მარათონში სამეფო კლუბს სერიოზული შანსი ექნება. დედაქალაქელების ძალა სამწუხაროდ, საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ.“*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# კრიზისი მიუნხენში

## რუმენიგეს და ჰიონესს კლინსმანის ჯიუტობა ყელში ამოუვიდათ



იურგენ კლინსმანი საგონებელშია

როდის ამბობენ ხოლმე გუნდის მთავარ მწვრთნელზე, რომ მისი სკამი მორყეულია? ამ კითხვას ცალსახად ერთი პასუხი აქვს: როცა რომელიმე ჟურნალისტი ჰკითხავს, გეშინიათ თუ არა, რომ უახლოეს მომავალში თანამდებობას დაგატოვებინებენო. „კიოლნთან" ნაგების მერე, რომელიც რეკორდმაისტერისთვის მესამე მარცხი იყო ბოლო ოთხ შეხვედრაში, „შპორტშტაუს" კორესპონდენტმა **იურგენ კლინსმანს** 6.15 მილიონი მაყურებლის თვალწინ ჰკითხა: „შიშობთ თუ არა, რომ მალე უმუშევარი დარჩებით?" - კლინსმანის პასუხი კი ასეთი იყო:

*„არა! ერთი წამითაც არ შემშინებია, რომ პოზიციას დავკარგავ. ყოველდღიურად ვცდილობ, „ბაიერნისთვის" მაქსიმუმი გავაკეთო. თავს არ ვზოგავ. ჩვენ ძალიან ინტენსიურად ვმუშაობთ".*

ფაქტი კი ის არის, რომ კლინსის სკამი მორყა! მატჩის წინ ბავარიელები გალიდერებით იმუქრებოდნენ, მაგრამ მუქარა მუქარად დარჩა, „ბაიერნი" ისევ მეოთხე ადგილზეა. საკუთარ მოედანზე „კიოლნთან" განცდილმა მარცხმა მიუნხენური კლუბის უამრავი სუსტი წერტილი გამოაჩინა. მიუხედავად ამისა, კლუბის ხელმძღვანელები, ვიცე-პრეზიდენტი **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობენ, რაც სავსებით გასაგებია - ჩემპიონთა ლიგის უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ მიუნხენში ისტერიკა და ქაოსი არავის სჭირდება.

რაც უნდა იყოს, ლიდერთან ჩამორჩენა სულ რაღაც 4 ქულას შეადგენს. ასე რომ, საგანგაშო ჯერჯერობით არაფერია. 4 ქულა მართლაც არ არის ბევრი, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ წინ კიდევ 13 ტურია. ამრიგად, ბავარიელებს ვითარების გამოსასწორებლად 13 მატჩი აქვთ. თუმცა ჰიონესი არ და ვერც უარყოფს იმას, რომ „ბაიერნი" დღესდღეობით საკმაოდ მძიმე კრიზისშია და ული არც აპირებს ფეხბურთელების თუ მწვრთნელის გამართლებას. არადა, კლინსის გუნდს წინ ძალიან მნიშვნელოვანი სამი გასვლითი შეხვედრა ელის: ლისაბონში, ბრემენში და მერე ლევერკუზენში.

„კიოლნი" ამბიციური აუტსაიდერია და ამ გუნდს გრანდების გამწარება შეუძლია, მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ „რეკორდმაისტერმა" შაბათს ძალიან ცუდად ითამაშა. ჰო, კლინსმანი შეგირდებს კვლავინდებურად სთხოვს ბრძოლას, აგრესიას და მეტ მოძრაობას, მაგრამ უშედეგოდ - აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, მიუნხენელებს არც ერთი ეტყობათ, არც მეორე და არც მესამე.

ფაქტია, რომ „ბაიერნს" ძალიან აკლია საქმისადმი სტრატეგიულ-კოლექტიური მიდგომა - როგორც შეტევაში, ასევე დაცვაშიც. ცენტრალურ მცველებსა და საყრდენ ნახევარმცველებს შორის „კიოლნთანაც" უდიდესი სიცარიელე იყო, რითაც **კრისტოფ დაუმის** შეგირდებმა ისარგებლეს კიდეც.

ორი კვირის წინ, ბერლინში, „ჰერტასთან" მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ, შესვენებისას გასახდელში ყოფნის დროს **მიროსლავ კლოზეს** იდეა მოუვიდა და ხმამაღლა წამოიყვირა: „რა *ვქნათ, მთელი ძალებით შევუტიოთ?"* კლინსმანი თავდამსხმელის იდეამ აღაფრთოვანა და დაიძახა, *ჰო, ჰო, ეგრე გააკეთეთო.* ეს, მარტივად რომ ვთქვათ, ტაქტიკის შეცვლაა და ასეთი იდეა ფეხბურთელისგან კი არა, მწვრთნელისგან უნდა მოდიოდეს. ისეთ გუნდს, როგორიც „ბაიერნია", სტრატეგიის ყველა შესაძლო ვარიანტი წინასწარ უნდა ჰქონდეს დამუშავებული. ასეთი ფაქტი კი იმას ადასტურებს, რომ საერთო კონცეფცია ფაქტობრივად არ არსებობს. სხვა შეხვედრებში რეკორდმაისტერი ფონს შესანიშნავი ინდივიდუალისტების ხარჯზე გადიოდა. ფაქტია, რომ კლინსმანის გუნდში ყველაზე მრისხანე მარცხენა ფლანგია, სადაც **ფილიპ ლამი, ზე რობერტო** და **ფრანკ რიბერი** შესანიშნავ ტრიოს ქმნიან, მაგრამ „კიოლნთან" ეს ტრიოც ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. რა არის ამის მიზეზი? ცუდი ფიზიკური მომზადება თუ უბრალოდ სურვილის არქონა?

ამასთან, „ბაიერნის" ბევრ ფეხბურთელს უკვე უდიდესი უკმაყოფილება ეტყობა. პირველ რიგში ეს მეკარე **მიხაელ რენზინგზე** ითქმის, რომელიც მეკარეების მწვრთნელ **იუნგჰაუსითაა** უკმაყოფილო; **მარკ ვან ბომელი** ეწინააღმდეგება კლინსმანის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მწვრთნელი ჰოლანდიელთან კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხს ოპტიმისტურად უყურებს; კლინსმანის ბრალია ისიც, რომ ისედაც საშინელ გუნებაზე მყოფ **ლუკას პოდოლსკის** ბოლო ორ თვეში განწყობა კიდევ უფრო მეტად წაუხდა, რაც **ლენდონ დონოვანის** არენდით აყვანის და მისი პოდოლსკიზე წინ დაყენების ბრალია. ამ შემთხვევაზე შეიძლება ითქვას, რომ პრობლემა კლინსიმ თვითონ შეიქმნა. გაუგებარია, რატომ ლობირებს კლინსი ამერიკელ თავდამსხმელს ასე ძალიან იმ დროს, როცა ბოსები მისგან ხეირს ვერ ხედავენ (სავსებით სამართლიანადაც) და დონოვანის შენარჩუნება არ სურთ. იურგენი კი ჯიუტად იმეორებს, რომ ამერიკელის იმედი აქვს. პარასკევს კლინსი ჰიონესს შეხვდა და დონოვანის შესახებ ესაუბრა. როგორც ირკვევა, ულიმ შეძლო კლინსმანის დარწმუნება იმაში, რომ „ბაიერნმა" ლენდონი არ უნდა დაიტოვოს. მიზეზი? ოფიციალური ვერსია ასეთია: ამერიკელში 8 მილიონი ევროს გადახდა სისულელეა. ჰიონესს და რუმენიგეს ურჩევნიათ, ეს თანხა **ალექსანდერ გლებში** („ბარსელონა") გადაიხადონ, რომელსაც რეკორდმაისტერი უკვე წლებია, უმიზნებს.

ბავარიელებმა პირველი წრეც ცუდად დაიწყეს, მაგრამ მერე თავიანთი თამაში იპოვეს და საბოლოოდ სასურველი კონდიცია დაიბრუნეს, მაგრამ მიუნხენურმა გიგანტმა სეზონის მეორე ნახევარი გაცილებით უარესად დაიწყო: 3 ნაგებით 4 შეხვედრაში (0:1 ჰამბურგში, 1:2 ბერლინში, 1:2 კიოლნთან). „ბილდის" ინფორმაციით, კლინსმანს ფეხბურთელებიც აკრიტიკებენ - ამბობენ, მხოლოდ ფიტნესზე აკეთებს აქცენტს და წინასწარ კომბინაციებს არ გვამუშავებინებსო. მწვრთნელის საჯარო კრიტიკა მხოლოდ ლამმა გაბედა და „კიოლნთან" მატჩის წინ განაცხადა, იურგენი ისეთ ტაქტიკას ირჩევს, რომელსაც მეტოქეები გასაღებს იოლად არგებენო. იგივე გამოცემა გვარწმუნებს, რომ მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ჰიონესს და რუმენიგესაც ევსებათ. „ბილდი" წერს, რომ მათ უკვე ნერვები ეშლებათ იურგენის ჯიუტობაზე.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ რუმენიგემ კლინსი წნეხის ქვეშ მოაქცია, როცა შემდეგი განცხადება გააკეთა: *„ჩვენ ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებაც გვინდა და ისიც, რომ ჩემპიონთა ლიგაში მაქსიმალურად შორს გავიდეთ, მაგრამ ამ ეტაპზე დასკვნების გაკეთებას არავინ აპირებს. შედეგები ზაფხულში უნდა შევაჯამოთ!"*

მწვრთნელი ხელმძღვანელებს ეთანხმება. *„დიახ, მე ვიცი, რომ ყველაფერი შედეგით იზომება. როდესაც მიუნხენის „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი ხარ, ისიც უნდა იცოდე, რომ თუ საუკეთესო შედეგები არ გექნება, არავინ დაგინდობს. მე ეს მაშინაც ძალიან კარგად ვიცოდი, როცა რეკორდმაისტერის გაწვრთნას ვთანხმდებოდი,"* - თქვა შაბათს კლინსმანმა ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში.

ფაქტია, რომ მომავალი თვე კლინსმანისთვის გადამწყვეტი იქნება. ბავარიელებს არ აქვთ იმის უფლება, რომ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალიდან გავარდნენ, რადგან ლისაბონის „სპორტინგს" ხვდებიან, რომელიც „ბაიერნმა", წესით, უპრობლემოდ უნდა გაიაროს. ამასთან, 4 მარტს მიუნხენელები გერმანიის თასზე „ლევერკუზენს" ხვდებიან. თუ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები მწვრთნელის შეცვლას გადაწყვეტენ, ფაქტია, რომ კლინსმანისთვის ყველაფერი ისევე სწრაფად დასრულდება, როგორც დაიწყო, რადგან ბავარიელებს ხანგრძლივი დისკუსიები არ უყვართ. თუნდაც **ფელიქს მაგათის** მაგალითის გახსენებაა საკმარისი იმისათვის, რომ კლინსმანი გაფრთხილდეს: ორი წლის წინ რუმენიგემ და ჰიონესმა „დესპოტი ფელიქსი" მე-19 ტურში „ბოხუმთან" 0:0-ის შემდეგ დაიფრინეს - მიუხედავად იმისა, რომ წინა ორ სეზონში მაგათს რეკორდმაისტერთან ერთად ორი დუბლი (ჩემპიონობა და თასი) ჰქონდა შესრულებული და ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ბაიერნი" მაშინაც მეოთხე ადგილზე იყო - ზუსტად ისე, როგორც დღეს.

თანაც, ყურადსაღებია ჰიონესის სიტყვები: *„ბერლინში წაგების შემდეგ ისე ძალიან არ ვშფოთავდით და შექმნილ ვითარებას მშვიდად ვუყურებდით. ახლა შედარებით აფორიაქებულები ვართ, რადგან ფაქტია, რომ საქმე არც ისე კარგადაა. „კიოლნთან" ჩვენი გუნდის თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა!"*

რასაკვირველია, ენაჭარტალა ული ამ სიტყვებით პირდაპირ კლინსმანს მიმართავს.

სკანდალი

# დოპინგი ჰოფენჰაიმში?

## რატომ დააგვიანა ორმა ჰოფენჰაიმელმა ფეხბურთელმა დოპინგტესტზე? ამბობენ, ეს დიდი აისბერგის მხოლოდ მცირე ნაწილიაო

7 თებერვალს, მიონხენგლადბახის „ბორუსიისა" და „ჰოფენჰაიმის" მატჩის შემდეგ, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა, „ჰოფეს" ორი ფეხბურთელი, **ანდრეას იბერტსბერგერი** და **კრისტოფ იანკერი** დოპინგტესტის ჩასაბარებლად დაიბარეს. წესი ასეთია: თუკი ფეხბურთელის დოპინგზე შემოწმება სურთ, მოთამაშე საფინალო სასტვენის შემდეგ მაშინვე გუნდის ექიმთან ერთად დოპინგტესტის ოთახისკენ უნდა წავიდეს. იბერტსბერგერი და იანკერი კი ჯერ გუნდის გასახდელში შევიდნენ, სადაც ათი წუთი დაჰყვეს და მხოლოდ ამის შემდეგ მიაშურეს დოპინგტესტის ოთახს. ათწუთიანი დაგვიანება კი კანონის დარღვევად ჩაითვალა და გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ „ჰოფენჰაიმის" წინააღმდეგ საქმე აღძრა.

თავდაპირველად, იბერტსბერგერისა და იანკერის დაგვიანების მიზეზად გუნდის მატჩის შემდგომი კრება დასახელდა, რომელსაც თურმე **რანგნიკი** ატარებდა და მან ფეხბურთელები არ გაუშვა. როდესაც სკანდალი გამძაფრდა და საქმე აღიძრა, „ჰოფეს" გენერალურმა მენეჯერმა **იან შინდელმაიზერმა** ეს ინფორმაცია უარყო, მატჩის შემდეგ არანაირი კრება არ ყოფილაო. *„საფინალო სასტვენის შემდეგ რანგნიკმა ბიჭებს ორი-სამი წინადადება უთხრა. ეს იყო და ეს. ნამდვილად არ მახსოვს, იყვნენ თუ არა გასახდელში იბერტსბერგერი და იანკერი,"* - აცხადებს შინდელმაიზერი „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში. გარდა ამისა, შინდელმაიზერი ცდილობს, გადაამოწმოს, ხომ არ იქნა დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა - იქნებ, ფეხბურთელებს 10 წუთი არც დაუგვიანიათო.



თავის მართლება რალფ რანგნიკსაც მოუწევს

რა სანქციები ემუქრებათ მოთამაშეებს? დიდი შანსია, იბერტსბერგერსა და იანკერს ორწლიანი დისკვალიფიკაციები მიუსაჯონ, „ჰოფენჰაიმს" კი ქულები დააკლონ, რადგან „სოფლელების" წინააღმდეგ საჩივარი მიონხენგლადბახის „ბორუსიამაც" შეიტანა და მატჩის შედეგი გააპროტესტა.

*„უამრავი შემთხვევა ვიცი, როცა ფეხბურთელები დოპინგტესტზე რამდენიმე წუთით აგვიანებდნენ. წესით, მოთამაშეს აქვს უფლება, რომ მატჩის შემდეგ გასახდელს მიაშუროს და მაისურა გამოიცვალოს. რამდენიმე კოლეგას ვკითხე და მათაც დამიდასტურეს, რომ ფეხბურთელები ყოველთვის ასე იქცევიან,"* - აცხადებს **რალფ რანგნიკი**. გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან მას კატეგორიულად მოსთხოვეს იმ მწვრთნელების გვარების დაკონკრეტება, რომლებიც ამ მოსაზრებაში დაეთანხმნენ. ფაქტია, რომ ამ ამბავს გაგრძელება ექნება...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

კარლოს დუნგა

# მეცინება იტალიელებზე...

## ვითომ წესების დაცვით გაიტანა გროსომ გოლი?

10 თებერვალს ლონდონში დიდი მატჩი გაიმართა. როგორც იცით, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ერთმანეთს იტალიისა და ბრაზილიის ეროვნული გუნდები დაუპირისპირდნენ. ამ ამხანაგურ შეხვედრას ძალიან დიდი ინტერესი და ინტრიგა ახლდა. ყველას აინტერესებდა, მსოფლიოს მოქმედი და ექს-ჩემპიონები ურთიერთობას როგორ გაარკვევდნენ. მოგეხსენებათ, მსოფლიო ფეხბურთის გრანდთა ჭიდილში ბრაზილიის ეროვნულმა გუნდმა გაიმარჯვა. მას შემდეგ ორი კვირა გავიდა, მაგრამ აჟიოტაჟი ბოლომდე ჯერაც არ დამცხრალა. აჟიოტაჟის შენარჩუნებაში კარლოს დუნგასაც მიუძღვის წვლილი. სელესაოს მთავარმა მწვრთნელმა „ოგლობოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ძალიან ბევრ საინტერესო საკითხზე ისაუბრა. დროის ძირითადი ნაწილი კი, რა თქმა უნდა, იტალიასთან მოპოვებულ გამარჯვებას დაუთმო.



**- დუნგა, კიდევ ერთხელ მინდა, მსოფლიო ჩემპიონების დამარცხება მოგილოცოთ. ამ გამარჯვებით, ძალიან ბევრი ეჭვი გაიფანტა.**

- მილოცვისთვის დიდ მადლობას გიხდით, მაგრამ იმ ხალხის ნამდვილად არ შემშურდება, ვისაც ბრაზილიის ნაკრებში ეჭვი ეპარება. გაუთავებელი კრიტიკის მიუხედავად, სელესაომ ლონდონში არაჩვეულებრივად იასპარეზა და ძალიან მნიშვნელოვანი თამაში მოიგო. შეუძლებელია, ყოველთვის ყველა მატჩი მოიგო. ამას რამდენიმე მიზეზის მოშველიებით ავხსნიდი, მაგრამ დიდ დროს დაგაკარგვინებთ. უბრალოდ, გამორიცხულია, რომ ადამიანმა, განსაკუთრებით ფეხბურთელმა საკუთარი საქმე ყოველთვის ერთსა და იმავე დონეზე გააკეთოს. დიახ, ჩვენ გვქონდა ჩავარდნები, მაგრამ მაშინაც კი თუ ვინმეს სელესაოს სიძლიერეში ეჭვი ეპარებოდა, ესე იგი ის ეჭვიანი ადამიანი ყოფილა და პრობლემაც შესაბამისად მასშია.

**- მომიტევეთ, მაგრამ თემის განვრცობით საუბარი დემაგოგიურ კალაპოტში გადაგყავთ. ბრაზილია, რა თქმა უნდა, ყოველთვის ბრაზილია იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონკრეტული მატჩების მოგება არ უნდა მოვითხოვოთ. თუ დრო დაგვრჩება, ამ საკითხს კიდევ დავუბრუნდეთ. ახლა კი იტალიასთან შეხვედრაზე გავაგრძელოთ ლაპარაკი. მაინტერესებს, ლონდონურ პაექრობაში ბიჭებს გამარჯვება დაუსახეთ მიზნად, თუ ის მატჩი გუნდის მაღალ დონეზე მოსამზადებლად გჭირდებოდათ?**

- იტალიასთან მოგება პრესტიჟის საქმეა, ამ მოსაზრებას 100 პროცენტით ვიზიარებ, თუმცა ჩვენ მაინც გვესმოდა, რომ ეს არ იყო მუნდიალი და მით უმეტეს, მისი ფინალი. შესაბამისად, თუ ვერ მოვიგებდით, ამით ტრაგედია არ დატრიალებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, ბიჭებს, რა თქმა უნდა, გამარჯვება დავუსახე მიზნად, მაგრამ პარალელურად დრო გარკვეული ტაქტიკური მონახაზების გამოსაცდელადაც მოვნახეთ. უნდა გითხრათ, რომ მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

**- ვიცი, სხვა მწვრთნელების მსგავსად ცალკეული ფეხბურთელების ღვაწლის გამოყოფა არ გიყვართ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ, ორი კვირის გადმოსახედიდან იმ შეხვედრაში ვინ მოგეწონათ?**

- მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განვაცხადე, რომ ჩემზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება რობინიომ დატოვა. ორი კვირის შემდეგაც ასე ვფიქრობ. იმ დღეს რობინიომ კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. მისი თამაშით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ამ ფაქტმა განსაკუთრებით გამახარა, რადგან ბოლო დროს მისი მისამართით ბევრი კრიტიკა გაისმოდა. რობინიოს ძირითადად ყოფაქცევის გამო ლანძღავდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ფულმა მასზე დამღუპველად იმოქმედა. ჩემს შეგირდს, ბუნებრივია, ყველაფერში ვერ გავამართლებ, მაგრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ დიდი ფეხბურთელია და მშვიდად მომზადებისა და თამაშის საშუალება უნდა მივცეთ. ამ შემთხვევაში, რობინო ბრაზილიის ნაკრებს ძალიან დიდ წარმატებებს მოუტანს.

**- რონალდინიოს ნაკრებში დაბრუნებაზე რას იტყვით? კმაყოფილი დარჩით?**

- კაცმა რომ თქვას რონალდინიოს არსად წასულა, შესაბამისად დასაბრუნებელიც არაფერი სჭირდა. უბრალოდ, გარკვეული დროის განმავლობაში ის სელესაოში არ თამაშობდა, მაგრამ ეროვნული გუნდიდან ის არავის მოუკვეთია. რონალდინიო ყოველთვის ბრაზილიის ნაკრების წევრი იყო. გულშემატკივრებს მისი იმედი მაშინაც ჰქონდათ, როცა ფიზიკურად ჩვენთან ერთად არ იყო. კითხვის მეორე ნაწილს რაც შეეხება, ვერ ვიტყვი, რომ გაუჩომ კარიერის საუკეთესო ორთაბრძოლა ჩაატარა, მაგრამ ჩემი აზრით მოედანზე ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გახლდათ. მოკლედ, რონალდინიო რომ არ მომწონებოდა, აუცილებლად შევცვლიდი.

**- პატო ძალიან ცოტა ხანს რატომ ათამაშეთ?**

- მის ასაკში პატო იმითაც ბედნიერი უნდა იყოს, რომ სელესაოში გამოვიძახე და თამაშის საშუალება მივეცი (იცინის). ეს რა თქმა უნდა, ხუმრობით. პატო უნიჭიერესი ყმაწვილია, მაგრამ იმ დღეს ადრიანოს გამოცდა უფრო მჭირდებოდა. აი, ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ პატომ მოედანზე მხოლოდ 10 წუთი გაატარა.

**- ადრიანომ ჩააბარა გამოცდა?**

- დიახ, მაგრამ თუ მკითხავთ რა ნიშანზე, არ გიპასუხებთ (იცინის).

**- იმ შეხვედრაში ფაბიო გროსომ დებიუტშივე გაიტანა, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა. ევროპულ პრესაში იმ ეპიზოდს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. იტალიელებზე რომ არაფერი ვთქვათ, სხვა ქვეყნებიდან ჩასულმა ჟურნალისტებმაც დაწერეს, რომ მსაჯი არასწორად მოიქცა...**

- პირველ რიგში ერთ რამეს ვიტყვი, იტალიურ პრესას მეც გავეცანი და ვერ ვიტყვი, რომ იქაური ჟურნალისტები მსაჯს ერთხმად ადანაშაულებდნენ. ზოგმა დაწერა, რომ გოლი არასწორად გააუქმეს, ზოგმა კი პირიქით, აღიარა, რომ არბიტრი სწორად მოიქცა. სიმართლე გითხრათ, ჟურნალისტების მოსაზრება ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს, რადგან საკუთარი თვალით ნანახს ვენდობი. იმ ეპიზოდში წესები დაირღვა, შესაბამისად გოლი სამართლიანად არ ჩაითვალა. მეცინება იმ იტალიელებზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გროსომ წესების სრული დაცვით შეაგდო. ბუნებრივად მიჩნდება კითხვა, კი, მაგრამ ადამიანს თვალი რისთვის აქვს?

**- თქვენი მუშაობის ყველაზე დიდ მიღწევად რას მიიჩნევთ?**

- მიღწევაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა პატარ-პატარა შედეგები ნამდვილად გვაქვს. მაგალითად, შემიძლია, სიამაყით განვაცხადო, რომ სელესაო დღეს ტაქტიკურად ბევრად უფრო გამართულად თამაშობს. მოდით, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ. იყო დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთები, როცა ტაქტიკას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. აქცენტი ფეხბურთელების ინდივიდუალიზმზე კეთდებოდა. ბრაზილიურმა რომანტიზმმა კონკურენტულ მსოფლიოში ყველაზე ტიტულოვან გუნდად გვაქცია, მაგრამ ფეხბურთი ყოველდღიურად იცვლება. ჩვენ თუ ამ დინამიკას ფეხს არ ავუწყობთ, ერთ დღეს აღმოვაჩენთ, რომ ტრანსფორმირებულ საფეხბურთო სამყაროში მხოლოდ ინდივიდუალიზმით უმაღლეს მწვერვალებს ვერ დავიპყრობთ. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩემს ერთ-ერთ ყველაზე დიდ დამსახურებად ტაქტიკისა და დისციპლინის წინ წამოწევა მიმაჩნია. ერთია სურვილი და მცდელობა, მაგრამ მთავარი შედეგია. მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით, საკმაოდ კარგ შედეგებს მივაღწიეთ. იმედია, ჩემი მოღვაწეობა მეტისმეტად ნათელ ფერებში არ წარმოგიდგინეთ (იცინის).

**- მარადონამ არგენტინის ჩემპიონატში მოღვაწე ფეხბურთელების ბაზაზე ალტერნატიული ნაკრების ჩამოყალიბება გადაწყვიტა. თქვენც ხომ არ იფიქრებდით ამ ნაბიჯის გადადგმაზე?**

- (იცინის) თქვენ გგონიათ, ეს მარადონას აღმოჩენაა? არავითარ შემთხვევაში. ეს გამოცდილი მეთოდია. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სათადარიგო ნაკრებები არაერთხელ შექმნილა. ჩვენ ალტერნატიული გუნდის ჩამოყალიბებას არ ვაპირებთ, მაგრამ ალბათ, იცით, რომ ბრაზილიური კლუბების მწვრთნელებთან სისტემატური კავშირი მაქვს. ჩვენ ძალიან ხშირად ვსაუბრობთ და ერთმანეთს მოსაზრებებს ვუზიარებთ. მინდა გითხრათ, რომ კოლეგებთან ურთიერთობა ძალიან მეხმარება. ყოველთვის ვიცი, რომელი ფეხბურთელი როგორ ფორმაშია. ბუნებრივია, დასკვნები პირადად მე გამომაქვს, მაგრამ მეგობრების რჩევა და კონსულტაცია ძალიან მეხმარება.

**- ჩვენი მიზანი საკვალიფიკაციო რაუნდში პირველი ადგილის დაკავებაა?**

- ბრაზილიის ნაკრების მიზანი 2010 წლის მუნდიალის საგზურის მოპოვება, ფინალში გასვლა და გამარჯვებაა. როგორც ყოველთვის, ჩვენ მსოფლიო თასს ვუმიზნებთ. თუ სამხრეთი ამერიკის საგზურს მეორე ან მესამე ადგილზე გასვლით დავისაკუთრებთ, გული დიდად არ დამწყდება. რა თქმა უნდა, პირველი ადგილი ბევრად უფრო სასიამოვნო იქნება.

**- საკვალიფიკაციო მატჩებში ნაკრების ბირთვი იტალიასთან გამარჯვებული ბიჭებით დაკომპლექტდება?**

- ამის შანსი ძალიან დიდია, მაგრამ ნაკრებში თამაში აბსოლუტურად ყველა ბრაზილიელ ფეხბურთელს შეუძლია. მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ქვეყანაში თამაშობს ის. მთავარია, საუკეთესო ფორმაში იყოს და დამარწმუნოს, რომ იმ დროისთვის მასზე უკეთესს ვერავის ვიპოვი.

**ილია ნიკოლაიშვილი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ვარსკვლავი

# ზლატანმა, მაგარი ვარო...

ბოლო დღეებია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** იტალიური პრესის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს. როგორც იცით, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ინტერი“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დაუპირისპირდება, შვედი კი მილანური გუნდის მთავარ იმედად მიიჩნევა. გულშემატკივრები ზლატანისგან გმირობას ითხოვენ და არც გაემტყუნებათ, რადგან იბრაჰიმოვიჩი გუნდის აშკარა ლიდერია. ამ მოსაზრებას იზიარებს თავად ფეხბურთელიც და ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე აცხადებს, რომ ის გამორჩეული ფორვარდია. აი რა განაცხადა იბრაჰიმოვიჩმა იტალიურ პრესასთან საუბრისას:

*„საკუთარი თავის მიმართ ყოველთვის კრიტიკულად ვიყავი განწყობილი და თავი არასდროს შემიქია. თუმცა, ბოლო პერიოდში ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ და ამის დამალვის სურვილი არ მაქვს. ვფიქრობ, რომ გაცილებით მეტი შემიძლია, ვიდრე უეინ რუნის და დიმიტარ ბერბატოვს. ვეცდები ეს მოედანზე დავამტკიცო და მეტოქეს ერთი გოლი მაინც გავუტანო. თუმცა, კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ წინ ორი ურთულესი პაექრობა გველის და მიზნის მიღწევა იოლი არ იქნება. დარწმუნებული ვარ, სტადიონი გაივსება და ტიფოზები გულმხრუვალედ გვიქომაგებენ, ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია“.*




**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

მანჩესტერ იუნაიტედი

## ფერგის ბენზემა ექვირა

### სოლსკიაერი იუნაიტედში რჩება, ახალი კონტრაქტი გარი ნევილმაც გააფორმა

„მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი მომავალი სეზონისთვის **კარლოს ტევესის** ღირსეულ შემცვლელს ეძებს. ალბათ იცით, რომ არგენტინელის „ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა თითქმის გამოირიცხა. შოტლანდიელის სამიზნეში მხოლოდ უმაღლესი კლასის თავდამსხმელები არიან მოხვედრილნი. მათ შორისაა „ლიონის" სუპერფორვარდი **კარიმ ბენზემა**. საფრანგეთის ჩემპიონები თავის ლიდერს ძვირად აფასებენ, თუმცა მასზე მაინც დიდი მოთხოვნაა. **ჟან-მიშელ ოლამ** თავდამსხმელი 50 მილიონ ევროდ შეაფასა. ფრანგულ ჟურნალ „ჟორნალ დუ დიმანშთან" ინტერვიუში ფერგიუსონი გამოტყდა, რომ თუ „ლიონი" ფეხბურთელს ცოტა უფრო ადეკვატურ თანხად არ შეაფასებს, მისი გუნდი მსურველთა რიგებს გამოაკლდება:

*„ბენზემა ბრწყინვალე ფეხბურთელია. ის სათამაშო აზროვნებით ზინედინ ზიდანს მაგონებს. მას შესანიშნავი ალნაგობა აქვს, ბურთს ფანტასტიკურად ფლობს, ისე, თითქოს მიწებებული ჰქონდეს, რაც ნებისმიერ მცველს მასთან ორთაბრძოლას ერთი-ორად ურთულებს, თუმცა დღემდე არსად მითქვამს, რომ „იუნაიტედს" მისი შეძენა აქვს გადაწყვეტილი. დიახ, „მანჩესტერის" თვალთახედვის არეში მისი დონის ფეხბურთელები ყოველთვის არიან და ერთ დღეს კარიმი, შეიძლება, მართლა გახდეს ჩვენი გუნდის წევრი. „ლიონის" პრეზიდენტი უაღრესად ჭკვიანი ადამიანია. გაიხსენეთ, მან მიკაელ ესიენი 38 მილიონად გაყიდა, მაჰამადუ დიარა - 19-ად, ფლორან მალუდაც 19-ად, ერიკ აბიდალი - 16-ად. მე შემიძლია მხოლოდ ალფრთოვანდე მისით. ჯერ კიდევ შარშან, როცა ლიონში ვითამაშეთ, ოლამ მითხრა, რომ „ჩელსი" ბენზემაში 50 მილიონს სთავაზობდა. მე ვუპასუხე, თუ ასეა, დაე, სწორედ „არისტოკრატებმა" გადაიხადონ ამხელა თანხა..."*

უკვე გაუწყეთ, რომ „იუნაიტედის" რეზერვისტთა მთავარ მწვრთნელ **ოლე გუნარ სოლსკიაერს** ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების დამრიგებლობა შესთავაზა. დეკემბერში ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **აგე ჰარეიდეს** თანამდებობა დატოვა. მას აქეთ გუნდი წინამძღოლის გარეშეა დარჩენილი. რამდენიმე კვირიანი ფიქრის შემდეგ ოლე გუნარმა შეთავაზებაზე უარი თქვა, რადგან მისი აზრით, ამხელა პასუხისმგებლობასთან გასამკლავებლად გამოცდილება აკლია. სოლსკიაერი, რეზერვისტების გარდა, ძირითადი გუნდის თავდამსხმელებთანაც მუშაობს. *„ვფიქრობ, ასეთ მნიშვნელოვან წინადადებაზე დათანხმების დრო ჩემთვის ჯერ არ დამდგარა. გარწმუნებთ, აღნიშნული შემოთავაზება ჩემთვის უზარმაზარი პატივი იყო, მაგრამ... დარწმუნებული ვარ, რომ „იუნაიტედში" ჩემი კარიერა სწორი მიმართულებით ვითარდება. შესანიშნავი იქნება, თუ ოდესმე ხელახლა მომეცემა ნაკრებში მუშაობის შანსი. ამ ეტაპზე კი ჩემი გეგმები მხოლოდ ჩემს ახლანდელ სამუშაოს უკავშირდება,"* - განუცხადა „დეილი მეილს" ვარსკვლავმა.

ჰოლანდიურ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომლის თანახმად, „ალისფერი ეშმაკების" კარის დარაჯი **ედვინ ვან დერ სარი** კლუბთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ (2010 წელს) ერთი სეზონით „აიაქსში" დაბრუნდებოდა და კარიერას იქვე დაასრულებდა. აღნიშნული ხმები თავად ვან დერ სარმა თავაზიანად უარყო: *„ახლა ჩემთვის ყველაფერი იდეალურად ვითარდება. მოგეხსენებათ, დეკემბერში ხელშეკრულება ერთი წლით გავაგრძელე. კონტრაქტის ამოწურვის შემდეგ კარიერის დასრულებაზე ვფიქრობ. არ მგონია, ამის შემდეგ მაღალ დონეზე თამაშის უნარი შემრჩეს. ვადასტურებ, „აიაქსში" კარიერის დასრულებაზე ხშირად მიფიქრია, თუმცა დღევანდელი გადასახედიდან ამ ნაბიჯს ალბათ აღარ გადავდგამ".*

**პოლ სქოულზისა** და **რაიან გიგზის** შემდეგ „იუნაიტედთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა კიდევ ერთმა დამსახურებულმა ვეტერანმა **გარი ნევილმა**. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელის ხელშეკრულება 2010 წლის 1 ივლისს იწურება. ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ამ დრომდე მოქმედებს ვან დერ სარის შეთანხმებაც. სავარაუდოდ, ამ ვადის გასვლის შემდეგ გიგზი, ვან დერ სარი და ნევილი ფეხბურთს გამოეთხოვებიან. მათი პენსიაში გასვლა „მანჩესტერისათვის" სერიოზული დარტყმა იქნება.

**ჟოზე მოურინიოს** უცნაურ გამონათქვამებს ბოლო აღარ უჩანს. აი, მორიგი აღსარებაც, რომელიც მან ინტერნეტგამოცემა „გოლს" გაანდო. *„როდესაც ინგლისში ვმუშაობდი, 2004-დან 2006 წლამდე, ჩემი „ჩელსი" მთელ კუნძულზე საუკეთესო გუნდი იყო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ზედიზედ ორი ჩემპიონატი მოვიგეთ. „მანჩესტერ იუნაიტედში" გაიაზრეს, რომ წარმატებების მისაღწევად თამაშის ხარისხის გაუმჯობესება იყო საჭირო, რასაც მიაღწიეს კიდეც მესამე სეზონში. შემდეგ მათ ჩემპიონთა ლიგა მოიგეს და ამ ფაქტმა მათ საკუთარი ძალების რწმენა შემატა. აშკარაა, რომ „იუნაიტედმა" მას შემდეგ მოუმატა, რაც მე სამუშაოდ ინგლისში წავედი,"* - განაცხადა „განსაკუთრებულმა კაცმა". სიმართლე ითქვას, არის მის სიტყვებში სიმართლის გარკვეული მარცვალი...

დაბოლოს, „ნიუს ოფ ზე უორლდის" ცნობით, „მანჩესტერ სიტი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ყურადღებით აკვირდებიან 17 წლის ბრაზილიელ ვუნდერკინდ **ნეიმარს**, რომელსაც სამხრეთამერიკულმა პრესამ უკვე უწოდა „ახალი რობინიო". თინეიჯერი „სანტოსში" თამაშობს და კლუბი მას 15 მილიონ გირვანქად აფასებს.

**შალვა ბიბილაშვილი**




**მანჩესტერ იუნაიტედს ქარიმ ბენზემა უნდა, მაგრამ არა იმ ფასად, როგორადაც მას ლიონი აფასებს**

არგენტინა

კლაუსურა

## რივერი მკვდრეთით აღსდგა, საით მიდის ბოკა?

არგენტინის ჩემპიონატი ნელ-ნელა ეშხში შედის. აპერტურისგან განსხვავებით კლაუსურა ჯერჯერობით უცნაური სცენარით მიმდინარეობს. უცნაურობა ის გახლავთ, რომ საშემოდგომო ჩემპიონატში „რივერ პლეიტი" სამარცხვინოდ გამოიყურებოდა, „ბოკა ხუნიორსი" კი ჩემპიონი გახდა. კლაუსურის მესამე ტურში „მილიონარიოსმა" „ბანფილდი" დაამარცხა და გათამაშების ლიდერთა შორის მოექცა. **ნესტორ გოროსიტოს** ბიჭები პირველ ადგილს „ნიუელსთან" „კოლონსა" და „კრუს დე მენდოსასთან" ერთად იყოფენ. აპერტურაში განცდილი კრახის შემდეგ „რივერმა" ლიდერობა პირველად დაიბრუნა. მართალია, ბაირესელები ერთპიროვნული ლიდერები არ არიან, მაგრამ გულშემატკივრებს სჯერათ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და მათი სათაყვანებელი გუნდი მალე ყველას დაჯაბნის. როგორც მოგახსენეთ, „მილიონარიოსის" მსხვერპლი ამჯერად „ბანფილდი" გახდა. ანგარიში **მათიას აბელაირასმა** 36-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გახსნა. შეხვედრის მიწურულს კი (84 წთ) კოლუმბიელმა **რადამელ ფალკაო გარსიამ** უპირატესობა ორამდე გაზარდა და გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. აღსანიშნავია, რომ გარსიას საგოლე პასი **კრისტიან ფაბიანიმ** მიაწოდა. ის „მონუმენტალზე" „ნიუელსიდან" გადავიდა და „რივერ პლეიტის" ინჩასების ახალი კერპი გახდა, თანაც უმცირეს დროში. „ბანფილდის" საქმე 88-ე წუთზე საბოლოოდ წახდა. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე არბიტრმა **ვიქტორ ლოპესი** მეორე ყვითელი ბარათით დასაჯა და მოედნიდან გააძევა.

მესამე ტურში „ესტუდიანტესმა" პირველი გამარჯვება იზეიმა. ამ წარმატებას მათ საკმაოდ ძლიერი „სან ლორენსოს" დამარცხებით მიაღწიეს. ალმაგროელებმა კი გულშემატკივრებს კიდევ ერთი უსიამოვნო სიურპრიზი გაუკეთეს. საქმე ის არის, რომ ამ გუნდმა გასულ ტურში „კრუს დე მენდოსასთანაც" წააგო. ხოლო ამ უცნაური სახელის მქონე კლუბმა გასულ უქმეებზე მორიგი გამარჯვება იზეიმა და ტურნირის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინა. ისევ „ესტუდიანტესს დავუბრუნდებით და გეტყვით, რომ **კრისტიან სელაის** გოლი ულამაზესი გამოდგა. სწორედ ასეთი გოლებისა და შემოქმედებითი ფეხბურთის გამო ჰყავს არგენტინას ამდენი გულშემატკივარი.

ბუნებრივია, ამ მცირე მიმოხილვას ისე ვერ დავასრულებთ, რომ „ბოკა ხუნიორსზე" მოკლედ მაინც არ მოგახსენოთ. ბაირესელებმა გასულ კვირას კლაუსურაში მეორე მარცხი იწვნიეს. წინა ტურში ისინი მშობლიურ „ლა ბომბონერაზე" „ნიუელსთან" დამარცხდნენ. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იმ შეხვედრაში „ოლდ ბოისმა" არაჩვეულებრივად ითამაშა და სრულიად დამსახურებულად მოიგო. „ბოკას" ამჯერად „ლანუსმა" გააწნა ალიყური. დედაქალაქელებს **ხუან რომან რიკელმე** და **კლაუდიო მორელ როდრიგესი** ძალიან დააკლდნენ. „ლანუსი" მესამე წუთზე დაწინაურდა და ლიდერების გარეშე დარჩენილმა „ბოკა ხუნიორსმა" ჰანდიკაპი ვერ ამოქაჩა. ბაირესელები, ალბათ, ძალიან ნანობენ, რომ იანვრის სატრანსფერო ბაზრის დახურვამდე მცირე ხნით ადრე **ხესუს დატოლო** „ნაპოლიში" გაყიდეს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დატოლო აპერტურის განმავლობაში „ბოკას" ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო.

**ილია ნიკოლაიშვილი**



**გუუს ჰიდინკის განსაკუთრებულმა აურამ ახლა ჩელსის უნდა უშველოს**

პრემიერლიგის ამბები

## ჰიდინკს განსაკუთრებული აურა აქვს

### გარეთ ბერი: ვილაში დავრჩები, თუკი...

„ჩელსის" ლიდერი **ფრენკ ლემპარდი** პრესასთან **გუუს ჰიდინკის** შესახებ პირველ შთაბეჭდილებებზე ლაპარაკობს. გთავაზობთ მის განცხადებას: *„ჰიდინკს აქამდე არასოდეს შევხვედრივარ. ამიტომ მისი გაცნობა მაინტერესებდა. აშკარაა, რომ ის თავისი საქმის სერიოზული მცოდნეა. მნიშვნელოვანია, რომ ის ისეთი სპეციალისტია, რომელსაც გუნდის „დაქოქვა" შეუძლია. სასიამოვნოა, რომ მას შესანიშნავი იუმორი ჰქონია. თამაშის ორგანიზების დეტალებზე სტანდარტულად გავისარჯეთ, თუმცა ეს გუნდისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. მას განსაკუთრებული აურა აქვს, სწორედ ისეთი, რომელიც მხოლოდ საუკეთესო მწვრთნელებს აქვთ ხოლმე. ჰიდინკი ლაპარაკობს ძალიან ცოტას, მაგრამ გასაგებად და მხოლოდ ძალზე მნიშვნელოვან თემებზე".*

მოგეხსენებათ, „არსენალს" მთელი სეზონის განმავლობაში სერიოზული საკადრო პრობლემები აწუხებდა. ბოლო დღეებში **არსენ ვენგერი** პრესასთან შედარებით შუბლგახსნილი იყო, რადგან, ბოლოს და ბოლოს, კარგ ხასიათზე ყოფნის ობიექტური საფუძველი ჰქონდა. *„სამიოდე კვირაში ტომაშ როსიცკი სრულფასოვან ვარჯიშებზე გადავა და უკვე ძირითად გუნდს შეუერთდება. მოგეხსენებათ, დღემდე ის ინდივიდუალური პროგრამით ემზადება. როგორც კი მზად იქნება, მას რეზერვისტებთან ერთად მიეცემა თავის გამოჩენის შესაძლებლობა. ვლოცულობ, რომ მეტად აღარ დაითარსოს - ტომაში მშვენივრად გამოიყურება ვარჯიშებზე. ფაბრეგასისა და უოლკოტის მდგომარეობაც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. აბუ დიაბი კი ყველაზე ადრე დაგვიბრუნდება,"* - გახარებულია ფრანგი მწვრთნელი.

„ასტონ ვილასა" და ინგლისის ნაკრების წამყვანი ნახევარმცველი **გარეთ ბერი** ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისში გამოთქვამდა ბირმინგემიდან აბარგების დაუოკებელ სურვილს. მას „ლივერპული" იწვევდა და ტრანსფერში საკმაოდ სოლიდურ თანხასაც იხდიდა. ფეხბურთელთან კონტრაქტის გაწყვეტაზე კატეგორიული უარი განაცხადა **მარტინ ონილმა**, რის გამოც მასა და ბერის შორის უთანხმოება მოხდა. შედეგად ბერის „ასტონ ვილას" კაპიტნობა ჩამოართვეს და ის **მარტინ ლაურსენს** გადასცეს. გაუგებრობას წერტილი მალე დაესვა. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელი გუნდის წარმატებების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელია. მას შემდეგ, რაც ლაურსენი „ასტონ ვილას" მუხლის ტრავმის გამო დიდი ხნით გამოაკლდა, გარეთს კაპიტნის სამკლაური დაუბრუნეს. *„უბრალოდ, უმაღლეს დონეზე ასპარეზობა მინდა, ამიტომ, თუკი „ვილა" ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი. ამას გადაჭრით გეუბნებით. ვამაყობ, რომ გუნდს უკვე წლებია, ერთგულად ვემსახურები. მომწონს, როდესაც რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად ვიბრძვით,"* - განუცხადა სააგენტო AP-ს ფეხბურთელმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

# მიშელ პლატინი
# ცხოვრება, როგორც მატჩი




*(გაგრძელება)*

**როჟე როშესთან** საუბარი სერიოზულ ხასიათს იღებს, როცა საქმეში **პიერ გარონერი** ერთვება. გარონერი - საფრანგეთის ჩემპიონია საფეხბურთო ტალანტების დაბევებაში. მას ერგო იმ „მწვანე ჰუსარების" შერჩევის პატივი, რომლებიც, საბოლოოდ, გლაზგოში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდნენ.

გარონერი, ისევე როგორც **ერბენი**, 32 წლის ასაკში გახდა მწვრთნელი. ის საფეხბურთო მენეჯმენტის შეუდარებელი მეტრის - როჟე როშეს კიდევ ერთ წარმატებად და სიამაყედ ითვლება. მას აქვს უნიკალური თვისება - ყველაზე ნიჭიერი პრეტენდენტებისგან უნიჭიერესი გამოარჩიოს. როშემ გარონერი (ახლო მეგობრებისთვის უბრალოდ - გარო) საფრანგეთში თავის მთავარ თანაშემწედ აქცია.

ევროპულ არენაზე „სენტ ეტიენის" არაერთი გამარჯვება უკავშირდება ამ ტალანტების მაძიებლის საფეხბურთო ოპერაციებს. მაგრამ ეს ფაქტორი ხელს არ მიშლის მცირე ფსიქოლოგიური უპირატესობის მოპოვებაში (მით უმეტეს, რომ „შინ" ვთამაშობ), რომელიც გარონერთან გახუმრებაში გამოიხატება: *„ჩემთან დამოკიდებულებით, არაფრით განსხვავდებით თქვენი კოლეგებისგან. თქვენ მათ მსგავსად მაშინ გამსინჯეთ, როცა ჯერ კიდევ მოზარდი ვიყავი".*

კულისებს მიღმა ყველანაირი ბატალიის მნახველი გარონერის დაბნევა ძალიან რთული საქმეა. ის მაშინვე იგერიებს ჩემს რეპლიკას და კონტრშეტევის ხელოვნების დემონსტრირებას ახდენს: *„ყოველ შემთხვევაში, თქვენ დროულად გამოჩნდით იმისთვის, რომ მწიფე ნაყოფი ჩაიგდოთ ხელში".* მკაფიო განსაზღვრებაა, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალიან მოეწონება „ნანსი-ლოტარენგიას" ბუღალტერს. მან ხომ სულ მალე უნდა განსაზღვროს ყველაზე სამართლიანი და ამავდროულად, ყველაზე მაღალი თანხის ოდენობა, რომელიც ჩემი „ნანსიში" „სწავლა-განათლების" კომპენსაცია იქნება. ამ თანხის გადახდა „სენტ ეტიენს" მოუწევს.

თუ გარონერი და როშე ჩემთან სახლში მოვიდნენ, სხვა გუნდების წარმომადგენლები ტელეფონით დარეკვას ან გუნდის გასვლითი მატჩებისას სასტუმროს ნომრებში სტუმრობას არჩევდნენ.

მაგალითად, მაისის დასაწყისში, როშესთან შეხვედრამდე სამი კვირით ადრე, „ნანსი" ნანტში ჩავიდა სათამაშოდ. ბევრი დიდი ინტერესით ელოდა ჩემს შეხვედრას „ნანტის" მენეჯერ **რობერტ ბუძინსკისთან**. მაგრამ მე და ბუძინსკი სხვების დასანახად ერთმანეთის მიმართ სრულ გულგრილობას ვიჩენდით: „გამარჯობა"... „გაგიმარჯოს"... მაგრამ ეს ხელს არ უშლის რობერტს ორი დღის შემდეგ ლოტარენგიაში ჩამოვიდეს და გულახდილად გამომიცხადოს: *„შენ „ნანტს" სჭირდები. ხელფასი ისეთივე გექნება, როგორიც ანრი მიშელს აქვს, ანუ დაახლოებით 600 ათასი ფრანკი წელიწადში. გარდა ამისა, ჩვენი სპონსორი - რადიოსადგური EUROPE-1 სხვა დანარჩენზე იზრუნებს: ის შენი მისამართით დიდსულოვან ჟესტს გააკეთებს".*

მაინც ვერ მივიღე ზუსტი ინფორმაცია ამ „დიდსულოვანი ჟესტის" შესახებ. გარდა ამისა, ამ საკითხს ვეტო „ნანტის" მეათე ნომრის - **ანრი მიშელის** ფაქტორმაც დაადო, რომელსაც **ჟილ რამპიიონთან** კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებები გაუჭიანურდა. ამ ყველაფერმა სინდისის ქენჯნის გარეშე, იოლად მათქმევინა უარი შემოთავაზებაზე, რომელიც ძირითადად EUROPE-1-ის პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერისგან **ჟან-ლუკ ლაგერდერიდან** მოდიოდა.

უნდა ითქვას, რომ ტრადიციას არ ღალატობს და „ნანტზე" უფრო მოკრძალებით იქცევა „მარსელი". იმ საღამოს, „ნანტი", რომელსაც მე უარი ვუთხარი, მარსელში ჩავიდა სათამაშოდ. მომავალი შეხვედრა უმაღლესი დონისაა - საფრანგეთის თასის ფინალი. განმეორებითი შეხვედრა. საკითხი ასე დგას - ან წაგება, ან „დუბლი".

„მარსელი" მატჩის წინ მულენდევარნეგში მიემართება, რომელიც ქალაქიდან 40 კილომეტრით არის დაშორებული. იდეალური ადგილია დასვენებისთვის.

იქ, საუზმის დროს თავის თავში ასი პროცენტით დარწმუნებული **მარიუს ტრეზორი** მგზნებარე სიტყვით მიმართავს თანაგუნდელებს: *„ჩვენ უნდა დავამარცხოთ „ნანტი". აუცილებლად წარმატებით უნდა ჩავაბაროთ ეს გამოცდა..."* და ყველასთვის მოულოდნელად ამატებს: *„საფრანგეთის თასზე მიღწეული გამარჯვებიდან მიღებული მოგებით, ჩვენ გუნდში პლატინის მიწვევა შეგვეძლება..."*

ამის შესახებ **ბერნარ ჟენესტარმა** მომიყვა, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემი საქმეთა მმართველი (პოვერენნი) გახდება.

ამით მარიუს ტრეზორმა დაამტკიცა, რომ არის ადამიანი, რომელიც ძველ წყენას ადვილად ივიწყებს. თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მეგობრები ვიყავით. საფრანგეთის ნაკრებში ყოველთვის მყარი ადამიანური კავშირები ყალიბდება. მაგრამ ჩვენს დამეგობრებამდე რამდენიმე სეზონით ადრე, მარსელში „ნანსიმ" 4:1 მოიგო და მე უბრალოდ გავანამე მარიუსი მოედანზე. მაშინ ბრწყინვალე გოლი გავიტანე. ერთ-ერთი იმათგანი, რომელიც თამამად შეიძლება დიდი ასოებით შეიტანო ფეხბურთის ისტორიაში. ეს იყო ერთ-ერთი ულამაზესი გოლი ჩემს კარიერაში. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი.

ეს 1976 წელს მოხდა. ბურთი თამაშში შეჰყავს მეკარე **ჟერარ მიჟონს**; **ჟან ფერნანდესი** და **ჟორჟ ბერეტა** ცენტრში ერთმანეთს ბურთს უგორებდნენ. მე მათგან ხუთ მეტრში ვდგავარ. ბოლოს მბეზრდება ეს ყველაფერი, ბურთს ვიღებ და კარისკენ 30-მეტრიან დრიბლინგს ვიწყებ, მარსელელი მცველები კი გამომეკიდნენ. მაგრამ ვერ მეწევიან. ჩემს წინ მხოლოდ ტრეზორია - ბოლო და ყველაზე რთული ბარიერი.

მაგრამ არ ვიმჩნევ, რომ მისი წინ ყოფნა მაღელვებს, ცრუ მოძრაობას ვაკეთებ და ვახერხებ „პატარა ხიდის" აშენებას, ანუ ფეხებშუა ვუტარებ ბურთს. ასეთი ილეთი დაზარალებულისთვის ყოველთვის დიდ სირცხვილად ითვლება. როგორც კი ასეთი დრიბლინგის შემდეგ ღია სივრცეში გადავედით, მაშინვე კარისკენ დავარტყი. ბურთი ოდნავ წინ გამოსულ მიჟონს თავზე გადააფრინდა და პირდაპირ მარსელელთა კარის ცხრიანში შევარდა.

არავის დავიწყებია ეს გარღვევა, რომელიც დიადი საფეხბურთო სპექტაკლების გვერდით მოხსენიების ღირსია.

და აი, დღეს, როცა ახდა „ნანტზე" გამარჯვების შემდეგ ეიფორიით შეპყრობილი მარიუსის სურვილი, ჩემ წინ აღიმართა ბერნარ ჟენესტარი - მან „მარსელის" სახელით მოლაპარაკებების წარმოების უფლება მიიღო. გულიც კი ამიჩუყა, როცა ტელეფონში სევდანარევი ხმით მომიყვა, როგორ მიდიან „მარსელის" ძველი გულშემატკივრები ყოველ საღამოს ეკლესიაში, ღვთისმშობლის წინ სანთელს ანთებენ და ლოცულობენ, რომ მე „ველოდრომის" სტადიონზე დავიწყო თამაში.

ახლა ნანსიში ისევ ვხედავ მის ღიმილს, მხიარულ შავ თვალებს, მესმის მისი სიმღერასავით ხმა. მის გვერდით მარიუს ტრეზორი დგას, ქრისტეშობისთვის განკუთვნილი ყვავილებით ხელში. იქვეა ჟიულ ჟვუნკა, მწვრთნელი და თავისი საქმის დიდოსტატი. მრისხანე ადამიანი რბილი და კეთილი გულით. ჟიული უკვე ამთავრებდა თავის საფეხბურთო კარიერას, როცა მე ჯერ მხოლოდ გზის დასაწყისში ვიყავი. მას კარგად იცნობდნენ და ძალიან უყვარდათ ლოტარენგიაში, სადაც ბევრი ოფლი დაღვარა, როცა „მეცს" ავარჯიშებდა. მაგრამ „მარსელმა" ამ ძველ და საიმედო სტოპერს დაწინაურება დაჰპირდა.

ჟიული წარმომიდგა და მაცდური წინადადება შემომთავაზა, რომელიც წელიწადში 800 ათას ფრანკს უდრიდა და ამას სპორტული საქონლის მაღაზიისგან პრემიაც (ჟენესტერის საიდუმლო იარაღი) ემატებოდა.

დროც არ მქონდა, რომ ეს წინადადება განმეხილა: „პარი სენ-ჟერმენი", რომელსაც სურს, რადაც უნდა დაუჯდეს თავისი პირველი ტიტული მოიპოვოს და საფეხბურთო სამყაროში დაიმკვიდროს თავი, შემოთავაზებების რეკორდს ხსნის - მილიონი ფრანკი!

*„და ეს მხოლოდ მომავალი მოლაპარაკებების საწყისი თანხაა. მისი გაზრდა შემიძლია"*, - ამბობს უაღრესად ექსპანსიური პრეზიდენტი **ფრენსის ბორელი**, რომელმაც კატასტროფული სეზონის შემდეგ თანამდებობიდან განთავისუფლა **დანიელ ეხტერი**.

29 მაისს, ბორელი თავის გუნდთან ერთად სტრასბურში ჩამოდის. იმავე დღეს, ვოლენ-ან-აიში, სადაც საკუთარი სახლის აშენებას ვაპირებდი, როშე ჩამოვიდა.

ორ „მონადირეს" სულ რაღაც ასი კილომეტრი აშორებთ ერთმანეთისგან.

30 მაისს ადრე დილით, ტელეფონი რეკავს.

- ლაპარაკობს ფრენსის ბორელი. პარიზში თვითმფრინავი 9 საათზე და 20 წუთზე მაქვს, თქვენამდე მანქანით საათის სავალი გზაა. როგორ მოვიქცე?

- მობრძანდით!

მოლაპარაკებების ბოლო ტური „პარი სენ-ჟერმენის" პრეზიდენტთან გავატარე. ეს არის ახალი ტიპის პრეზიდენტი, სავსე ამბიციითა და თავის გუნდთან დაკავშირებული ყველაზე თამამი გეგმებით.

ბორელი ჩემთან ლიმონის პატარა ხით შემოდის. „პარი სენ-ჟერმენის" ხელმძღვანელი სანდო სახით მატყობინებს, თუ რა დიდი პატივისცემით მოიხსენიებს ინგლისში იქაური სპორტული პრესა. *„მაგრამ სერიოზულად არავინ ფიქრობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ლა მანშს გადალახავთ და ინგლისში გადაბარგდებით. ყველანაირი გადასახადი, პირდაპირი და ირიბი, უბრალოდ სიცოცხლეს მოგისპობენ..."*

„პარი სენ-ჟერმენი" თუ „სენტ ეტიენი"? „სენტ ეტიენი" თუ „პარი სენ-ჟერმენი"? რომელს მივანიჭო უპირატესობა?

*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**





ოლიმპიზმი



მარცხნიდან: რამაზ გოგლიძე, ჟაკ როგი და თომას ბახი

# ურთიერთობები ღრმავდება

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელს სტუმრობდა, სადაც ევროპის ოლიმპიური კომიტეტების, რომლის პრეზიდენტიც პატრიკ ჰიკი გახლავთ, ახალი ოფისის პრეზენტაცია შედგა. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მრავალი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, ევროკავშირის კომისარი, ევროპის პარლამენტის წევრები და ა.შ.**

**რამაზ გოგლიძე:** - ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ახალი შტაბბინის გადატანა ბელგიის დედაქალაქში ძირითადად იმან განაპირობა, რომ ბრიუსელში ევროპის ძირითადი და მსხვილი საერთაშორისო დაწესებულებებია თავმოყრილი, მათ შორის ევროპის პარლამენტი, ევროკავშირი და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზაციები. ამიერიდან ეოკ-იც მათთან ახლოს იქნება, რაც ხელს შეუწყობს ოლიმპიური მოძრაობის პროპაგანდის კოორდინაციას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: „სპორტი ყველასათვის", „სპორტი და მშვიდობა", „ქალები და სპორტი", „FAIR PLAY", "სპორტში ძალადობისა და რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა," ანტიდოპინგური საკითხები და ა.შ.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, დოქტორი **ჟაკ როგი,** სოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **ლამბის ნიკოლაუ,** ვიცე-პრეზიდენტი **თომას ბახი,** რომელიც ამავდროულად გერმანიის ოლიმპიური სპორტის კონფედერაციის ხელმძღვანელია, განათლებისა და კულტურის საკითხებში ევროკავშირის კომისარი **ჟან ფიგელი..** საქართველოს დესპანი ბელგიისა და ლუქსემბურგის ქვეყნებში **დავით სოლომონია** და სხვები. აქვე დავამატებდი, რომ პრეზენტაციაზე სეოკ-მა ეოკ-ს საჩუქრად გადასცა ცნობილი ქართველი მოქანდაკის გია ჯაფარიძის სკულპტურა „შთაგონება", რომელიც ახალ ოფისს დაამშვენებს.

**- ბატონო რამაზ, ბრიუსელში ალბათ სხვა საინტერესო შეხვედრებიც გექნებოდათ...**

- მეტად მნიშვნელოვანი და საქმიანი შეხვედრა გვქონდა ჟაკ როგთან სოკ-ისა და სეოკ-ის უფრო მჭიდრო თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ჯერჯერობით ზუსტი თარილი უცნობია, მაგრამ გადაწყვეტილია, რომ საქართველოს დელეგაცია გია ნაცვლიშვილის მეთაურობით, ლოზანაში სოკ-ის ხელმძღვანელებს შეხვდება და ქართული სპორტის წინსვლასთან დაკავშირებული არაერთი საკითხი განიხილება.

წინასწარი მოლაპარაკება გვქონდა გერმანიის ოლიმპიური სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტ თომას ბახთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. გერმანია სპორტში ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში და მათთან საქმიანი კავშირი უსათუოდ სასიკეთოდ წაგვადგება. ლაპარაკია მწვრთნელებისა და სპორტსმენების გაცვლით პროგრამებში მონაწილეობაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე, საერთო საწვრთნელ შეკრებებზე გერმანიაში ჩავლენ ჩვენი მოცურავეები და მძლეოსნები, ძიუდოსა და ჭიდაობის სახეობებში კი გერმანელებს ჩვენ ვუმასპინძლებთ. ივარაუდება ურთიერთობის ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლი. ასევე მნიშვნელოვანია ცნობილ ფირმა „ადიდასთან" ჩვენი მომავალი თანამშრომლობის საკითხიც. თუ ყველაფერი დადებითად გადაწყდა, საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას ლონდონში სწორედ ეს გერმანული ბრენდი შემოსავს. ბახი სოკ-ის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული და პერსპექტიული ფიგურაა.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტმა **პატრიკ ჰიკმა** ჩვენთან შეხვედრისას კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი ღრმა პატივისცემა ქართული ოლიმპიზმის მიმართ და აღნიშნა, რომ მისი წინსვლისთვის უფრო მეტ დახმარებას გამოყოფს. ვისაუბრეთ ამას წინათ დუბლინში გაფორმებული ხელშეკრულების თაობაზეც და მალე დაიწყება მისი პრაქტიკული განხორციელება. პირველ ეტაპზე ძიუდოსა და ჭიდაობის მწვრთნელებს მივავლენთ, კრივში მათი კონსულტანტის სანაცვლოდ.

როგორც იცით, წლეულს ოქტომბერში სეოკ-ის 20 წლის იუბილეა. გვინდა ეს თარილი ღირსეულად აღვნიშნოთ. ბრიუსელში ამ თემაზეც მქონდა საუბრები და თბილისში მსოფლიო ოლიმპიური სამყაროს არაერთი წარმომადგენელი მოვიწვიეთ.

**კახა ბერიძე**

გიხაროდენ!

# სპორტს ლატარია უბრუნდება

ამიერიდან, ევროპის ქვეყნების მსგავსად, სპორტი საქართველოშიც გარკვეულწილად ლატარიების შემოსავლებიდანაც დაფინანსდება. საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ივნისამდე კანონის პროექტი მზად უნდა იყოს.

ცნობილი გახდა, რომ ლატარიების ჩატარებას 10-15 წლით უხელმძღვანელებს ტენდერში გამარჯვებული ერთი ორგანიზაცია, რომელიც რეალიზებული ბილეთების მინიმუმ 20 პროცენტს გაილებს კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის. ტენდერში მთავარი პირობა იქნება ფორმულა 20+, ანუ ვინ მეტს გაილებს.

იმას, კონკრეტულად რაში გაიხარჯება ლატარიიდან შემოსავალი, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო გადაწყვეტს.

ტენდერში მონაწილეობის უფლება ყველას აქვს. ძველი ლიცენზიები ძალაში მხოლოდ ტენდერის ჩატარებამდე რჩება.

დავძენთ, რომ შარშან ანალოგიური ტენდერის ჩატარების მცდელობა კრახით დასრულდა.

**თენგიზ თომაშვილი**

ჭიდაობა

# გლდანში, ახალი წესებით

**სახელოვანი ქართველი ფალავნისა და დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის ტურნირები დიდი ხანია, ტრადიციად იქცა და ყოველწლიურად ეწყობა. ახლაც, გასულ უქმეებზე, 1992-1993 წლებში დაბადებულ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შეჯიბრებას (მთავარი მსაჯი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი) გლდანში ოლიმპიური რეზერვის მზადების ეროვნული ცენტრის დარბაზმა უმასპინძლა. ხალიჩაზე 20-ზე მეტი ქალაქისა და რაიონის 200-მდე წარმომადგენელი გამოვიდა.**

— სასიამოვნოა, რომ ბოლო წლებში ანტიკური ჭიდაობის გეოგრაფია საქართველოში ნელ-ნელა იზრდება. მაგალითად, სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ შეჯიბრებებში ფოთელები, ჩხოროწყუელები, წალკელები, სადაც ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ტრადიციები არ ჰქონდათ, — მითხრა ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვაჟა კრავეიშვილმა.** — რაც შეეხება მაისურაძის ტურნირს, იგი 16-17-წლამდელთათვის საქართველოს პირველობის გენერალური რეპეტიციაა. ფილამ ჭიდაობის ახალი წესები შემოიღო და ამ შეჯიბრებაზე მისი დაჭაშნიკებაც მოხდა. გვინდა, რომ საქართველოს პირველობისთვის მოზარდებიც შეეჩვიონ მას და მსაჯებიც, რათა უფრო ობიექტურად გამოვავლინოთ ჩემპიონები, რომლებიც სერბეთში (ივნისი) ევროპის პირველობაზე იასპარეზებენ.



საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები.
მარცხნიდან: ვაჟა კრავეიშვილი, დათო დავითაია და ჯონი რეხვიაშვილი

**— წესებში ცვლილებებს ხომ ვერ დაგვიკონკრეტებთ?**

— ახლა დგომში ჭიდაობა თითოეულ პერიოდში წუთ-ნახევარს გრძელდება. მომდევნო ნახევარი წუთი კი ჩოქბჯენში ის ჩადგება, ვინც შეხვედრას აგებს. ნულოვანი შედეგისას პირველ პერიოდში „წითელს" ეძლევა შეტევის უპირატესობა, მეორე პერიოდში — „ლურჯს"; მესამე რაუნდი თუ გახდა საჭირო, მაშინ — ორი პერიოდის განმავლობაში ვისაც მეტი ქულა აქვს; ფრეს შემთხვევაში მსაჯები კენჭისყრას მიმართავენ. შესაძლოა, ეს წესებიც შორს იდგეს იდეალურისაგან, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ უწინდელს აშკარად სჯობს.

**— ევროპის პირველობამდე როგორ მოემზადებით?**

— მანამდე დიდი დროა — სამ თვენახევარზე მეტი. აპრილში საქართველოს პირველობაზე გამოვლინდება ის ძირითადი ბირთვი, რომელსაც ქვეყნის სპორტული ღირსების დაცვა მოუწევს. ბათუმსა და თბილისში საწვრთნელ შეკრებებს გავმართავთ, საშეჯიბრო გამოცდილების მისაღებად კი თურქეთის, აზერბაიჯანისა და ირანის საერთაშორისო ტურნირებზე გამოვალთ.

**— ისევ მაისურაძის მემორიალს დავუბრუნდეთ...**

— ყველა წონაში დაძაბული ორთაბრძოლები იყო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. კარგი ბიჭები გამოჩნდნენ. 4-6 აპრილამდე ისინი კიდევ უფრო დახვეწენ ოსტატობას და საქართველოს პირველობაზე ყველაფერს ილონებენ ჭაბუკთა ნაკრებში ადგილის დასაბევებლად.

**კვარცხლბეკი**

**42 კგ**

1. შმაგი ბოლქვაძე (ხულო)
2. გიორგი ტოტიკაშვილი (მარტყოფი)
3. გიორგი ცხადაძე (ქუთაისი)
3. მურთაზ ჩაბრავა (სენაკი).

**46 კგ**

1. თორნიკე ჯანგავაძე (ქუთაისი)
2. ნიკა მამადაშვილი (ნორიო)
3. დავით სანიკიძე (ქუთაისი)
3. ნოდარ დოლიძე (ოზურგეთი)

**50 კგ**

1. ბაჩანა ფუტკარაძე (ბათუმი)
2. თორნიკე მახარაძე (ბათუმი)
3. ნიკა ნიძაბაძე (სამტრედია)
3 რამაზ შავაძე (ბათუმი)

**54 კგ**

1. სულხან ნიკოლიშვილი (გარდაბანი)
2. რამაზ სურმანიძე (ხულო)
3. გიორგი ავალიანი (ქუთაისი)
3. აბესალომ ძათამაძე (ზესტაფონი)

**58 კგ**

1. თორნიკე თურძიშვილი (გარდაბანი)
2. კახა ვანაძე (ოზურგეთი)
3. თემურ რუხვაძე (ქუთაისი)
3. თორნიკე ჩიხლაძე (წყალტუბო)

**63 კგ**

1. გიორგი დავითაია (სენაკი)
2. გოჩა ჭაბუკიანი (ქუთაისი)
3. რობერტ ძოგლიაშვილი (გარდაბანი)
3. ბიჭიკო აბაშიძე (ოზურგეთი)

**69 კგ.**

1. ფარნავაზ ბეჟანიძე (ბათუმი)
2. ბექა კეთილაძე (წყალტუბო)
3. ლევან კვარაცხელია (სენაკი)
3. დათო ჩიტაძე (ხულო)

**76 კგ**

1. შალვა გონენაშვილი (თბილისი)
2. თამაზ მეფარიშვილი (თბილისი)
3. თედო ჯანაძე (აფხაზეთი)
3. გია მეძვაბიშვილი (ოზურგეთი)

**85 კგ.**

1. დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისი)
2. ლუკა ჩირგაძე (წყალტუბო)
3. ბექა ძურთაძე (ქუთაისი)
3. აკაკი ბეშიძე (სართიჭალა)

**100 კგ**

1. გიორგი ხაბაშვილი (რუსთავი)
2. თამაზ უკლება (ქუთაისი)
3. თამაზ ყარაბულაშვილი (თბილისი)
3. გიორგი მემარნიშვილი (ოზურგეთი)

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ჭიდაობა

# ერთი ტურნირით ათეულში

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია ყოველი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ განახლებულ რეიტინგ-ლისტს აქვეყნებს. ჰამბურგის გრანპრი კვირას დასრულდა, გუშინ კი ახალი კლასიფიკაცია ვიხილეთ. შეგახსენებთ, რომ გრანპრი მსოფლიოს თასზე მაღალი კატეგორიის ტურნირია, მისი მოგებისთვის ძიუდოისტი 200 ქულას ილებს, მეორეადგილოსანი - 120-ს, მესამე პრიზიორი კი - 80-ს.

მივყვეთ წონითი კატეგორიების მიხედვით: 60 კგ წონით კატეგორიაში 280 ქულით მეორე პოზიციას ინარჩუნებს **ამირან პაპინაშვილი,** რომელიც პარიზის დიდი სლემის გამარჯვებულ **დიმიტრი დრაგინს** (300 ქულა) ჩამორჩება. მესამეზეა ჰამბურგის გრანპრის გამარჯვებული უზბეკი **რიშოდ სობიროვი** - 260 ქულა. სხვა ქართველები ამ წონაში: 8. **ლევან ჩუბინიძე** - 100 ქულა; 12. **ბეთქილ შუკვანი** - 60; 34. **სოსო ნიჟარაძე** - 16.

66 კგ წონით კატეგორიაში ასე კარგად არ გვაქვს საქმე, უძლიერესი ქართველი სიაში **ნესტორ ხერგიანია** - ის 60 ქულით მე-16 ადგილზეა. წონაში იაპონელი **მასატო უჩიშიბა** ლიდერობს 300 ქულით, მეორე-მესამე ადგილებს 200-200 ქულით კორეელი **იო-ინ კიმი** და უნგრელი **მიკლოშ უნგვარი** იყოფენ. სხვა ქართველები: 24. **შალვა ქარდავა** - 40 ქულა; 42. **მინდია ხომიზური** - 16; 43. **სანდრო იაკობაშვილი** - 12.

73 კგ წონით კატეგორიაში 300 ქულით კორეელი **კი ჩუნ ვანგი** ლიდერობს, რუსი **მანსურ ისაევი** 260 ქულით მეორეა, 180 ქულა აქვს მოგროვილი კუბელ **იორდანის არენსიბიას.** ქართველთაგან საუკეთესო **ზაზა კედელაშვილია,** თბილისის ტურნირის ფინალისტი 60 ქულით მე-16 ადგილზეა. სხვები: 22. **თენგიზ პაპოშვილი** - 40; 50. **მიხეილ ხომიზური** - 12, 59. **ამბაკო ავალიანი** - 8. 81 კგ-შიც კორეელი ლიდერობს - 300 ქულა აქვს **დაე-ნამ სონგს,** 260 ქულით მას კვალში რუსი **სირაჯუდინ მაგომედოვი** უდგას, მესამეა მისი თანამემამულე **ივან ნიფონტოვი** - 200 ქულა. ქართველებში წინ **ლევან წიკლაურია,** ის 96 ქულით მე-11 ადგილზეა. სხვები: 18. **გრიგოლ შინჯიკაშვილი** - 52 ქულა; 26. **საბა გავაშელიშვილი** - 28; 29. **ხვიჩა ხუციშვილი** - 28.

„ქართულ წონაში", 90 კგ-ში 500 ქულით (!) ლიდერობს ფრანგი **ივ მატეო დაფრევილი,** რომელმაც მოახერხა პარიზის დიდი სლემის და ჰამბურგის გრანპრის მოგება. ბელარუსი **ანდრეი კაზუსიონაკი** 196 ქულით მეორეა, იაპონელი **ტაკაში ონო** 180 ქულით - მესამე. **ვარლამ ლიპარტელიანს** ევროპის ჩემპიონატამდე დაასვენებენ, ბუნებრივია, მისი რეიტინგი სხვებთან შედარებით დაიკლებს, დღეისათვის ვარლამი 160 ქულით მხოლოდ მე-6 ადგილზეა. სხვები: 15. **ზვიად გოგოჭური** - 60 ქულა; 24. **მინდია ბოდაველი** - 36; 29. **გრიგოლ მამრიკიშვილი** - 20.

100 კგ წონით კატეგორიაში ერთ ტურნირში მონაწილეობით შეძლო **ირაკლი ცირეკიძემ** მე-10 ადგილზე ასვლა, მან 80 ქულა მიითვალა ჰამბურგში მე-3 ადგილზე გასვლით. წონას ძალზე დამაჯერებლად ლიდერობს ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენელი **ტაკამასა ანაი** - 500 ქულა. ბელარუსი **ევგენი ბიადულინი** 240 ქულით მეორეა, ხოლო რუმინელ **დანიელ ბრატას** 200 ქულა აქვს. სხვა ქართველები: 17. **დავით ლორიაშვილი** - 60 ქულა; 22. **ნოდარ მეტრეველი** - 36; 32. **დიმიტრი ტურაშვილი** - 16; 32. **ლომერ ყორყოლიანი** - 16.

მძიმე წონაში ერთ დროს ძიუდოს კლუბ „საგარეჯოს" ლეგიონერი **აბდულო ტანგრიევი** (უზბეკეთი) ლიდერობს - აბდულოს 320 ქულა აქვს. ფრანგი ტალანტი **ტედი რინერი** 300 ქულით მეორე ადგილზეა. ეს წონა ერთადერთი შემთხვევაა რეიტინგში, სადაც პარიზის ტურნირის გამარჯვებული არ ლიდერობს. კუბელი **ოსკარ ბრისონი** 220 ქულით მესამე ადგილზეა. ქართველები: 6. **ზვიად ხანჯალიაშვილი** - 120 ქულა; 9. **ადამ ოქრუაშვილი** - 100; 16. **ლაშა გუჯეჯიანი** - 60.

შემდეგი „გაჩერება" პოლონეთის მსოფლიოს თასია (ვარშავა, 28 თებერვალი). მსოფლიოს თასზე მოგება 100 ქულად ფასობს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## ვლადიმერ ბორისა:
# ზადარში დღეს-ხვალ გადავალ



გასულ კვირას ვლადიმერ ბორისას სატრანსფერო საკითხებზე გესაუბრეთ. გითხარით, რომ მან ესპანური "მენორკა" დატოვა და ხორვატულ "ზადარში" აპირებს გადასვლას. დაკვირვებულ მკითხველს ზადარელთა ახალი მწვრთნელის, ზმაგო საგადინის სიტყვებიც ემახსოვრება – ვლადიმერ ბორისას ხორვატიაში ხვალ ველიო. მას შემდეგ რამდენიმე "ხვალ" გავიდა, მაგრამ ბალკანელებს ბორისას შესახებ არაფერი დაუწერიათ. არადა, ქართველი ფორვარდი ხორვატიაში რომ ჩასულიყო, იქაური პრესა აუცილებლად შეგვატყობინებდა. ჰოდა, მოცდას დაკავშირება ვამჯობინეთ, ვოვა ბორისას სლოვენიურ ტელეფონის ნომერზე დავურეკეთ და სიახლეებზე ვკითხეთ.

**- ისევ ესპანეთში ხარ?**

- მენორკაში ვარ და გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. ოღონდ, აქ, ალბათ, აღარ ვითამაშებ, მენეჯერი სატრანსფერო საკითხებზე მუშაობს და იმედი მაქვს, მალე "ზადარში" გადავალ.

**- ხორვატიაში როდის წახვალ?**

- როცა ყველაფერი მოგვარდება, ესპანეთს მაშინ დავტოვებ. დღეს-ხვალ სატრანსფერო საკითხები საბოლოოდ უნდა მოწესრიგდეს...

**- ხორვატებს რა ვადიან ხელშეკრულებაზე შეუთანხმდი?**

- სამთვიან კონტრაქტს გავაფორმებ. "ზადარში" მიმდინარე სეზონის ბოლომდე უნდა ვითამაშო. გუნდს ევროთასის რამდენიმე მატჩი დარჩა ჩასატარებელი, ასევე ადრიატიკის ლიგასა და ხორვატიის ჩემპიონატში თამაშობს. ვცდილობ, ფორმა შევინარჩუნო, რათა გუნდს სათანადოდ დავეხმარო.

**- "ზადარის" ახალ მწვრთნელ ზმაგო საგადინს კარგად უნდა იცნობდე...**

- რა თქმა უნდა. მასთან სლოვენიის "ოლიმპიაში" ვთამაშობდი. გამოცდილი სპეციალისტია, მის სათამაშო პრინციპებსა და სქემებს კარგად ვიცნობ, ამიტომ, ვფიქრობ, "ზადართან" შეგუება არ უნდა გამიჭირდეს.

**- ახლა სად ვარჯიშობ?**

- "მენორკაში". ამ გუნდთან კონტრაქტი ჯერ არ გამიწყვეტია. კლუბს პროფესიონალი და გაგებული უფროსობა ჰყავს და, მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელმა ჩემს ნაცვლად შემადგენლობაში სხვა ჩასვა, "მენორკადან" ჩემს გაშვებაზე სიტყვა არ დაუძრავს. მითხრეს, ისევ ჩვენთან ხარ და თუ სხვა უკეთესი ვარიანტი გამოგიჩნდება, კონტრაქტის გაწყვეტაზე მერე დავილაპარაკოთო. მეც გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და დარჩენა რომ მქონდეს გადაწყვეტილი, შეიძლება ზოგიერთ თამაშში მონაწილეობამაც მომიწიოს.

**- როგორ ფიქრობ, სჯობდა "მენორკის" მთავარ მწვრთნელად მანელ კასასი დარჩენილიყო?**

- ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. კლუბის უფროსობამ მწვრთნელის შეცვლა განიზრახა და შეცვალა კიდეც. ეს ჩვეულებრივი ამბავია. არც ისაა გასაკვირი, რომ ახალმა დამრიგებელმა ახალი კალათბურთელი მოიყვანა და იგი ჩემს ადგილას ჩასვა. შეიძლება, ეს სხვა მენორკელს დამართვოდა. ამიტომ მწვრთნელს ნამდვილად ვერ გავამტყუნებ. სპორტში ასეთი რამე ხშირად ხდება.

**- ესპანეთში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტია?**

- "მენორკაში" შვიდი ლეგიონერი ვართ. აქაური წესების მიხედვით, ნებისმიერ გუნდს განაცხადში მხოლოდ 6 უცხოელის შეყვანის უფლება აქვს.

**- სეზონის დასაწყისში "მენორკაში" ნორმალური შემადგენლობა შეიკრიბა, მაგრამ გუნდი სატურნირო ცხრილში დღესაც ბოლოდან მეორე ადგილზეა. წარუმატებლობა რისი ბრალია?**

- თავიდან ურიგოდ არ დაგვიწყია – გამარჯვებებიც გვქონდა და თუ ვმარცხდებოდით, მხოლოდ ბოლო წუთებზე... მაგრამ შემდეგ რამდენიმე საშინაო მარცხიც გამოგვერია. უშუალო კონკურენტებთან წავაგეთ და ცხრილში ქვემოთ ჩავინაცვლეთ. საერთოდ, ესპანეთის ჩემპიონატი რთული სათამაშოა, განსაკუთრებით ძნელია გასვლით მატჩებში გამარჯვება. სამი-ოთხი დასანანი შეცდომა რომ არ დაგვეშვა, ახლა პლეი ოფის ზონასთან ახლოს ვიქნებოდით.

**- ესპანეთის ჩემპიონატში მოასპარეზე სხვა ქართველებთან თუ გაქვს ურთიერთობა?**

- ამას წინათ "პამესას" დავუპირისპირდით. ჩემს წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა თორნიკე შენგელიამ. ამან, რა თქმა უნდა, გამახარა. შეიძლება თორნიკეს თქვენც ესაუბრეთ, მაგრამ თავად თქმა მოერიდებოდა. მე კი გეტყვით – მწვრთნელს შენგელია მოედნიდან რომ გაჰყავდა, მთელი დარბაზი ფეხზე წამოუდგა და აპლოდისმენტებით გააცილა.

**- 17 წლის ქართველისგან ასეთ თამაშს თუ ელოდი?**

- 17 წლისა კი არის, მაგრამ, რადგან "პამესაში" თამაშობს, ე.ი. იმსახურებს. მატჩის შემდეგ საკალათბურთო დარბაზთან ახლოს მდებარე სავაჭრო ცენტრში წავედით და ყავა დავლიეთ. იქ თორნიკეს რამდენიმე საინტერესო საკითხზე ვესაუბრე. მითხრა, რომ ძალიან ბევრს ვარჯიშობს. ამიტომაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, ასეთ ასაკში "პამესაში" რომ ათამაშებენ.

**- ბოლოს სანაკრებო თემაზე გკითხავ – მწვრთნელ იგორ კოკოშკოვთან ურთიერთობა თუ გაქვს?**

- ერთმანეთს რამდენჯერმე ელფოსტით დავუკავშირდით. ბოლოს აღარ შევხმიანებივართ.

ვაჟა სიმონიშვილი

ლეგიონერები

ესტონეთი

# სანიკიძის ეფექტური დუბლი

ესტონეთის ჩემპიონატში მორიგი მატჩი ჩაატარა და კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა "ტარტუ როკმა". **გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის** თანაგუნდელებმა მესამეადგილოსან ტტუ-ს უმასპინძლეს და დაძაბულ ბრძოლაში 86:81 იმარჯვეს.

მწვრთნელმა **ინდრიკ ვესპაანუმ** ცინცაძე სასტარტო ხუთეულში დააყენა, სანიკიძე კი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩართო. ვიქტორმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა ფორმაშია, მისთვის ხუთეულში მოხვედრა-არმოხვედრას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მან **სილვერ ლეპიკთან** ერთად თითქმის მარტომ გადაწყვიტა მატჩის ბედი. სანიკიძემ 24 წუთში ეფექტური ორმაგი დუბლი მიითვალა: 20 ქულა (9-დან 4 ორქულიანი, 5-დან 3 სამიანი, 6-დან 3 საჯარიმო), 12 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარება.

გიორგი ცინცაძემ 18 წუთში 5 ქულა ჩააგდო და ზედ 1 მოხსნა და 2 პასი "მიატანა".

სილვერ ლეპიკს კი 20 ქულის ჩასაგდებად 21 წუთიც ეყო.

"ტარტუ როკს" მორიგი მატჩი 28 თებერვალს ელის – ბალტიის თასზე "ჟალგირისს" დაუპირისპირდება.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

უკრაინა

# მარკოიშვილს სამუშაოც მოემატა და ეფექტურობაც



მანუჩარ მარკოიშვილი

"კიევიდან" ლეგიონერების დათხოვნის შემდეგ **მანუჩარ მარკოიშვილის** თანაგუნდელებმა პირველი შეხვედრა იუჟნის "ხიმიკთან" გამართეს (სხვათა შორის, ორი კვირის წინათ უცხოელები "ქიმიკოსებმაც" გაუშვეს) და 76:68 გაიმარჯვეს.

დედაქალაქელთა რიგებში თითქმის შეუცვლელად ითამაშა ქართველმა კალათბურთელმა, რომელმაც 37 წუთში 20 ქულა, 4 ჩაჭრა და 2-2 პასი-მოხსნა მიითვალა. როგორც ხედავთ, დანარჩენი ლეგიონერების წასვლის შემდეგ მანუჩარი "კიევის" ლიდერად იქცა... ალბათ, ერჩივნა, გუნდში მაღალი კლასის უცხოელებიც დარჩენილიყვნენ, მანუ ხომ არც მათ შორის იყო ჩრდილქვეშ...

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი

ლეგიონერები

# მეორე ეტაპზე ხუთნი გავიდნენ



მერაბ კვირიკაშვილი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშება დასრულდა. გაირკვა იმ გუნდების ვინაობა, რომლებიც მეორე ჯგუფურ ეტაპზე ელიტარულ მე-2 დივიზიონში ალზევებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან რანგით უფრო მაღალ დივიზიონში ასპარეზობის უფლების მოპოვებას ხუთი ეცდება: „მასი", „ორლეანი", „ექსი", „კაორი" და „პერიგო".

ფედერალ 1-ის A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან დაწინაურებისთვის ბრძოლას მხოლოდ ერთი **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილის, რეზო გიგაურისა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასი" აგრძელებს. პარიზელებმა ბოლო ტურში აუტსაიდერ „არასს" უმასპინძლეს და 25:18 დაამარცხეს. კვირიკაშვილმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, გუნდს 15 ქულა მოუტანა (ხუთი საჯარიმო). „მასის" შემადგენლობაში დებიუტი გატანილი ლელოთი აღნიშნა მატჩის 63-ე წუთზე შუამარბმა რეზო გიგაურმა, რომელმაც ასევე თავიდან ბოლომდე ითამაშა. დადუნაშვილი თამაშში 73-ე წუთიდან ჩაერთო. სუთიაშვილი განაცხადში არ იყო. „მასიმ" ასპარეზობა 44 ქულით მეორე ადგილზე დაასრულა.

ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე გაიმარჯვა „დიჟონთან" დაპირისპირებაში **დავით ბოლლაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა" - 26:15. თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა სასურველ ოთხეულში მოსახვედრად. ჩვენებურთა ამ გუნდს ერთი ქულით „რუენმა" გაუსწრო და მე-5 ადგილზე დარჩა. „დიჟონთან" შეხვედრაში ბოლლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. ნიკოლაენკო თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო.

სტუმრად გათამაშების ლიდერ „შალონთან" დამარცხდა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონი" - 3:35. მარგველაშვილი 46-ე წუთზე შეცვალეს. პირველ ნახევარში, მე-12 წუთზე კი, მატჩის არბიტრმა ის მოედნიდან ათი წუთით გააძევა. ნემსაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. მჭედლიშვილი განაცხადში არ იყო.

„მასი" მეორე ჯგუფურ ეტაპზე F ჯგუფში მოხვდა „ლანამეზანთან", „ობენასთან" და „ორლეანთან" ერთად.

**A ჯგუფი, XIV ტური. ლილი-დიჟონი 26:15, მასი-არასი 25:18, შალონი-დომონი 35:3, რუენი-ლონსი 48:13.**

**საბოლოო მდგომარეობა: 1. შალონი - 58 ქულა, 2. მასი - 48, 3. დიჟონი - 36, 4. რუენი - 33, 5. ლილი - 32, 6. ლონსი - 24, 7. დომონი - 21, 8. არასი - 16.**

B ჯგუფიდან მეორე დივიზიონში გადასასვლელად ბრძოლას **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანი" აგრძელებს. ორლეანელებმა ბოლო ტურში შინ დაამარცხეს „ჟენევიე" - 29:10 და ჯგუფში 42 ქულით მესამე ადგილი დაიკავეს. აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სამწუხაროდ, ერთი ქულით ჩამორჩა მეოთხეადგილოსან „ვანს" **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერი". ბოლო ტურში ჩვენებურთა ეს გუნდი სწორედ „ვანთან" დამარცხდა გასვლით მატჩში - 12:16. ესაკიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ელოშვილი კი შეხვედრაში მე-40 წუთიდან ჩაერთო.

**B ჯგუფი. ბობინი-ნუარი 32:7, ორლეანი-ჟენევიე 29:10, ლიმოჟი-მონლუსონი 32:14, ვანი-სენ ნაზერი 16:12.**

**საბოლოო მდგომარეობა: 1. ლიმოჟი - 44 ქულა, 2. ბობინი - 44, 3. ორლეანი - 42, 4. ვანი - 38, 5. სენ ნაზერი - 37, 6. მონლუსონი - 28, 7. ნუარი - 25, 8. ჟენევიე - 7.**

39 ქულით D ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდა და მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა **ილია ზედგინიძის** „ექსმა". ექსელებმა ბოლო ტურში „ლავორთან" წააგეს - 9:20. ზედგინიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

„ექსის" მეტოქეები B ჯგუფში **შოთა მელიქიძისა** და **გრიგოლ მაღალდაძის** „კაორთან" ერთად, „ლიმოჟი" და „ბედარიდე" იქნებიან.

**D ჯგუფი. ლავორი-ექსი 20:9, მარსელი-გროლე 14:16, ნიცი-არჟელე 16:0, კარკუირანი-კარკასონი 6:27.**

**საბოლოო მდგომარეობა: 1. კარკასონი - 41 ქულა, 2. გროლე - 40, 3. ექსი - 39, 4. მარსელი - 36, 5. ნიცი - 36, 6. ლავორი - 35, 7. არჟელე - 18, 8. კარკუირანი - 14.**

E ჯგუფში გათამაშება **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, ირაკლი გუნდიშვილისა** და **იგორ ბარბაქაძის** „პერიგომ" მოიგო. ბოლო ტურში პერიგოელებმა „ოლორონი" გაანადგურეს - 41:16. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნინიძე თამაშში 67-ე წუთიდან ჩაერთო. გუნდიშვილი და ბარბაქაძე განაცხადშია არ იყვნენ.

სტუმრად წააგო „მარმანდთან" **შოთა მელიქიძისა** და **გრიგოლ მაღალდაძის** „კაორმა" - 13:26. თუმცა კაორელებმა მეოთხე ადგილი მაინც დაიკავეს და მეორე ჯგუფურ ეტაპზე აგრძელებენ ბრძოლას. მაღალდაძე 48-ე წუთზე შეცვალეს. მელიქიძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

„პერიგოს" მეტოქეები მეორე ეტაპზე E ჯგუფში „ლანჟონი", „დიჟონი" და „ვანი" იქნებიან.

**E ჯგუფი. მოლეონი-ტიროსი 19:13, აგეტმო-ლურდი 23:17, მარმანდი-კაორი 26:13, პერიგო-ოლორონი 41:16.**

**საბოლოო მდგომარეობა: 1. პერიგო - 45 ქულა, 2. ტიროსი - 37, 3. მარმანდი - 36, 4. კაორი - 35, 5. ლურდი - 33, 6. მოლეონი - 32, 7. ოლორონი - 27, 8. აგეტმო - 15.**

F ჯგუფიდან ფედერალ 1-ში დარჩენისთვის ბრძოლა მოუწევს ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდს. **დავით გასვიანის** „ლე ბუგემ" ბოლო ტურში „ვალანსს" მოუგო - 29:25, მაგრამ სატურნირო ცხრილში მაინც ოთხეულს მიღმა დარჩა. გასვიანი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს.

შინ მოიგო „ლანჟონისთან" **დიმიტრი ბასილაიას** „მორლაამ" - 32:24. ჩვენებურის ამ გუნდსაც ხელი მოეცარა და ახლა დივიზიონში დარჩენისთვის გააგრძელებს ბრძოლას. ბასილაიას თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

**F ჯგუფი. ტარნო-ლანამეზანი 12:16, სენ ჟან დე ლუზი-რიბერაკი 41:14, მორლაა-ლანჟონი 32:24, ლე ბუგე-ვალანსი 29:25.**

**საბოლოო მდგომარეობა: 1. ლანამეზანი - 51 ქულა, 2. ლანჟონი - 38, 3. ვალანსი - 36, 4. სენ ჟან დე ლუზი - 35, 5. ლე ბუგე - 32, 6. მორლაა - 29, 7. ტარნო - 22, 8. რიბერაკი - 13.**

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# წალკელები ანტიკურის ასაღორძინებლად იღვწიან

## გუმბათელთა მისაბაძი მაგალითი

სტიქიური უბედურებისას ხულოს რაიონიდან ბევრმა ოჯახმა სხვადასხვა კუთხეს მიაშურა. კარგა ხნის წინათ ჩასახლდნენ წალკაში, მათ შორის — სოფელ გუმბათსა და იედიქილისაში.

საერთოდ, ცნობილია, რომ ხულოელებს ძალიან უყვართ სპორტი, განსაკუთრებით ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ტრადიციას არც წალკაში უღალატეს. ანტიკური სახეობის აღორძინება-განვითარება აქაური სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელმა **დავით დეკანაძემ** ითავა. ჯერ თავის სასწავლებელში ჩამოაყალიბა სექცია, რომელსაც თავად ხელმძღვანელობს, მერე სოფელ გუმბათსა და იედიქილისას გადასწვდა. მან ახალგაზრდა მწვრთნელები — **გელა ბოლქვაძე** და **მევლუდ წულუკიძე** ჩაუყენა ჯგუფებს სათავეში.

გასულ შაბათ-კვირას წალკის რაიონიდან ექვსმა ჭაბუკმა იასპარეზა ცნობილი ფალავნის **ვლადიმერ მაისურაძის** ტურნირში.

— სამი წლის წინათ დავიწყეთ რაიონში ჩვენი საქმიანობა, — მითხრა დავით დეკანაძემ. — ამჟამად 100-ზე მეტი მოზარდი ვარჯიშობს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მსურველები ბევრად მეტია, მაგრამ სათანადო პირობები არ გვაქვს. სასპორტო სკოლის ასკვადრატულმეტრიან დარბაზში 35 მოზარდი მეცადინეობს, თანაც ტატამზე, რაც ჩვენი ჭიდაობისთვის მოუხერხებელია, ხალიჩის კომპლექტის შეძენის საშუალება კი არ გაგვაჩნია.

უკეთესი მდგომარეობაა გუმბათში: სოფლის მოსახლეობამ სკოლის (დირექტორი **თამაზ ძირკვაძე**) შენობას 130 კვადრატულ მეტრზე მეტი დარბაზი მიაშენა, საერთო ძალებით საჭიდაო ხალიჩაც იყიდეს და ახლა იმ დარბაზში უამრავი ბავშვი ვარჯიშობს. მშობლებიც კმაყოფილნი არიან — იციან, რომ მათი შვილები საიმედო ხელშია და ცუდ გზას არ დაადგებიან.

იედიქილისაში საჯარო სკოლის დირექციამ (დირექტორი **შოთა არძენაძე**) ჭიდაობისთვის 60 კვადრატულ მეტრამდე ოთახი გამოყო. ძველი ლეიბები მეზობელ სოფლებში მოვიძიეთ. ნახმარი საფარი მე თავად ჩამოვიტანე ხულოდან და სექცია ჩამოვაყალიბეთ. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მაგალითს მეზობელი სოფლებიც მიჰბაძავენ, ოღონდ ვინმე ინვენტარით დაგვეხმაროს.

**— სხვა დროს ტურნირებში თუ გიასპარეზიათ?**

— 2008 წელს უკვე მოვსინჯეთ ძალები. 1990-1991 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობაზე მერაბ შავაძემ მესამე ადგილი დაიკავა. ერთ-ერთ ტურნირში დათო დიმიტრაძე მეორე იყო, შავაძე — ისევ მესამე. ხულოშიც ვიასპარეზეთ. სამი მოჭიდავე საპრიზო ადგილებზე გავიდა. მართალი გითხრათ, ასეთ წარმატებასაც არ ველოდი, რადგან ბიჭები ახლა იდგამენ ფეხს და ჯერ გამოცდილება აკლიათ. ტურნირებზე საკუთარი ხარჯებით ვიარეთ. აი, ახლა კი თბილისში რვაკაციანი გუნდით წამოსასვლელად რაიონის გამგეობამ მხოლოდ ორასი ლარი გამოგვიყო, რაც გზის ფულადაც არ გვყოფნის. ერთისა მეიმედება — ტურნირებზე უკეთესი შედეგები თუ გვექნება, ალბათ, ჩვენით მაშინ უფრო დაინტერესდებიან. საამისოდ კი ბევრი ოფლის ღვრა და ისედაც „მჭლე" ჯიბეზე ისევ თავად მოგვიწევს ხელის გაკვრა...

**ვაჟა კრავეიშვილი**, ჭაბუკ ანტიკოსთა ნაკრების თავკაცი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი - სასიხარულოა, რომ წალკაში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ერთი კერაც გაჩნდა. მეორე წელიწადია, იქაურ მოზარდებს ვაკვირდები და ვხედავ, საინტერესო ფალავნები იზრდებიან. პირადად ვუშუამდგომლებ ამ ბიჭებს საქართველოს ჭიდაობის ფედერაციასთან, რათა მატერიალურად და ინვენტარითაც დაეხმარონ.

ვის როგორ, მაგრამ, მართალი გითხრათ, პირადად წალკელი სპორტსმენები ძალიან იშვიათად თუ მინახავს შეჯიბრებებზე, რადგანაც ამ კუთხის მოჭიდავეებმა ჯებირი გაარღვიეს და გადაწყვიტეს, ლაღად გაშალონ ფრთები, მათ წამოწყებას წახალისება და თანადგომა სჭირდება. იმედია, ჭიდაობის ფედერაცია, ქართული სპორტის მესვეურები, სეოკის ხელმძღვანელები წალკელებს მეტ ყურადღებას მიაქცევენ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო



ნალკელთა გუნდი

ფრენბურთი



# აჭარის ჩემპიონატი ფრენბურთში

ბათუმის კომპლექსური სასპორტო სკოლის ფრენბურთის დარბაზში, განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ქალთა შორის ფრენბურთში აჭარის მესამე ჩემპიონატი გაიმართა. ამჯერად ტურნირში 9 გუნდი (სპორტსკოლის I და II; "იმედი"; "სტიქია"; "ისკრა"; "ფენიქსი"; №5 საჯარო სკოლა; ქობულეთის და ხელვაჩაურის გუნდები) მონაწილეობდნენ.

ბათუმში ფრენბურთის ფედერაცია 4 წელია, რაც არსებობს და სათავეში **თამარ ლატარია** უდგას, რომელიც ამავდროულად აჭარის ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელთან **ხათუნა გიორგაძესთან** ერთად, თავადაც ავარჯიშებს სპორტსმენებს. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობას ერთმანეთს სწორედ მათი გუნდები ეცილებოდნენ.

ფინალში, ბათუმის სპორტსკოლის I – გუნდი (მწვრთნელი ხათუნა გიორგაძე) და სპორტსკოლის II გუნდი ( მწვრთნელი თამარ ლატარია) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი 2:0 დასრულდა UI-ლი გუნდის სასარგებლოდ. მე-3 ადგილზე ქობულეთის გუნდი (მწვრთნელი **ბიჭიკო თამაზაშვილი**) გავიდა. ტურნირის აღმოჩენა და საუკეთესო მოთამაშის ტიტული **თამარ დავითაიამ** ("იმედი") მოიპოვა.

გამარჯვებულებს სამახსოვროდ მედლები და დიპლომები გადაეცათ. დებულების მიხედვით, აჭარის ჩემპიონი სპორტსკოლის I-გუნდი (**ანა კოსტავა, ანა ბერძენიშვილი, თიკა გოგიტიძე, ნანა იმნაძე, ესმა შამილიშვილი, ქრისტინე თურმანიძე, სოფო ჭეიშვილი**) საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებს, რომელიც 1992-93-94 წლებში დაბადებულთა შორის წლეულს პირველად ჩატარდება. შეჯიბრება 25 მარტს ბათუმში გაიმართება და მასპინძელს ერთი დამატებითი გუნდით გამოსვლის უფლება ეძლევა.

**თამარ ლატარია:** *"კარგი ასაკია და ბევრი გუნდი მოგროვდება. რაც შეეხება ვაჟებს, თუ გუნდები შეიკრიბება და საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება, ჩვენც ვეცდებით აჭარის ჩემპიონატი ჩავატაროთ. სამწუხაროდ, ვაჟებში გუნდების ნაკლებობაა. თუმცა შარშან ჩვენმა ვაჟებმა საქართველოს ჩემპიონატში ძალიან კარგად ითამაშეს და დიდი მოწონება დაიმსახურეს. ზოგიერთს ისეთი მონაცემი აქვს, ალბათ, საქართველოს ნაკრებშიც მოხვდებიან."*

**მირანდა მიქაძე**

ბათუმიდან

სამთო-თხილამურობა. საქართველოს ჩემპიონატი

# ევროპიდან გუდაურსა და ბაკურიანში

ჩვენ რომ ევროპის სათხილამურო ცენტრებში ვეძებდით, სამთო-მეთხილამურეთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გერა აბრამიშვილი** აგერ გუდაურში ყოფილა თავის შეგირდებიანად.

*„კატეგორიულად მოგვთხოვეს ჩამოვსულიყავით და საქართველოს ჩემპიონატში მიგვეღო მონაწილეობა. დღეს და ხვალ გუდაურში ვიქნებით, სადაც გიგანტურ სლალომში ტარდება შეჯიბრება. ხუთშაბათს და პარასკევს კი ბაკურიანი უკვე სლალომის ასევე ორ სტარტს უმასპინძლებს"* — გვითხრა გერა აბრამიშვილმა.

მისგანვე შევიტყვეთ, რომ პირველი დღის სტარტი გუდაურში ნაკრების წევრების წარმატებით დასრულებულა. პირველი, როგორც მოსალოდნელი იყო **იასონ აბრამიშვილი** ყოფილა, მეორე - **კოტე ვახტანგიშვილი** (ორივე - ბაკურიანი), მესამე - **ალეკო ბენიანიძე** (გუდაური). ქალები: 1. **ნინო ნიკლაური** (გუდაური), 2. **ნატალია გავა** (ბაკურიანი), 3. **თეონა მელიქიშვილი** (გუდაური).

**თენგიზ თომაშვილი**

ჩოგბურთი

# გორგოძის წინსვლა რეიტინგში





ორშაბათი საჩოგბურთო რეიტინგების განახლების დღეა და ჩვენც კლასიფიკაციაში ქართველ ჩოგბურთელთა ახალ მდგომარეობას გაგაცნობთ. ქალთა შორის **ანა ტატიშვილი** 157-ე ჩოგანია. მას 392 ქულა აქვს, 19 წლის ანამ სამი საფეხურით დაიხია უკან. 258 ქულა აქვს **მაკა ჩახნაშვილს**, მან 2 ადგილით წაიწია წინ და მსოფლიოს 221-ე ჩოგანია. ისევ 244-ე ადგილზეა **სოფიო შაფათავა** (220 ქულა). 3 ადგილით წინ წავიდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც 112 ქულით მსოფლიოს 390-ე ჩოგანია.

17 წლის **ეკა გორგოძემ** მალიორკაში წარმატებული თამაშისთვის რეიტინგში პოზიცია 39 ადგილით გაიუმჯობესა, ეკა 46 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 606-ე ადგილზეა და ეს მისი კარიერის საუკეთესო მაჩვენებელია. სხვები: 666 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 38; 695 (+2) **მანანა შაფაქიძე** - 34; 742 (+3) **სალომე დევიძე** - 28; 911 (-1) **სოფიო მელიქიშვილი** - 16.

ვაჟებში გაცილებით უარესად გვაქვს საქმე, ჩვენი პირველი ჩოგანი, რომელიც კარგა ხანია იძულებით უქმობს, **ირაკლი ლაბაძე** 96 ქულით მსოფლიოს 528-ე ჩოგანია (-3). სხვები: 921 (-) **ლაზარე კუხალაშვილი** - 24 ქულა; 1014 (+2) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1229 (-7) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 8; 1325 (+1) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1565 (+1) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1654 (+2) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

ტეხასის შტატის ქალაქ ჰარლინგენში (10 ათასი $) ძირითად ბადეში გაღწევა ვერ შეძლო ნიკოლოზ ბასილაშვილმა, რომელმაც მეორე საკვალიფიკაციო წრეში მე-5 ნომრად განთესილ ამერიკელ **შეევა პარბუსთან** (743) წააგო - 6:3, 3:6, 2:6. ფლორიდის შტატის ქალაქ ქლეარუოთერში 50-ათასიან ტურნირში მაკა ჩახნაშვილი ასპარეზობს. მაკა საკვალიფიკაციო ბადეში მე-6 ნომრადაა განთესილი. მან პირველ წრეში სლოვენიელი **პეტრა რამპრე** (378) დაამარცხა - 6:3, 7:6 (5). ახლა ქართველის მეტოქე „უაილდ ქარდით" მიწვეული 17 წლის ამერიკელი **კოკო ვანდევეგეა** (477). მსოფლიოს კორტებზე ამ კვირაში მხოლოდ ბასილაშვილი და ჩახნაშვილი ვიხილეთ ჩვენებურთაგან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წყალხტომა

# სარეიტინგო ქულებისთვის იბრძოლებენ

დღეს დილით საქართველოს წყალმხტომელები — **ჭოლა ჭანტურია** და **შოთა კორახაშვილი** საწყლოსნო სახეობების ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის **ირაკლი ბართაიას** ხელმძღვანელობით გერმანიის ქალაქ როსტოკს გაემგზავრნენ, სადაც 26 თებერვლიდან გრანპრის მეორე ეტაპზე პლანეტის უძლიერესი წყალმხტომელები საპრიზო ადგილებისა და სარეიტინგო ქულებისთვის იბრძოლებენ.

შეჯიბრებაში 21 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი გამოცდის ძალებს. ქართველები 27 თებერვალს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ინდივიდუალურ ხტომაში, პირველ მარტს კი სინქრონულ ხტომებში შეეჯიბრებიან მეტოქეებს.

**ვაჟა დანელია**

## სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!

**„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.**

**დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

ლინარესის სუპერტურნირი

# ლინარესული უქმე დღეები



ლინარესისსუპერტურნირზე შაბათს მესამე ტურის პარტიები გათამაშდა. მიუხედავად იმისა, რომ მძაფრი ბრძოლები გაიმართა, ოთხივე წყვილმა ზავის დადება არჩია, უფრო სწორად, ასე გამოვიდა. განსაკუთრებულ ინტერესს სომეხი **ლევონ არონიანის** და აზერბაიჯანელი **თეიმურ რაჯაბოვის** დაპირისპირება იწვევდა. ესენი სხვადასხვა ტურნირში ხშირად ხვდებიან ერთმანეთს, რაც გამორჩეულ მოვლენად არ ითვლება, მაგრამ ინტრიგა რომ დიდია ყოველ ჯერზე, უდავოა. თეთრებით სომეხი დიდოსტატი იყო, თუმცა მოსაგები გზები ვერ იპოვა. ძალიან საინტერესოდ წარიმართა **ივანჩუკისა** და **გრიშჩუკის** შეხვედრა. რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, კლასიკურ ჭადრაკში ამათი პაექრობები მუდამ ყაიმით მთავრდება; თითოოროლა გამარჯვებები თუ მოეპოვებათ და ისიც ან სწრაფ ჭადრაკში, ანაც - ბლიცში. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბლიცში უმეტესად ივანჩუკი ხეირობს.

ამჯერად ძალიან აქტიურად ითამაშა უკრაინელმა დიდოსტატმა და მიტელშპილში უკეთესი პოზიციაც მიიღო და პაიკიც მოინადირა, მაგრამ რუსმა თავის დაცვა შეძლო და თითო ეტლის ენდშპილში თეორიულად საყაიმო პოზიციაში ზავის ნიშნად ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს.

საინტერესო გახლდათ, თუ როგორ გადაიტანდა წინა ტურში გამაოგნებელ მარცხს მსოფლიოს ჩემპიონი **ვიშვანათან ანანდი**, - როგორც წესი, მასზე ნაგება ცუდად მოქმედებს და შესაძლოა, ერთს მეორეც მიაყოლოს, ანაც პარტიათა ხარისხი მკვეთრად გააუარესოს. მესამე ტურში ჰინდუსი შავებით ხვდებოდა კუბელ **ლენიერ დომინგესს**. მართალია, შავებით მოგება ძალიან ძნელია, მაგრამ ვიში ისეთ ფორმაში იყო, რომ ფერს მასზე დიდად არ უნდა ემოქმედა. მოგება ვერ მოახერხა - ქულა გაუყო კუბელს. მტკიცება არაფრის შეიძლება, მაგრამ მის ამბიციებს რომ მეტი შეეფერება და თავადაც ექნებოდა გარკვეული რეაბილიტაციის სურვილი, ეჭვს გარეშე იყო; და რახან ვერ მოიგო, შეიძლება ითქვას, რომ მარცხი ვერ მოინელა. კუბელთან ვერას გახდა, მაგრამ სანაცვლოდ მეოთხე ტურში გამოაჩინა ჩვეულად კლანჭები და ამით დაგვანახვა ანანდმა, რომ „კომაში" დიდხანს ყოფნას არ აპირებს. მისი მეტოქე ჩინელი **ვანკ იუე** იყო. იმ დღეს კი ალბათ მთელი ჩინეთი რომ აღდგომოდა წინ ინდოელს, ვერ შეაჩერებდნენ - ვიშიმ დიდი ვაი-ვიშის გარეშე აჯობა იუეს და თეთრი დროშაც გამოაფენინა.

მეოთხე ტური არნახულად შედეგიანი გამოდგა: მოიგო ალექსანდრ გრიშჩუკმაც და ლევონ არონიანმაც, - ესენი ტანდემში ლიდერობდნენ ტურნირს და შეინარჩუნეს კიდეც პოზიციები. რუსი დიდოსტატი შავებით ხვდებოდა თეიმურ რაჯაბოვს, არონიანი კი თეთრებით ლენიერ დომინგესს უტევდა. ტურის ერთადერთი ყაიმი **მაგნუს კარლსენსა** და ვასილი ივანჩუკს შორის დაფიქსირდა. სხვათა შორის, ნორვეგიელსაც და უკრაინელსაც ჯერჯერობით მოგების გემო არ შეუგრძნიათ, თუმცა არც წაუგიათ, რაც თავისთავად უცნაური მოვლენაა. როგორც ჩანს, რისკს ერიდებიან და ძალებს ზოგავენ, - რაც უნდა ვთქვათ, ორწრიანი ტურნირი რვა უძლიერეს დიდოსტატს შორის უამრავ ენერგიას ართმევს ადამიანს. წაადგებათ თუ არა ამგვარი ტაქტიკა ფავორიტებად შერაცხილთ, ცხადია, მალე გამოჩნდება...

სატურნირო ცხრილში კი ოთხი ტურის შემდეგ ასეთი ვითარებაა: **1-2. ლევონ არონიანი, ალექსანდრ გრიშჩუკი - 3; 3. ვიშვანათან ანანდი - 2,5; 4-5. მაგნუს კარლსენი, ვასილი ინანჩუკი - 2; 6. ლენიერ დომინგესი - 1,5; 7-8. თეიმურ რაჯაბოვი, ვანკ იუე - 1.**

გუშინ ტურზე დასვენების დღე იყო. მეხუთე ტური დღეს გაიმართება, რომელშიც მოჭადრაკეები ასე დაწყვილდნენ: **გრიშჩუკი - კარლსენი; ვანკ იუე - არონიანი; ივანჩუკი - ანანდი; დომინგესი - რაჯაბოვი.**

ზვიად **შათირიშვილი**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| აალესუნდი-სანდეფიორდი | 0:1 |
| ორჰუსი-ფრედერისია | 3:1 |
| სტრიომსგოდ.-ოდ გრენლანდი | 2:0 |

### ინგლისი

| | |
|---|---|
| ჰალი-ტოტენჰემი | 1:2 |

### II ლიგა

| | |
|---|---|
| უიკომბი-როტერჰემი | 0:0 |

### იტალია

#### სერია B

| | |
|---|---|
| ანკონა-ფროსინონე | 1:4 |
| პიზა-სალერნიტანა | 0:0 |

#### სერია C1/A

| | |
|---|---|
| სპალ-რეჯინა | 2:0 |

### გერმანია

#### II ბუნდესლიგა

| | |
|---|---|
| სტ. პაული-კაიზერი | 2:0 |

### საფრანგეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| მეცი-ლანსი | 1:2 |

### პორტუგალია

| | |
|---|---|
| ლეიქსოეში-ბელენენსეში | 2:2 |

### საბერძნეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| იონიკოსი-კალითეა | 0:0 |

### შვეიცარია

#### ჩელენჯლიგა

| | |
|---|---|
| თუნი-ლოზანა | გადაიდო |

### თურქეთი

#### II დივიზიონი

| | |
|---|---|
| დიარბაქირი-ერჩიესი | 1:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| სლავია-პლზენი | 3:2 |

### ისრაელი

| | |
|---|---|
| მაკაბი (ნ)-მაკაბი (პ) | 2:0 |

### არგენტინა

| | |
|---|---|
| რივერი-ბანფილდი | 2:0 |
| ესტუდიანტესი-სან ლორენსო | 2:1 |

### ჩილე

| | |
|---|---|
| აუდაქსი-კოლო კოლო | 2:1 |

### კოლუმბია

| | |
|---|---|
| დეპ. კალი-ლა ეკვიდადი | 2:3 |

### პერუ

| | |
|---|---|
| სესარ ვალეხო-კოლეგიო | 1:1 |
| უნ. პერუ-სპორტ ანკაში | 5:1 |

### მექსიკა

| | |
|---|---|
| ნეკაქსა-კრუს ასული | 2:4 |
| სანტოსი-მონტერეი | 2:0 |

## ჰოკეი

### კჰლ

| | |
|---|---|
| ცსკა-ტორპედო | 4:2 |
| ბარისი-ნეფტიხიმიკი | 6:5 |
| ვიტიაზი-ატლანტი | 0:4 |
| დინამო (მ)-ამური | 2:0 |
| დინამო (მნ)-სიბირი | 2:7 |
| დინამო (რ)-მეტალურგი (ნ) | 2:2 |

### დანია

| | |
|---|---|
| როდოვრე-ფრედერიკსჰავნი | 4:3 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ესეტი | 0:3 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 3:0 |
| პლზენი-ტრშინეცი | 6:1 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| მოდო-ლულეო | 5:0 |
| როგლე-ფერიესტადი | 3:3 |
| ტიმრა-ფრიოლუნდა | 2:3 |

## ჩოგბურთი

### ATP. დელრეი ბიჩი

| | |
|---|---|
| დარცისი-გარსია ლოპესი | 3:6, 3:6 |
| ნიემინენი-სერა | 3:6, 6:7 |
| რეინოლდსი-კუბეკი | 4:6, 3:6 |

### ATP. დუბაი

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-ჩუიდინელი | 6:7, 6:4, 6:7 |
| ჩილიჩი-ტიპსარევიჩი | 2:6, 7:6, 6:4 |
| ფერერი-ლუბიჩიჩი | 3:6, 6:2, 6:1 |
| გაბაშვილი-რეკუდერკი | 5:7, 7:6, 6:3 |
| მიურეი-სტახოვსკი | 6:7, 6:3, 6:3 |
| ჰანესკუ-სანტორო | 4:6, 2:6 |

პრეტენდენტთა მატჩი

# კამსკიმ ნავსი გატეხა და... თავადაც მალევე გატყდა

ნავსი იმიტომ, რომ მატჩის პირველი ტურებიდანვე **გატა კამსკი** ღირსეულად იბრძოდა, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევდა - **ტოპალოვის** გუნდი უკეთ მომზადებული ხვდებოდა პარტიას და დებიუტში ჩამორჩენის კომპენსირება უშუალოდ თამაშის დროს უხდებოდა. ორჯერ ყაიმს კი მიაღწია გატამ, მაგრამ ერთხელ მარცხი ვერ აიცილა თავიდან - მეორე პარტიაში თეთრებით წააგო. მატჩი რომ რვა პარტიისგან შედგება, მკითხველს შეხსენება აღარ სჭირდება, იმას კი კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ დისტანცია საკმაოდ მოკლეა და შესაძლოა, შეცდომის გამოსწორების შანსი არ მოგეცეს. გატას და მის დამხმარეებს რომ ყველაფერი კარგად მოეხსენებოდათ, თქმა არ უნდა, ამიტომაც დიდი იყო მოლოდინი, თუ რას შესთავაზებდნენ მოწინააღმდეგის ბანაკს; აჯობებდნენ თუ არა ამჯერად მაინც პარტიის პირველ სტადიაზე.

ამერიკელმა პირველი სვლა e4 უჯრაზე გააკეთა და სულ მალე გაირკვა, რომ პრეტენდენტები ესპანურ პარტიაში ცდიდნენ ძალებს. ტოპალოვი ესპანური პარტიის საუკეთესო მცოდნედ ნამდვილად არ ითვლება, თუმცა არც ჯაბანია და ამადაც დაადგა ამ გზას. სხვათა შორის, **ვესელინი** ბულგარელი კი გახლავთ, მაგრამ ესპანეთში ცხოვრობს.

თავიდან კლასიკური „ესპანური" გათამაშდა - არავითარი გადახვევა და სიურპრიზი. ცოტა ხანში დიდოსტატ **ზაიცევის** დამუშავებულ და მისი სახელობის სქემამდე მივიდნენ მოჭადრაკეები და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლო ამერიკელმა ბულგარელი ჩაფიქრებულიყო. ტოპალოვმა საშიშროება კი იგრძნო, მაგრამ ძალიანაც არ ნერვიულობდა და მაინცდამაინც არც დიდ დროს ხარჯავდა ფიქრში, - ცდილობდა სწრაფად ემოქმედა. როგორც აღმოჩნდა, მეტად უნდა დახარჯულიყო, რათა მარცხი აეცილებინა თავიდან. კამსკიმ ამჯერად ყველაფერი ზუსტად გააკეთა, - როგორც ესპანურ პარტიას ახასიათებს, ნელ-ნელა, თანმიმდევრულად გააძლიერა ზეწოლა და ჯერ პაიკი მოიგო, შემდეგ კი გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგის პოზიციას.

ანგარიში გათანაბრდა - 2:2 გახდა, რაც ამავდროულად მატჩის პირველი ნახევრის დასრულებას ნიშნავდა. კვირას დასვენების დღე იყო. მეხუთე პარტია კი ორშაბათს გათამაშდა. თეთრებით ბულგარელი დიდოსტატი იწყებდა თამაშს და ცხადია, რომ მოსაგებად ყველაფერს ილონებდა. ასეთი ვითარება კი საკმაოდ საინტერესო დაპირისპირებას მოასწავებდა.

ვესელინმა დაადასტურა თავისი ჩანაფიქრი და ღია დებიუტისთვის დამახასიათებელი სვლა გააკეთა - მეფის პაიკი წასწია ორი უჯრით წინ. ალბათ ბულგარელის გუნდის წევრებიც და სპეციალისტებიც ისევ ნაცად „გრიუნფელდის დაცვას" ელოდნენ, მაგრამ კამსკიმ მოულოდნელად e6 სვლა გააკეთა, რაც ფრანგულ პარტიას მოასწავებდა. ასეც განვითარდა მოვლენები და მეხუთე პარტია „ფრანგული სურნელით" გაიჟღინთა.

ამ დონის ოსტატებს დებიუტის ცვალებადობა დიდად არ ანაღვლებთ და ამიტომ პარტია ჩვეულ სტილში - საქმის ცოდნით განვითარდა. თეთრებს მთელი თამაშის განმავლობაში მცირე უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა მოსაგებად საკმარისად ვერ ჩაითვლებოდა. შუა თამაშში, როცა რამდენიმე მსუბუქი ფიგურა გაიცვალა, ვითარება დიდად არ შეცვლილა, მაგრამ ტოპალოვი ჯიქურ მიიწევდა წინ და მოსაგებ გზებს ეძიებდა. ამ ძიებაში ერთი სვლა მთლად ზუსტი ვერ გამოუვიდა, რითაც კარგად ისარგებლა კამსკიმ და პოზიციის გათანაბრება შეძლო, თუმც იქვე უბოძა საჩუქარი მეტოქეს - შეცდა და ვესელინმა პაიკი მოიგო. ამის შემდეგ დაფიდან ეტლები გაქრნენ, ლაზიერის ენდშპილი მივიღეთ, სადაც ბულგარელს ერთი ზედმეტი ტემპიც აღმოაჩნდა, რის გამოც მეორე პაიკიც მონადირა. ეს კი გამარჯვების მოახლოებას ნიშნავდა. ამერიკელი საკუთარი პოზიციის უსუსურობას გადასარევად გრძნობდა, მაგრამ ბოლომდე ეცადა, რაიმე შანსი მაინც ეპოვა, - ცხადია, პირველ რიგში, ტოპალოვის შეცდომას ელოდა. ბულგარელი არ შეცდა და ბოლოს და ბოლოს ამერიკელმა მარცხი აღიარა - 55-ე სვლაზე დანებდა.

ასე რომ, წინ კვლავ ტოპალოვია და საბოლოო გამარჯვებაზე დიდი განაცხადი გააკეთა.

დღეს თეთრი ფერი კამსკის არჩევია.

ზვიად **შათირიშვილი**

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 5:2**

2:1, 3:1, 0:0

გოლები: 1:0 ოვეჩკინი-43 (ბექსტრიომი-48, ფიოდოროვი-17), 1:1 ტელბოტი-8 (იტონი-4, ორპიკი-13), 2:1 სიომინი-22 (ბექსტრიომი-49, მ. გრინი-30), 3:1 ფიოდოროვი-6 (სიომინი-30), 3:2 გონჩარი-2 (კროსბი-56, მალკინი-60), 4:2 შ. მორისონი-3 (ოვეჩკინი-34, ფერი-11), 5:2 ლეიჩი-14 (პოტი-9, შ. მორისონი-7).

**კაროლინა-კოლორადო 5:2**

1:1, 2:1, 2:0

გოლები: 0:1 ვოლსკი-14, 1:1 კულენი-17 (ლაროუზი-7, პიტკანენი-20), 2:1 კულენი-18 (ლაროუზი-8, რეი უიტნი-32), 2:2 ტაკერი-6 (კ. სტიუარტი-7, ბ. კლარკი-11), 3:2 პიტკანენი-6 (ტ. რუუტუ-21, საიდენბერგი-18), 4:2 ბაიდა-5 (ი. იოკინენი-12, ბაბჩუკი-11), 5:2 კულენი-19 (რეი უიტნი-33).

**ტამპა ბეი-ბოსტონი 4:3**

2:2, 1:1, 1:0

გოლები: 0:1 კესელი-25 (სავარი-43, ლუჩიჩი-20), 1:1 ჰალპერნი-4 (პეტინგერი-5, ემინგერი-20), 2:1 პოლი-4 (კრეიგი-3, არტიუხინი-8), 2:2 ფერენსი-1 (სავარი-44, ვიდემანი-28), 3:2 რეკი-13 (მელიხარი-7, კოჩი-1), 3:3 ხარა-14 (კლბესოუ-16, ა. უორდი-6), 4:3 პროსპალი-15 (ჰალპერნი-7, სენტ ლუისი-36).

**რეინჯერსი-ტორონტო 2:3 (ო)**

0:0, 0:0, 2:2, 0:1

გოლები: 0:1 ჯ. მიტჩელი-5 (კუბინა-22, სტემპნიაკი-21), 1:1 გომესი-12 (დუბინსკი-21, როჟსივალი-20), 1:2 ი. უაიტი-8 (კუბინა-23, სტემპნიაკი-22), 2:2 როჟსივალი-8 (კელეჰანი-10, დუბინსკი-22), 2:3 ჰაგმანი-18 (კუბინა-24, სტემპნიაკი-23).

**ჩიკაგო-მინესოტა 1:2**

0:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 ტეუვზი-22 (ჰაველატი-32, კეინი-34), 1:1 ფრიტშე-3 (ბუშარი-24, ბერნსი-16), 1:2 ოლვეცკი-1 (სკოულა-7, ბელანჟე-18).

TV პროგრამა

**24 თებერვალი. შაბათი**

**რუსთავი 2**

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-მანჩესტერ იუნაიტედი (LIVE).
02:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბარსელონა.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ატლეტიკო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ინგლისის ჩემპიონატი. ჰალი-ტოტენჰემი.
15:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბლექბერნი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
22:25 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-მანჩესტერ იუნაიტედი.
03:45 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. არსენალი-რომა.
05:50 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-პორტუ.

**EUROSPORT**

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:45 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. 30 კმ. გამოდევნებით. კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
14:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. კვალიფიკაცია. ქალები/კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
15:00 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 10 კმ. მას-სტარტი. ლიბერეცი. ჩეხეთი.
16:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. ქალები/კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
17:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
18:15 ევროგოლი. სპეციალური გამოშვება - კრისტიანო რონალდო.
18:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI მატჩი. ლიონი-ლევერკუზენი.
19:30 ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ესტაფეტა. კაცები. პიონჩანგი. ჩრ. კორეა.
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. ქალები/კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
22:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:00 კრივი. ევროპის ჩემპიონატი. სუპერმძიმე წონა. პ. ვიდოსი (იტალია)-მ. სკელტონი (ბრიტანეთი). მილანი. იტალია.
00:00 კრივი. IBF-ის ვერსია. სუპერმჩატე წონა. გ. ნგუჯო (კანადა)-ხ. ურანგო (კოლუმბია). კანადა.
02:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. ქალები/კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
03:00 სნუკერი. უელსის ღია პირველობა. ფინალი. ნიუპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფრისტაილი. უნივერსიადა. ჰარბინი. ჩინეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:15 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკიკროსი. შვედეთი (LIVE).
16:00 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:15 უნივერსიადა 2008. ბელგრადი. სერბეთი.
18:30 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. III ტური. დინამო (რუსეთი)-მარუსი (საბერძნეთი).
19:15 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. IV ტური. ხიმკი (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი) (LIVE).
21:45 უნივერსიადა 2008. ბელგრადი. სერბეთი.
22:00 ახალი ამბები.
22:15 მულტისპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრისტაილი. უნივერსიადა. ჰარბინი. ჩინეთი.
23:30 მულტისპორტი.
23:45 კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. IV ტური. ბენეტონი (იტალია)-ტურკ ტელეკომი (თურქეთი) (LIVE).
01:30 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
02:00 ახალი ამბები.
02:45 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი | NBA რეგულარული ჩემპიონატი

# რეკორდების ტური




"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** "მინესოტა ტიმბერვულვზთან" (111:108) მატჩში 28 ქულა დააგროვა, რამაც მისი კარიერული მონაგარი 23164 ქულამდე გაზარდა. შესაბამისად, კობიმ NBA-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიის საუკეთესო ოცეულში შეაღწია. კალიფორნიელმა ვარსკვლავმა უკან ჩამოიტოვა "ლეიკერსის" ლეგენდარული ფორვარდი **ელჯინ ბეილორი.**

სულ მალე ბრაიანტი მე-19 ადგილზე გადაინაცვლებს, რადგან ამ პოზიციაზე მყოფ **ადრიან დენტლიმდე** სულ რაღაც 13 ქულა აშორებს.

აი, როგორ გამოიყურება ამჟამად NBA-ის საუკეთესო ბომბარდირების პირველი ოცეული:

| | საშ | სულ |
|---|---|---|
| 1. ქარიმ აბდულ-ჯაბარი | 24.6 | 38 387 |
| 2. კარლ მელოუნი | 25.0 | 36 928 |
| 3. მაიკლ ჯორდანი | 30.1 | 32 292 |
| 4. უილტ ჩემბერლენი | 30.1 | 31 419 |
| 5. მოზეს მელოუნი | 20.6 | 27 409 |
| 6. ელვინ ჰეიესი | 21.0 | 27 313 |
| 7. შაკილ ონილი* | 24.9 | 27 119 |
| 8. ჰაკიმ ოლაჯუონი | 21.8 | 26 946 |
| 9. ოსკარ რობერტსონი | 25.7 | 26 710 |
| 10. დომინიკ უილკინსი | 24.8 | 26 668 |
| 11. ჯონ ჰავლიჩეკი | 20.8 | 26 395 |
| 12. ალექს ინგლიში | 21.5 | 25 613 |
| 13. რეჯი მილერი | 18.2 | 25 279 |
| 14. ჯერი უესტი | 27.0 | 25 192 |
| 15. პატრიკ იუინგი | 21.0 | 24 815 |
| 16. ალენ აივერსონი* | 27.2 | 23 936 |
| 17. ჩარლზ ბარკლი | 22.1 | 23 757 |
| 18. რობერტ პერიში | 14.5 | 23 334 |
| 19. ადრიან დენტლი | 24.3 | 23 177 |
| 20. კობი ბრაიანტი* | 25.1 | 23 164 |

*შენიშვნა: * - მოქმედი კალათბურთელი*

■ ■ ■

გუშინდელი ტურის შემდეგ, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეკორდსმენი გახდა "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" გამთამაშებელი **სტივ ბლეიკი.** მან "ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩის (116:87) პირველ მეოთხედში 14(!) შედეგიანი პასი გააკეთა. ასეთი შედეგი NBA-ის ისტორიაში არავის დაუფიქსირებია.

აქამდე რეკორდი **ჯონ ლუკასს** ეკუთვნოდა, რომელმაც 1978 წელს ერთ მეოთხედში 12 ზუსტი პასი მიითვალა, 1984 წელს კი იგივე შედეგი **მეჯიქ ჯონსონმა** აჩვენა.

სულ ბლეიკმა "კლიპერსის" წინააღმდეგ 17 შედეგიანი პასი ჩამოურიგა პარტნიორებს, რაც ერთით ნაკლებია მის პირად რეკორდზე.

■ ■ ■

საკლუბო რეკორდის ავტორი გახდა "ბოსტონ სელტიქსის" მცველი **რეი ალენი.** ვეტერანმა კალათბურთელმა "ფინიქს სანზთან" (128:108) შეხვედრაში ზედიზედ ზუსტად შესრულებული საჯარიმოების რიცხვი 72-მდე აიყვანა, რითაც ლეგენდარული **ლარი ბერდის** რეკორდი გააუმჯობესა.

რეის 73-ე ცდაზე უმტყუნა მიზანმა.

**ინდიანა-ჩიკაგო 98:91**

27:27, 25:24, 23:23, 23:17

ი: მერფი (27+14 მოხსნა), ფორდი (19+8 მოხსნა), მ. დენიელსი (16), ჯეკი (16).

ჩ: ბ. გორდონი (28), ტ. ტომასი (16), დენგი (13+8 მოხსნა), სალმონსი (12), ბ. მილერი (6+10 მოხსნა), ნოა (5+12 მოხსნა).

**მილუოკი-დენვერი 120:117**

36:35, 33:37, 27:24, 24:21

მ: ვილანუევა (36), სეშენსი (27+8 პასი+3 ჩაჭრა), რ. ჯეფერსონი (17), ჩ. ბელი (13).

დ: ენტონი (33+9 მოხსნა), ბილაპსი (21), ნენე (17+7 მოხსნა), კლეიზა (13), ბოლკმენი (10+3 ჩაჭრა).

**ტორონტო-ნიუ იორკი 111:100**

27:27, 30:26, 25:21, 29:26

ტ: ბარნიანი (28+10 მოხსნა+3 დაფარება), ე. პარკერი (24), მერიონი (16+15 მოხსნა), კალდერონი (13+11 პასი), ბოში (11+12 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ნ-ი: ელ ჰარინგტონი (31+7 მოხსნა), რობინსონი (18+8 პასი), დ. ლი (17+15 მოხსნა), დუჰონი (17+7 პასი).

**ფინიქსი-ბოსტონი 108:128**

33:38, 21:30, 29:28, 25:32

ფ: ჯ. რიჩარდსონი (21), ნეში (19+11 პასი), ბარბოზა (18+3 ჩაჭრა), შ. ო'ნილი (17), ბარნსი (10).

ბ: რონდო (32+10 პასი+3 ჩაჭრა), რ. ალენი (31), პირსი (26), სკალაბრინი (14), გ. დევისი (10).

**ჰიუსტონი-შარლოტი 99:78**

27:20, 17:22, 29:14, 26:22

ჰ: არტესტი (26+7 მოხსნა), იაო მინი (19+7 მოხსნა), ვაფერი (13), სკოლა (12+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბატიე (12).

შ: ოკაფორი (13+11 მოხსნა), ფელტონი (13), დიაო (13), ჯ. უოლასი (11+10 მოხსნა).

**ორლანდო-მაიამი 122:99**

39:24, 25:22, 27:26, 31:27

ო: დ. ჰოვარდი (32+17 მოხსნა), თურქოგლუ (20+9 მოხსნა+6 პასი), ლუისი (18+7 მოხსნა), კ. ლი (14), ელსტონი (12+9 პასი), ჯონსონი (12), რედიკი (10).

მ: უეიდი (50), ბიზლი (14).

**პორტლენდი-კლიპერსი 116:87**

38:16, 27:23, 27:29, 24:19

პ: ოლდრიჯი (28+10 მოხსნა), როი (20+8 მოხსნა+9 პასი), აუთლო (15), ფერნანდესი (11), ბატუმი (10), ბლეიკი (6+17 პასი).

კ: ე. გორდონი (21), დ. ჯორდანი (15+12 მოხსნა+3 დაფარება), ბ. დევისი (15+6 პასი), რ. დევისი (10).

**მინესოტა-ლეიკერსი 108:111**

26:29, 24:25, 30:24, 28:33

მ: გომესი (20+7 მოხსნა), ტელფეირი (20), კ. სმიტი (19), ფოიე (16+6 პასი+3 ჩაჭრა), მ. მილერი (14), ლავი (11+10 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (28+7 პასი), ოდომი (25+14 მოხსნა), პ. გასოლი (25).

**კლივლენდი-დეტროიტი 99:78**

31:17, 36:17, 21:24, 11:20

კ: დ. უესტი (25), ლ. ჯეიმსი (20+9 პასი), ილგაუსკასი (16+8 მოხსნა), შჩერბიაკი (15), მ. უილიამსი (11).

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ჯოკერს ცონგას კომპლექსი გაუჩნდა

გასულ კვირას ATP-ის არცთუ ისე დახვეწილმა კალენდარმა ერთი პარადოქსი შემოგვთავაზა. მარსელის "250"-ის სერიის ტურნირმა, რეიტინგით მაღლა მდგარ მემფისის ტურნირზე ("500"-ის სერია) უფრო ძლიერი შემადგენლობა შეკრიბა. ამას გარკვეული ახსნა მოეძებნება. საქმე ისაა, რომ ახლა, ევროპელებს ხელს არ აძლევს ამერიკაში გამგზავრება, რადგან ამ კვირას დუბაის ტურნირში ("500"-ის სერია) უწევდათ ჩაბმა, გარდა ამისა, მომავალ კვირას ბევრ მათგანს ევროპაში დევისის თასის მატჩები ელის.



მართალია, მარსელში შარშანდელი გამარჯვებული **ენდი მიურეი** არ ჩასულა, მაგრამ ბრიტანელის გარეშეც ფრანგულ პორტში ვარსკვლავური შემადგენლობა შეიკრიბა - **ჯოკოვიჩი, ცონგა, მონფილსი, სიმონი...**

რა თქმა უნდა, ფრანგებს მარსელში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰყავდათ - 11 ჩოგბურთელი. ზოგიერთი მათგანის მაღალი კლასის წყალობით, მეოთხედფინალისტთა ნახევარი სწორედ მასპინძლებმა - **ლოდრამ,** სიმონმა, ცონგამ და **ბენეტომ** დააკომპლექტეს. სიმონმა, რომელმაც პირველ წრეში ბულგარელ ვუნდერკინდთან **გრიგორ დიმიტროვთან** მატჩ-პოინტი გადაარჩინა, ფრანგულ დერბიში სძლია ბენეტოს, ცონგამ კი **ფელისიანო ლოპესს** აჯობა და ნახევარფინალში ტურნირის პირველ ნომერ **ნოვაკ ჯოკოვიჩს** გადაეყარა.

სერბი ვარსკვლავისთვის ამ მატჩში წარმატების მიღწევა პრინციპის საკითხი იყო. შარშან, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში ცონგას დამარცხების შემდეგ, "ჯოკერმა" ფრანგთან ზედიზედ სამი მატჩი დათმო. მაგრამ ჯოკოვიჩმა ვერც ამჯერად მოუხერხა რამე ჟოს უძლიერეს მოწოდებებსა და ბადესთან ბრწყინვალე თამაშს და ორ სეტში დათმო შეხვედრა. მოულოდნელად, იგივე ბედი ეწია სიმონს ლოდრასთან ნახევარფინალში.

რაც შეეხება ფინალს, ლოდრამ შეძლო ცონგასთვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ უფრო ძლიერ თანამემამულესთან ორ სეტში მაინც წააგო. სხვათა შორის, წლევანდელი სეზონი ცონგამ ბრწყინვალედ დაიწყო - 22 მატჩში 19 მოიგო, ხოლო 16 ტაი-ბრეიკიდან 13 თავის სასარგებლოდ დაასრულა.

■ ■ ■

როგორც ზემოთ ვთქვით, მემფისის ტურნირი ძლიერი შემადგენლობით ვერ დაიკვეხნიდა. თავდაპირველად, საუკეთესო ათეულის წევრებიდან აქ მხოლოდ არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროს** უნდა ეთამაშა, მაგრამ ბოლო მომენტში ორგანიზატორებმა **ენდი როდიკის** დაყოლიებაც შეძლეს.

დელ პოტრო არც ისე წარმატებით გამოვიდა და მეოთხედფინალში ერთი სეტიც ვერ მოუგო ჩეხ **რადეკ შტეპანეკს.** ამერიკელი როდიკი კი ტყუილად არ მიუწვევიათ ტურნირზე - ენდიმ ფინალამდე ისე მიაღწია, რომ მხოლოდ ორი სეტი დათმო: ერთი თანამემამულე **სემ კუერისთან** და ერთიც - ავსტრალიელ **ლეიტონ ჰიუიტთან.** უნდა აღინიშნოს, ამ უკანასკნელმა 2007 წლის შემდეგ პირველად გააღწია ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში.

ფინალში როდიკი სეზონში თავისი პირველი ტიტულისთვის რადეკ შტეპანეკს შეებრძოლა, რომელმაც თავის მხრივ, წელს ორი ტურნირი მოიგო. ჩეხი ღირსეულად გამოიყურებოდა, მაგრამ ამერიკელი ოდნავ უფრო ძლიერი იყო და ორი ურთულესი სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

■ ■ ■

ბუენოს აირესში თიხნარის თითქმის ყველა მოყვარული შეიკრიბა, მათ შორის შარშანდელი ჩემპიონი **დავიდ ნალბანდიანი.** ამჯერად, არგენტინელმა თავის მშობლიურ ტურნირზე ნახევარფინალში გააღწია და თანაბარ ბრძოლაში წააგო განუთესავ თანამემამულე **ხუან მონაკოსთან.** ეს უკანასკნელი ფინალში გასულ კვირას, კოშტა-დუ-საუპეს ტურნირის ტრიუმფატორ **ტომი რობრედოს** შეხვდა.

ფინალში, მეორე სეტის სტარტზე თამაში წვიმის გამო შეწყდა, რამაც რობრედოს ხელი შეუშალა - ამ იძულებით პაუზამდე ტომის მეტოქისვთის ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუცია, ამის შემდეგ კი ხუთჯერ დათმო საკუთარი მოწოდება. თუმცა იღბალი მაინც ესპანელის მხარეს აღმოჩნდა და რობრედომ გადამწყვეტი სეტის ტაი-ბრეიკში გატეხა მონაკოს წინააღმდეგობა. საინტერესოა, რომ რობრედომ კარიერაში პირველად მოიგო ზედიზედ ორი ტურნირი.

**ATP**

**Morgan Keegan Champ**

მემფისი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 1 226 500 დოლარი

**ფინალი**

**ენდი როდიკი (აშშ, 1)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 5) 7:5, 7:5.

**Copa Telmex**

ბუენოს აირესი (არგენტ). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 600 000 დოლარი

**ფინალი**

**ტომი რობრედო (ესპ, 3)**-ხუან მონაკო (არგ) 7:5, 2:6, 7:6.

**Open 13**

მარსელი (საფრანგეთი). ჰარდი
**საპრიზო ფონდი:** 576 000 ევრო

**ფინალი**

**ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 4)**-მიხაელ ლოდრა (საფ) 7:5, 7:6.

ველოსპორტი

# ლენსი სხვებს ეხმარება




**პრო-ტურის** სერიის მორიგი ეტაპი - კალიფორნიის ტური ზედიზედ მესამედ "ასტანას" ამერიკელმა ველომრბოლმა **ლევი ლაიფაიმერმა** მოიგო. ამერიკაში გამართული ეს ველორბოლა ადგილობრივი პროფების ტრიუმფით დასრულდა. რბოლის გამარჯვებულს 36 წამით ჩამორჩა **დეივ ზაბრისკი,** მესამეადგილოსანმა **მაიკლ როჯერსმა** კი ლევისთან 45 წამი წააგო.

*"აქ გამარჯვება ყოველწლიურად უფრო სასიამოვნო ხდება, - განაცხადა ბოლო ეტაპის დასრულების შემდეგ ლაიფაიმერმა. - მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს თანაგუნდელებს, რომელთა მხარდაჭერას მთელი რბოლის განმავლობაში ვგრძნობდი, განსაკუთრებით კი მინდა გამოვყო ლენს არმსტრონგი, რომელმაც ამბიცია დაივიწყა და ჩემს გამარჯვებაზე იზრუნა. იმედი მაქვს, სულ მალე მეც შევძლებ მისთვის დახმარების გაწევას".*

კალიფორნიის ტურში ლეგენდარული **ლენს არმსტრონგის** მონაწილეობა განსაკუთრებულ ინტერესს მატებდა ამ რბოლას. ტურ დე ფრანსის შვიდგზის ჩემპიონი საერთო ჩათვლაში მეშვიდე ადგილზე გავიდა, თუმცა თავისი გამოსვლით მაინც კმაყოფილი დარჩა.

*"მთლიანად გუნდმა და ლევიმ ბრწყინვალე შედეგი აჩვენეს. მე რაც შემეხება, თავს არც ისე ცუდად ვგრძნობ, მაგრამ იმისთვის, რომ მთებში უკეთ ვიგრძნო თავი, საკუთარ სხეულზე უნდა ვიმუშაო. ფიზიკური კონდიციების მხრივ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ რამდენიმე კილოგრამის დაკლება არ მაწყენდა", - აღნიშნა არმსტრონგმა.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**